ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008
დარჩა 49 დღე



№ 144 (12 520) 20 ივნისი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



**ქართული კლუბების ევრომეტოქეები 1 ივლისს გაირკვევა**

წილისყრა გადაიდო 4

**არშავინმა ბარსელონას უარი უთხრა**

ევრო 2008 8

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

| | |
|---|---|
| **20 ივნისი** | |
| ვენა | |
| ხორვატია-თურქეთი | 22:45 |
| **21 ივნისი** | |
| ბაზელი | |
| ჰოლანდია-რუსეთი | 22:45 |
| **22 ივნისი** | |
| ვენა | |
| ესპანეთი-იტალია | 22:45 |

**ჰიდინკი: რუსეთი აუტსაიდერი აღარ არის** 8

# გერმანია

## პირველი ნახევარფინალისტია



# თერიმი 17 ფეხბურთელის ამარა

## ბილიჩისთვის მეოთხედფინალში გასვლა პროგრამა მინიმუმი იყო



დღევანდელი მეოთხედფინალის წინათქმა 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი. ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

# ნაკრებს საშუალო ევროპული დონის მწვრთნელი სჭირდება

## კობიაშვილი ესპანეთს გულშემატკივრობს

ევროპის ჩემპიონატმა ჩვენი ნაკრების მწვრთნელის საკითხი უკანა პლანზე გადასწია. თუმცა ეს დროებითია. ათიოდე დღეც და საქართველოს ნაკრების თავკაცის საკითხი ისევ უმთავრესი თემა იქნება.

საინტერესოა, თუ რას ფიქრობს ნაკრების ბოლო ორ მატჩზე, პეტარ სეგრტზე, საერთოდ ნაკრების თავკაცის შერჩევის საკითხზე ლევან კობიაშვილი. მას ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრება გააჩნია.


კობიაშვილის აზრით, მწვრთნელების ხშირ ცვლას სიკეთე არავისთვის მოუტანია

**- საუბარი საკლუბო კარიერითა და განვლილი სეზონის შეფასებით დავიწყოთ...**

- "შალკეს" ურიგო სეზონი ნამდვილად არ ჰქონია. ჩემპიონატის დაწყებამდე, კლუბის ხელმძღვანელობამ მოწინავე სამეულში მოხვედრა დაგვისახა მიზნად. საბოლოოდ, ბრინჯაოს პრიზიორები გავხდით. ამას გარდა, ჩემპიონთა ლიგაზე, მეოთხედფინალში ვითამაშეთ და "ბარსელონასთან" ბრძოლაში გამოვეთიშეთ ტურნირს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, "შალკესთვის" გასული სეზონი დადებითად შეიძლება შეფასდეს.

**- პირადად შენ, ეს სეზონი, ალბათ, ცუდად დაგამახსოვრდა...**

- დიახ, ასეა. ტრავმების გამო ბევრი გამიცდა. ასე ცოტა მატჩი არცერთ წინა სეზონში არ ჩამიტარებია. ბუნდესლიგაში მხოლოდ 15 შეხვედრაში ვითამაშე, ჩემპიონთა ლიგაზე კი 4 მატჩით მომიწია დაკმაყოფილება. თუმცა ევროტურნირებზე ის 4 შეხვედრა მაღალ დონეზე ჩავატარე და კომპლიმენტებიც დავიმსახურე.

**- მართლაც კარგად ითამაშე და ამას სატრანსფერო სპეკულაცია მოჰყვა - "ბეშიქთაშს" "შალკედან" კობიაშვილი და ბორდინი მიჰყავსო...**

- ეს ხმები ჩემამდეც მოვიდა, მაგრამ ვფიქრობ, ეს ნამდვილად სპეკულაციები იყო. სერიოზულ ინტერესსს ყოველთვის სერიოზული შეთავაზება ახლავს თან, ჩემთვის კი არავის არაფერი შემოუთავაზებია. "შალკესთან" ხანგრძლივი კონტრაქტი მაკავშირებს. ამ ეტაპზე არც მე და არც კლუბის ხელმძღვანელობა ხელშეკრულების გაწყვეტას არათუ არ განვიხილავთ, ამაზე არც კი ვფიქრობთ.

**- ახლა სანაკრებო თემაზე გადავიდეთ. ბოლოს ესტონეთთან და პორტუგალიასთან ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებზე რას იტყოდი?**

- ამ მატჩებისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე, ნაკრებში დიდი სამუშაო ჩატარდა, რომელიც პეტარ სეგრტმა და მისმა გუნდმა გასწია. ჯერ ესტონეთის მატჩზე ვთქვათ. ტალინში იმ სტადიონზე ფეხბურთის კი არა, რაგბის შეხვედრის ჩატარება არ შეიძლება. მოედანი საშინელ მდგომარეობაში იყო. ნაკრებს არაერთი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. ნახევარ გუნდზე მეტი ახალი ან ახალგაზრდა ფეხბურთელებით ვითამაშეთ. პორტუგალიასთან პირველ ტაიმში ვერა, მაგრამ მეორე ნახევარში კარგი თამაში ვაჩვენეთ.

ეს მიზეზები კი არაა უბრალოდ, ფაქტებს ვასახელებ ნათელი სურათი რომ შევქმნათ... ჩემი აზრით, ნაკრებისთვის ეს ორი ამხანაგური მატჩი სასარგებლო იყო.

**- რა გაძლევს ამის თქმის საფუძველს?**

- ნაკრებში დიდი სამუშაო ჩატარდა. ვგულისხმობ ახალგაზრდა ფეხბურთელების მოწვევას, მათი შერწყმის პროცესს. მართალი გითხრათ, გაწეული სამუშაოს შედეგად ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. იმედი მაქვს, თუ ასე გაგრძელდება ნაკრებში მუშაობა, წარმატებებიც მოვა.

**- გეტყობა, პეტარ სეგრტის მიმართ სიმპათიებით ხარ განწყობილი...**

- ამას არც ვმალავ.

**- მაინც რით მოგხიბლა ხორვატმა მწვრთნელმა?**

- ამ ორი ამხანაგური მატჩის წინ, მოსამზადებელ შეკრებაზე დიდი მუშაობა გასწია. მას არაერთი დადებითი თვისება აქვს...

**- კონკრეტულად?**

- იოლი და გასაგები ენით გადმოსცემს დავალებას, ახალგაზრდების შერჩევა შეუძლია. უყვარს დისციპლინა და წესრიგი, ტაქტიკური მარაგი აქვს. გუნდის ფსიქოლოგიურად, საბრძოლოდ განწყობა იცის...

**- ნაკრების თავკაცად მისი კანდიდატურაც განიხილება...**

- ჩემი აზრით, სეგრტი კარგი არჩევანი იქნება. ბევრი მწვრთნელი ყოფილა ახალგაზრდულიდან ეროვნულში რომ გადაიყვანეს და კარგი შედეგები ჰქონდათ. პეტარ სეგრტსაც სწორედ ამ კატეგორიის სპეციალისტებს მივაკუთვნებდი.

**- კანდიდატთა შორისაა ფოლკერ ფინკეც, რომელსაც უფრო კარგად იცნობ...**

- დღეს დიდ ფეხბურთში რომ ვარ, ეს ფინკეს დამსახურებაა. მას უამრავი დადებითი თვისება აქვს. ქართველი ფეხბურთელის შესაძლებლობები და ფასი კარგად იცის. ასე რომ, მის კანდიდატურასაც ვემხრობი, მაგრამ ეს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია და რადგან მკითხეთ, ამიტომ გიპასუხეთ. ისე კი, ამ საკითხზე ჩემეული პოზიცია მაქვს.

**- საინტერესოა, იქნებ დააკონკრეტო...**

- ჩემი აზრით, ამ ეტაპზე ნაკრების თავკაცად მოურინიოზე, კაპელოსა და ლიპის დონის მწვრთნელებზე უფრო სასარგებლო საშუალო ევროპული მწვრთნელის დანიშვნა იქნება. მართალია, ეროვნულში მაღალი კლასის 3-4 ფეხბურთელი ვართ, მაგრამ მთლიანობაში, ჩვენი გუნდი ჯერ კიდევ არაა მზად საიმისოდ, რომ უფრო მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელი ვეძებოთ. ისე არ გამიგოთ ტოპ მწვრთნელზე უარს ვამბობ, მაგრამ ასეთი მერე უფრო მეტად დაგვჭირდება. საშუალო ევროპული დონის მწვრთნელს, რომელიც ჩვენს ნაკრებს ჩაიბარებს, გარკვეული პერიოდი უნდა მივცეთ. მწვრთნელების ხშირ ცვლას არავისთვის მოუტანია კარგი შედეგი და ჩვენც არ გვარგებს. აი, სულ ესაა, რაც ამ საკითხზე უნდა მეთქვა. იმედი მაქვს რამდენიმე კვირაში ნაკრებს ახალი თავკაცი ეყოლება და მჯერა, სწორ არჩევანს გავაკეთებთ.

**- დაბოლოს, ევროპის ჩემპიონატზე ვის გულშემატკივრობ?**

- კარგი იქნებოდა იმ 16 გუნდს შორის საქართველოს ნაკრები გასულიყო, მაგრამ... ალბათ, ამ დონემდე ჩვენს გუნდს ჯერ გაზრდა სჭირდება. რაც შეეხება კითხვას, უკვე წლებია ესპანეთის ნაკრებს ვქომაგობ და იმედი მაქვს, ოქროს მედლები მათ დარჩებათ.

**დავით ცაბაძე**

ინტერტოტოს თასი

# ლოკომოტივს ჩერნოგორიელები და ლიტველები განსჯიან

21 ივნისს თბილისის "ლოკომოტივი" ლუქსემბურგის "ეტცელას" სტუმრად გაეჯიბრება. მაშ ასე, ეტელბრუკში გასამართ შეხვედრას ლიტველი მსაჯები მოემსახურებიან. მთავარი არბიტრი **გედიმინას მაჟეიკასი** იქნება. ლაისმენები **საულიუს დირდა** და **სერგეიუს სლივა** გახლავთ. მეოთხე მსაჯი კი ლუქსუმბურგელი **რომაინ სალესი** იქნება.

გუნდებს შორის, საპასუხო შეხვედრა თბილისში 28 ივნისს გაიმართება. ამ მატჩს უკვე ჩერნოგორიელი მსაჯები განსჯიან. მთავარი არბიტრი **პავლე რადოვანოვიჩია**. ასისტენტები **დეჟან საკოვიჩი** და **ვესლინ რადუნოვიჩი** იქნებიან. მეოთხე მსაჯის ფუნქციას კი ქართველი **ლაშა სილაგავა** შეასრულებს.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი

# თარგამაძე ფინალშია

ისტორიაში პირველად, "ფრაიბურგის" 19-წლამდელთა გუნდი გერმანიის ჭაბუკთა თასის ფინალში გავიდა. ნახევარფინალის პირველი მატჩი "ფრაიბურგმა" 3:1 მოიგო, განმეორებითი კი 2:2 დასრულდა. **დავით თარგამაძე** 75-ე წუთზე შეცვალეს, მან თავისი გუნდის წარმატებაში სოლიდური წვლილი შეიტანა – 55-ე წუთზე გოლი გაიტანა.

ფინალი 23 ივნისს, ვოლფსბურგში გაიმართება, "ფრაიბურგი" სტუმრად "ვოლფსბურგს" დაუპირისპირდება.



**ლევან ჯანეზაშვილი**

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**.

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**.

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გაზეთი ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია




# ვის რას ჩამოუტანს ახალკაცი



ლაპალანდიიდან ხვალ ჩამოვა კაცი, რომლისგანაც ზოგი ნობათს ელის, ზოგიც ახალ ამბებს. რომელი ნუგბარი ჯობია კარგ ახალ ამბავს, ცინცხალს და გემრიელს? მოკლედ, ლაპალანდიიდან რაღაც იქნება.

არ დამითვლია, ნაკრების წინა შესარჩევის წელიწადნახევარში ვინ უფრო მეტი დრო გაატარა საქართველოში - კლაუს ტოპმიოლერმა თუ ნოდარ ახალკაცმა. ეს ალბათ ჟურნალისტური დაუდევრობაა, თორემ კარგი საგაზეთო თემა კი გამოდნებოდა.

ჩვენთან ჟურნალისტების დიდად არ ეშინიათ, თუ სათოქმოუე სახე არ ხარ ან უცნაურ მარგალიტებს არ აფრქვევ საკომენტატორო მიკროფონიდან, წერე და იკითხე. აგერ ეროვნული გუნდი ჩრდილოეთ ირლანდიაში იყო, მერე ესტონეთი და ლატვიაც მოიარა და ნაკრების იქაური ამბები ვერც ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა ვერ გააშუქა. სულ ეგა ხართ მეგაზეთე ჟურნალისტები - იტყვიან და ახია კიდეც. თან კიდევ ეს დაუდევრობა.

მაინც და მაინც არც ის მეწყინა, "ამერის" პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ რომ თქვა, საქართველოში მედია ფეხბურთის სუსტი პარტნიორიაო. საამისო არგუმენტები ძალიან ბევრია და კიდევ კარგი, "ამერის" პრეზიდენტმა ყველაფერი რომ არ იცის.

დღეს თბილისში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჩამოვა. ეროვნულ ნაკრებს მწვრთნელი არ ჰყავს, ეროვნულ ჩემპიონატს კი რომელი გუნდები შეავსებენ, ჯერაც სახლაფორთოა. საქმე ბევრია.

ფოლკერ ფინკეს თურმე მობილური ტელეფონი გამოურთავს და ამიტომ ვერ გადაწყდა მისი საქართველოს ნაკრებში გამწვრთნელების საკითხი. ასეთი ვერსიაც მოვისმინე და კიდევ ერთი ჟურნალისტური დაუდევრობა ჩავიდინე - არ დავურეკე ფინკეს არც მობილურ, არც სახლის და არც ოფისის ტელეფონზე. დავუჯერე იმ ყოფილ ფრაიბურგელს, რომელმაც მითხრა, ფინკეს ტელეფონით ამა და ამ საკითხზე ვესაუბრეო.

უმაღლესი ლიგიდან გავარდნილ "ბათუმს" კი ქალაქის მერის და ახალკაცის იმედი აქვს. ერთმა ფული უნდა მისცეს, მეორემ უმაღლეს ლიგაში უნდა დააბრუნოს. ასეა, სამყარო განვითარებას ვერ შეწყვეტს და იმისკენ მიდის, რაც შეიძლება გაიადვილოს და გაიმარტოვოს ყველაფერი. ფინკესთან დაკავშირება კი ძალიან გაჭირდა.

რას ჩავაცივდი ამ ფინკეს? კარგი მწვრთნელი ცოტა არ არის, მაგრამ დრო გადის და საქართველოს ისედაც მოფამფალებული ნაკრები უთავოდაა. როგორც უნდა იყოს, ფედერაციის პრეზიდენტი ევროპიდან ბრუნდება და რაღაცას მოახდენს.

მეტიც, დამდეგ კვირას ძალიან საინტერესო ამბებია მოსალოდნელი. არჩევნების ტალღამ გადაიარა, ხელისუფლება ახლა პოლიტიკურ მონაგართან ერთად ფულსაც ითვლის და იქნებ რაღაც შეახვედროს ქართულ საკლუბო ფეხბურთს.

ამასობაში დავით თარგამაძე 19-წლამდელთა ბუნდესლიგის ფინალში გავიდა და "ფრაიბურგში" დარჩენას სთავაზობენ. თარგამაძე თავის კბილა ლევან ყენიასავით რეკლამირებული ყმაწვილი ჯერ არ არის, თუმცა ფეხბურთის თამაშით მასზე ნაკლები არ უნდა იყოს. ყველაფერს თავის დრო აქვს, ოღონდაც ასეთი ჭაბუკი "ფრაიბურგისთვის" დაგენანება. ფინკემ დაურეკა კიდეც "ფრაიბურგის" ყოფილ ქართველებს, თქვენებური ბიჭი ისეთი ნიჭიერია, უკეთესის ღირსიაო. თარგამაძე "ფრაიბურგის" ჯეელთა გუნდში "ფონდ არველაძის" და ალექსანდრე იაშვილის დახმარებით მოხვდა და ალბათ ისევ ისინი თუ შეუწყობენ ხელს.

რუსთავის "ოლიმპის" დავით დევდარიანი კი დანიურ "ორჰუსში" მიდის. დანია ძალიან კარგი საფეხბურთო სკოლაა. ჩვენთვის მთავარიც ეს უნდა იყოს, თორემ ყოველთვის ლაპლანდიური გუნდების იმედზე ვერ ვიქნებით.

ლეგიონერი

# დემეტრაძე გაუშვეს



საქართველოს ნაკრების ფორვარდი **გიორგი დემეტრაძე** კიევის „არსენალის" ფეხბურთელი აღარაა, ეს უკვე ოფიციალურად განაცხადეს დედაქალაქის კლუბში. გუშინ შესაბამისი კომენტარი „არსენალის" თავკაცმა **ალექსანდრ ზავაროვმაც** გააკეთა: „*გიორგი დემეტრაძე*, **დმიტრი პარფიონოვი** და **ალექსანდრ დანიშევსკი** „არსენალში" აღარ ითამაშებენ. წარმოდგენა არა მაქვს, სად გააგრძელებენ ისინი კარიერას, თუმცა აქ მათ ველარ ნახავთ".

# მერანს მწვრთნელი შეუცვალეს




მომავალი სეზონიდან თბილისურ კლუბს ახალი დამრიგებელი ეყოლება. **დავით ეჯიბიშვილის** ადგილი **გია ანდღულაძემ** დაიკავა. შეგახსენებთ, წინა სეზონში "მერანი" უმაღლესი ლიგიდან გავარდა. მაშინ ანდღულაძე ეჯიბიშვილის ასისტენტად მუშაობდა.

"მერანი", რომელმაც უმაღლესში ბოლო ორი სეზონი გაატარა, პირველ ლიგაში იასპარეზებს. გუნდის შემადგენლობა კარდინალურად გადახალისდა და მთლიანად გაახალგაზრდავდა. პირველი ლიგისთვის სამზადისს "მერანი" უკვე შეუდგა.

ლევან ჯანეზაშვილი



ამერული ამბები

# ვინ წავიდა, ვინ დარჩა და ვინ ფიქრობს

## ჩიხრაძის გუნდი ორ ტრანსფერს უკირკიტებს

2007-08 სეზონი თბილისის "ამერისთვის" წარმატებული ვერ გამოდგა - საქართველოს თასის ორგზის მფლობელი ზედიზედ მესამედ გავიდა ფინალში და "ზესტაფონთან" 1:2 წააგო, ჩემპიონატში კი მეხუთე ადგილზე გავიდა - ამბიციური კლუბისთვის ევროსარბიელის მიღმა ყოფნა, რა თქმა უნდა, წარმატებად ვერ ჩაითვლება.

"ამერი" კერძო კლუბია და თვალსაჩინო მაგალითია საიმისოდ, რომ საქართველოში შესაბამისი ბიზნესგარემო არ არის. კლუბის საქმეები დაღმა რომ წავიდა, მხოლოდ ამის ბრალი არ უნდა იყოს, მაგრამ მხოლოდ ეს როდი განაპირობებს ამერულ ამბავს - წამგებიან საწარმოში ფულის ჩადებას თავისებური ხალისი სჭირდება.

აქტიური სატრანსფერო პოლიტიკა, ბაზის მშენებლობის დაწყება საგურამოში, ევროპული საფეხბურთო სუბ-



...დიმიტრი ტატანაშვილი პლზენში გადავიდა



დავით ბოლქვაძე დაბრუნდა...

კულტურის ნაწილი Yearbook, უხვი უცხოური შეკრებები, ამბიციები და წარმატებები - ეს ყველაფერი ჰქონდა "ამერს", მაგრამ ახლა უწინდელივით წელგამართული ვერ არის - კლუბს შემოსავლების ის ყველა წყარო აღარ აქვს, რაც ჰქონდა და როცა კლუბის ბიუჯეტი ვერ იზრდება, გუნდიც ვერ იზრდება - ასე ხდება თითქმის ყოველთვის, თუმცა ფეხბურთში და მით უმეტეს ქართულში, შესაძლებელია არაჩვეულებრივი ამბებიც.

დამდეგი სეზონისთვის "ამერი" სამმა ფეხბურთელმა დატოვა: მეკარე **ზურაბ ქვაჩახიამ**, ნახევარმცველმა **გიორგი სილაგავამ** და თავდამსხმელმა **დიმიტრი ტატანაშვილმა**. გამოცდილი ქვაჩახია ბოლო დრის აღარ იდგა "ამერის" კარში, ამერელთა თავკაცი **გიორგი ჩიხრაძე** უფრო **ლადო ნადირაშვილს** ენდობოდა. სილაგავა მარჯვენა ნახევრმცველია და სამი წლის წინათ ამერელები მას პერსპექტიულ ახალგაზრდად მიიჩნევდნენ, თუმც სილაგავამ ვერ დაიბევა ადგილი ძირითადში. რაც შეეხება ტატანაშვილს, ის რომ ჩეხურ "პლზენში" გადავიდა, უკვე ძველი ამბავია. "ამერში" გვითხრეს, კლუბმა ამ ტრანსფერით 300 000 ევრომდე იხეირაო. რა თქმა უნდა, უმნიშვნელო თანხა არ არის, მაგრამ კლუბის პოლიტიკის განსაზღვრაში ჩარხს ვერც წალმა დაატრიალებს და ვერც - უკულმა.

"ამერს" დაუბრუნდნენ აზერბაიჯანულ "სიმურგში" ნახევარი წლით განათხოვრებული **დავით ბოლქვაძე**, ახლახან უკრაინულ "ტავრიაში" მოსაწყობად ჩასულები **გრიგოლ დოლიძე** და **თენგიზ ჩიკვილაძე**.

"ამერიდან" წასვლა სურდა გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელ **სულიკო დავითაშვილს**, თუმცა ის ისევ "ამერში" იქნება მომავალი სეზონისთვის. ტატანაშვილის გარდა ისიც რომ გამოკლებოდა "ამერის" თავდასხმას, გუნდის დანაკლისი მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა.

კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა ცენტრალურ მცველ **გიორგი დავითნიძეს**, ვინც ამერელთა კაპიტანი იყო. მას ჯერ არ გადაუწყვეტია დარჩება თუ არა "ამერში".

ამ ეტაპზე "ამერი" ორი გამოცდილი, საშუალო ასაკის ფეხბურთელი დამატებას აპირებდა - მეკარისა და მცველის. მეკარის საკითხი გუშინ გადაწყდა - "ამერის" კარს "მერანისა" და "ბორჯომის" კარის ყოფილი დარაჯი **კონსტანტინე სეფიაშვილი** დაიცავს.

"ამერი" დამდეგი სეზონისთვის მზადებას ხვალიდან შეუდგება. გუნდს უცხოური შეკრება არ ექნება და ვინ იცის, იქნებ უამისოდაც გამორჩეს რამე ტიტული. გუნდთან ერთად დაიწყებს ვარჯიშს ამერელთა სატრანსფეროდ ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი **რატი წინამძღვრიშვილი**, ვისაც წინა სეზონი ტრავმის გამო გაუცდა.

**დავით თავართქილაძე**

# წილისყრა გადაიდო, ზესტაფონში დიდი სამზადისია



უეფას თასზე ზესტაფონელთა მეტოქე 1 ივლისს გაირკვევა...

ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა რამდენიმე დღით გადაიდო. ევროპის ჩემპიონატის გამო, ცერემონიალი 27 ივნისიდან 1 ივლისისთვის გადაიტანეს. ასე რომ, "დინამო", "ვიტ ჯორჯია" და "ზესტაფონი" მომავალი მეტოქეების ვინაობას ივლისის პირველ დღეს შეიტყობენ.

ზესტაფონში ინტენსიურად გრძელდება სტადიონის სარემონტო სამუშაოები. 27 ივნისს სტადიონს უეფას წარმომადგენლები შეამოწმებენ და გადაწყვეტენ, მისცენ თუ არა კლუბს საერთაშორისო მატჩის საკუთარ ქალაქში ჩატარების უფლება.

სამუშაოები ინტენსიურად, 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს და წესით, 27 ივნისისთვის კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს. დასასრულს უახლოვდება ტრიბუნებზე ბეტონის ხელახალი ჩასხმა. ეს იმისთვის გახდა საჭირო, რომ რიგებს შორის მანძილი გაფართოვდეს და მანძილი უეფას სტანდარტების შესაბამისი, 35-40 სანტიმეტრი იყოს. ინდივიდუალური სკამები აზერბაიჯანიდან ორიოდე დღეში შემოვა და 27-ისთვის მათი დაგებაც უნდა მოესწროს. ზესტაფონის ცენტრალური სტადიონის ტევადობა 4 ათასი იქნება, ამას ვიპ-ლოჟის 140 ადგილი დაემატება.

გუნდი კი 15 ივნისიდან ურეკშია და ევროთასებისა და ახალი სეზონისთვის სამზადისის პირველ ეტაპს იქ გადის. ურეკული შეკრება 24 ივნისამდე გასტანს, რის შემდეგაც ფეხბურთელებს რამდენიმე დღით შინ გაუშვებენ და "ზესტაფონი" თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება, სავარაუდოდ, კვლავ ანთალიაში.

"ზესტაფონს" უკვე შეუერთდნენ ბრაზილიელი ლეგიონერები, **ჟილვან ვიეირა, ედსონ სანტოსი და ჟონატასი**. ცნობილი პრობლემების გამო სანტოსს თითქმის მთელი სეზონი გაუცდა, ჟონატასს კი მეორე წრე. სადღეისოდ ორივე ნორმალურ ფორმაშია და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ჯერ არ ჩამოსულან გაბონელები, **პოლ კესანი** და **ეტიენ ბიტოო**, რომლებიც სანაკრებო შეკრებაზე იყვნენ.

ფეროელებთან ერთად ვარჯიშობენ "სიონიდან" გადაბირებული კამერუნელები, **ერიკ რომეო ჩასემი და ბოიომო ფრიდოლინი**. გუნდთანაა ასევე ნახევარმცველი **ზაურ ხაჭიპერაძე**, რომელიც წინა სეზონში ჭიათურის "მალაროელის" ღირსებას იცავდა. მას "ზესტაფონის" მწვრთნელები აკვირდებიან და გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებენ.

**გიორგი ხიდეშელს, მურთაზ დაუშვილსა** და **ედიკ საჯაიას** "ზესტაფონთან" კონტრაქტი ამოეწურათ და ამჟამად გუნდთან ერთად არ არიან. თუმცა კლუბის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ აქვს იმის იმედი, რომ ისინი თანამშრომლობის გაგრძელებაზე დათანხმდებიან. რაც შეეხება გაბონელ **ერნესტ აკუასაგას**, მას იჯარის ვადა ამოეწურა და "ოლიმპს" დაუბრუნდა. "ზესტაფონს" აკუასაგას სამსახური კვლავ უნდა, მაგრამ სავარაუდოდ, რუსთავული კლუბი აფრიკელის გაშვებას აღარ მოისურვებს.

უეფას თასის პირველი რაუნდის წილისყრაზე კი "ზესტაფონს" სავარაუდოდ, მისი პრეზიდენტი **ილია კოკაია** წარმოადგენს, რომელიც ამჟამად ევროპის ჩემპიონატს ესწრება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



...მანამდე კი სტადიონზე დიდი სამუშაოები მიმდინარეობს

# სლოვაკეთის ჩემპიონატის ქართველი პრიზიორი

## ლილუაშვილი საქართველოს ნაკრებზე ოცნებობს

ირაკლი ლილუაშვილი 23 წლის თავდამსხმელია. წლეულს ის სლოვაკეთის უმაღლესი ლიგის "ნიტრაში" ჩაირიცხა, რომელმაც ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. ბრატისლავის გარეუბანში მდებარე ნიტრას გუნდმა წლეულს დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ სლოვაკები, ეტყობა, ჩვენზე არანაკლებ უცნაური ხალხია - მესამე ადგილზე გასული "ნიტრა" არა უეფას თასზე, არამედ ინტერტოტოზე ითამაშებს.

მატჩამდე ლილუაშვილს თავისუფალი დრო გამოუჩნდა, თბილისში ჩამოვიდა და გავესაუბრეთ. ეს ის ლილუაშვილია, წლების წინათ "გოლეადორში" რომ თამაშობდა, ორი წლის წინათ კი თბილისის "თბილისში".

**- ირაკლი, როგორ აღმოჩნდი სლოვაკეთში? ეს ქვეყანა ქართველებისთვის კარს არ ხსნიდა და უცებ საკმაოდ ძლიერ კლუბში მოხვდი.**

- უცხოეთში საკმაოდ ბევრი ვითამაშე, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 23 წლის ვარ. "გოლეადორის" შემდეგ, ლუგანსკის "ზარიაში" ვიყავი, მერე თბილისის "ლოკომოტივში", "თბილისში.". აქედან სამი წლის წინათ ოდესის "ჩერნომორეცში" მოვხვდი, სემიონ ალტმანმა გამსინჯა. რამდენიმე საკონტროლო მატჩის შემდეგ მკითხა, შენ მართლა 20 წლის ხარო? ეგონა, ასაკი გადაკეთებული მქონდა და მერე როგორც გავიგე, იმ სამშობიაროში დარეკეს, სადაც მე დავიბადე. მოკლედ, ჩუმად ჩემზე ინფორმაციებს კრებდნენ და პარალელურად მაკვირდებოდნენ. ბოლოს კონტრაქტი შემომთავაზეს.

თუმცა იქ ძირითადში თამაშს ვერ ველირსე, ალტმანს პრობლემები შეექმნა და მისი მოყვანილი მოთამაშეები ცუდ მდგომარეობაში ვვარდებოდით. "თბილისში" დავბრუნდი და მალე ისევ უკრაინაში წავედი - დონეცკის "მეტალურგთან" კონტრაქტი გავაფორმე.

**- იქ როგორ აღმოჩნდი?**

- მიხეილ ფოცხვერია ხომ გახსოვთ? ჩინებული ადამიანი და უკრაინაში მიღებული კაცია. გასინჯვაზე წამიყვანა და უპრობლემოდ ამიყვანეს. თუმცა სამი ტურის შემდეგ მწვრთნელი მატვეევი თანამდებობიდან მოხსნეს და დავრჩი უყურადღებოდ. მოგვწონს თუ არა, უკრაინაში ეს სისტემა მოქმედებს - ფეხბურთელი მწვრთნელზეა დამოკიდებული. მე ხომ მიმიყვანა მატვეევმა? გაუშვეს და ახალმა მწვრთნელმა თავისი ხალხის მოყვანა გადაწყვიტა, სეზონის დაწყების დროს ეს შესაძლებელი იყო, მე კი ასეთ გუნდში დარჩენა აღარ მსურდა. თანაც, ვარიანტი გამოჩნდა სლოვაკეთში, იჯარით პირველი ლიგის "მიხაელოვეცში" გამიშვეს. საკმაოდ წარმატებული თამაში გამომივიდა, 12 მატჩში 7 ბურთი გავიტანე. იქ მნახა "ნიტრას" მენეჯერმა, დაკვირვება გააგრძელეს და საბოლოოდ, ამიყვანეს. მერე "მეტალურგიდან" კონტრაქტი გამოისყიდეს. ეს 2008 წლის თებერვალში მოხდა. მართალია, უცხოეთში დიდი ხანია ვთამაშობ, მაგრამ ძირითად გუნდში სტაბილურად გამოსვლის შანსი პირველად "ნიტრაში" მომეცა.

**- მთელი მეორე წრე თამაშობდი?**

- თავიდან შეცვლაზე მათამაშებდნენ, ექვსი შეხვედრა ასე ვიყავი და არც მიკვირდა. სლოვაკეთში ტრავმით ჩავედი, სეზონი იწყებოდა და მოუმზადებელი ვიყავი. ფორმაში თამაშებით შევედი. მერე მწვრთნელი ძირითადში მაყენებდა და წლეულს, ვფიქრობ, ძირითად შემადგენლობაში ადგილი უნდა დავიმკვიდრო. ნელ-ნელა წინ უნდა წავიდე, ჩემი ოცნება რომ ავიხდინო და საქართველოს ნაკრების მწვრთნელი დავაინტერესო.

**- შენი აზრით, სლოვაკეთის პირველობაზე მოთამაშე ფეხბურთელი ნაკრებისთვის საინტერესო იქნება?**

- მე გეტყვით ფაქტს და მერე თქვენ თავად განსაზღვრეთ. სლოვაკურ გაზეთ "სპორტში" სპეციალისტები მსჯელობდნენ, რა დონის ჩემპიონატია და აზრი ევროპელებსაც ჰკითხეს. უმრავლესობა ამტკიცებდა, რომ სპორტული დონით ავსტრიის პირველობას სჯობს. რა თქმა უნდა, ფინანსურად, ავსტრიულ კლუბებს ვერ შეედრებიან თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ სლოვაკეთი ჩეხოსლოვაკიის ნაწილი იყო და საფეხბურთო ქვეყანაა.

მე პირადად უკრაინაში მითამაშია და შემიძლია ვთქვა, რომ მათზე ბევრად უფრო გააზრებულ ფეხბურთს აჩვენებენ. ჩემი აზრით, სლოვაკური ლიგა გერმანიისას ჰგავს, კლუბები, უმთავრესად, მათ სტილში თამაშობენ. ფიზიკური მომზადებით კი უკრაინელებს არ ჩამორჩებიან.

სავარჯიშო პირობებზე, სტადიონებზე და მოედნებზე არაფერს ვამბობ - ეს ევროპის ქვეყნებში პრობლემა არაა. "ნიტრა" მდიდარ კლუბად არ ითვლება და ბაზა აქვს, ნებისმიერი ქართული გუნდი ინატრებდა - ხუთი მოედნით, სამედიცინო და აღდგენითი ცენტრით, ფიტნეს დარბაზით და ა.შ. ერთი საფიქრალი მაქვს მხოლოდ, კარგად ვითამაშო და რაც შეიძლება უკეთეს გუნდში გადავიდე.

**- ასეთ პერსპექტივას ხედავ?**

- რა თქმა უნდა, ვხედავ. ოდნავ თავი რომ გამოვიჩინო, აუცილებლად გამოჩნდება რამე. ყველა შეხვედრას გერმანელი, ავსტრიელი და რუსი მენეჯერები ესწრებიან, ანუ ჩემპიონატი ბევრს აინტერესებს. ჩემი ოცნება ნაკრებში მოხვედრაა და იმედია, ასეც მოხდება. დავიმსახურებ თუ არა ყურადღებას, ამას დრო გამოაჩენს.

**- როგორც ვიცით, "ნიტრა" ინტერტოტოს გათამაშებაში ბაქოს "ნეფთჩის" შეხვდება. უცნაური ამბავია, ჩემპიონატში მესამე ადგილზე გახვედით და უეფაზე რატომ არ გამოდიხართ?**

- ეს ჩემთვისაც დიდი სიურპრიზი იყო. თურმე, სლოვაკეთში ასეთი წესია - თასის მფლობელი და ფინალისტი გადიან უეფაზე და "ნიტრა" ინტერტოტოზე ამიტომ მოხვდა.

**მერაბ მამულაშვილი**



უკანა პლანზე ირაკლი ლილუაშვილი

# შემოგხედე, დაგინახე...

## რაზე ესაუბრა სკოლარი ბარაბაძეს?



რევაზ ბარაბაძე

საქართველოს ნაკრები 31 მაისს ვიზეუში პორტუგალიის ეროვნულ გუნდს შეხვდა. შეხვედრის პერიპეტიები, ანგარიში და ქართველთა მორიგი მარცხიც ყველასათვის ცნობილია.

თუმცა უცნობია ფაქტი, რომელზეც ამ სტატიაში გიამბობთ. მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების 19 წლის ფორვარდს, **რევაზ ბარაბაძეს** პორტუგალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ლუიშ ფილიპე სკოლარი** ესაუბრა, ჰკითხა, სად თამაშობს, რა ხნის არის და ა.შ.

ამის შემდეგ სკოლარი საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, **პეტარ სეგრტს** გამოელაპარაკა და ბარაბაძეზე დეტალური ინფორმაცია სთხოვა.

რატომ და რა მიზნით, ამაზე საუბარი ჯერ ძნელია. არ გვინდა ვიჩქაროთ დასკვნების გამოტანა, თუმცა ცნობილი ამბავია, რომ ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე, პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ბრაზილიელი მწვრთნელი ლონდონის "ჩელსის" ჩაიბარებს.

აბა, როგორი დასაწერია, რომ რუსეთის პირველი ლიგის "ანჟის" ფეხბურთელით "ჩელსი" დაინტერესდა. თუმცა რატომ დაინტერესდებოდა ცნობილი სპეციალისტი ქართველი ფეხბურთელით? რაც მთავარია, ჩვენი ინფორმაცია რეზო ბარაბაძის მაგრამ, **კობა ბარაბაძემ** დაგვიდასტურა, თუმცა ამ საინტერესო და დამაინტრიგებელი საუბრის ზუსტი მიზეზი მანაც ვერ დაგვისახელა.

სკოლარი უსაქმური არაა, ევროპის ჩემპიონატამდე ქართველი ახალგაზრდით ტყუილად დაინტერესებულიყო.

და მაინც, ჩვენ არ გვსურს ვიჩქაროთ და სასურველ ფაქტად გავასაღოთ. ფაქტი კი მოგახსენეთ და თავად განსაჯეთ, რა ხდება ბარაბაძის თავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# კვარაცხელია ფრეს დასჯერდა

ბელარუსის ჩემპიონატის მე-11 ტურში მინსკის „მტზ-რიპო" შინ სოლიგორსკის „შახტიორს" დაუზავდა – 1:1. **გივი კვარაცხელიამ** 90 წუთი ითამაშა. „მტზ-რიპო" 23 ქულით ერთპიროვნული ლიდერია.

ყაზახეთის ჩემპიონატის მე-19 ტურის მატჩში კი ყარაღანდის „შახტიორმა" შინ 2:0 დაამარცხა „ატირაუ". მატჩის განაცხადში არ ყოფილა **ლაშა ნოზაძე**. „შახტიორი" 19 ქულით მე-7 ადგილზეა.

ავსტრიაში მყოფმა ყაზანის „რუბინმა" გუშინ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა ავსტრიულ „ვაკერთან" და 2:0 გაიმარჯვა. ამ შეხვედრის პირველ ტაიმში ითამაშა **დავით კვირკველიამ**, რომლის მაგივრადაც შესვენების შემდეგ **ლაშა სალუქვაძე** გამოვიდა. „რუბინი" სეზონის განახლებისთვის ავსტრიაში ემზადება.



გივი კვარაცხელია

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალი 2010. სამხრეთი ამერიკა. შესარჩევი მატჩები

# ნადი, დუნგა!

## ტორსიდა მთავარ მწვრთნელს ღიად უპირისპირდება, სამხრეთამერიკული კლასიკა ბრაზილია არგენტინას არ ჰგავდა

**ბრაზილია-არგენტინა 0 :0**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, ჟილბერტო, ანდერსონი (33. დიეგო, 79. დანიელ ალვეში), მინეირო, ჟილბერტო სილვა, ბაპტიშტა, ადრიანო (71. ლუიშ ფაბიანუ), რობინიო.

**არგენტინა:** აბონდანსიერი, ძანეტი, ბურდისო, კოლოჩინი, ჰაინცე, მასკერანო, გაგო, გუტიერესი, რიკელმე (84. ბატალია), მესი (92. პალასიო), კრუსი (68. აგუერო)

**ბოლივია-პარაგვაი 4:2**

**ბოლივია:** არიასი, ლეონელ რეიესი, რალდესი, რონალდ გუტიერესი, აბდონ რეიესი (67. რივერო), რიბეირო, რონალდ გარსია (46. ლუის გუტიერესი), ოტრიკო, ბაკა, მარტინსი, ბოტერო (72. საუსედო).

**პარაგვაი:** ბობადილია, ბონეტი, ჟულიო სესარ კასერესი, და სილვა, როდრიგესი, ვერა (46. სებალიოსი), ბარეტო, ვიქტორ კასერესი, რივეროსი, კაბანიასი (62. სანტა კრუსი) კარდოსო (62 ვალდესი)

**გოლები:** 1:0 ბოტერო (23), 2:0 რონალდ გარსია (25), 2:1 სანტა კრუსი (66), 3:1 ბოტერო (70), 4:1 მარტინსი (76), 4:2 ვალდესი.

**ეკვადორი-კოლუმბია 0:0**

**ეკვადორი:** სებალიოსი, დე ხესუსი, ურტადო, ესპინოსა, ამბროსი, კასტილიო, ურუტია (46. გერონი), ვალენსია, აიოვი (72. ბოლანოსი), ტენორიო (82. საისედო), ბენიტესი.

**კოლუმბია:** აგუსტინ ხულიო, ამაია, მორენო, მოსკერა, ელვის გონსალესი, სუნიგა, ხუან კარლოს ესკობარი (54. მორენო), გარინი, ტორესი (ერნანდესი), როდალიეგა, სოტო.

**ურუგვაი-პერუ 6:0**

**ურუგვაი:** კასტილიო, ბრუნო სოლვა, ლუგანო, კოდინი, მარტინ კასერესი, გარგანო (74. სუარესი), დიეგო პერესი (69. ეგურენი), იგნასიო გონსალესი, კრისტიან როდრიგესი, ფორლანი, ბუენო (80. აბრეუ).

**პერუ:** ბუტრონი, პრადო, როდრიგესი, ვილიალტა, ვარგასი (46. რენგიფო), სოლანო, ტორესი, სევასკო, იდალგო (68. გილიერმო სალასი), მარინო (71. კრუსადო) გერერო.

**გოლები:** 1:0 ფორლანი (8), 2:0 ფორლანი (38-პენ), 3:0 ფორლანი (57), 4:0 ბუენო (61), 5 :0 ბუენო (69), 6:0 აბრეუ (90).

**გაძევება:** გერერო (39).



დიეგოს აკრობატული დარტყმა

2010 წლის მუნდიალის სამხრეთი ამერიკის ზონის მორიგ შესარჩევ ტურში ყველაზე დიდ ინტერესს, რა თქმა უნდა, მსოფლიო ფეხბურთის უპირველესი ორი გრანდის, ბრაზილიისა და არგენტინის დაპირისპირება იწვევდა. ეს ორი ნაკრები რა მიზეზითაც არ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, ყოველთვის გულშემატკივრების უდიდეს ყურადღებას იქცევენ. ბუნებრივია, ამ შეხვედრას თავად ფეხბურთელებიც მოუთმენლად ელოდნენ. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ "ალბისელესტეს" განსაკუთრებული მოტივაცია ჰქონდა. საქმე ის რის, რომ არგენტინელებმა ბრაზილიელებთან ბოლო სამი პაექრობა კატასტროფული ანგარიშებით წააგეს. სამივე შემთხვევაში სხვაობა სამ ბურთს შეადგენდა. დაგვეთანხმებით, პენტაკამპეონთა დაუძინებელი მტრებისთვის ეს ამბავი ძალიან შეურაცხმყოფელი გახლდათ და ისინი შურისძიების სურვილით იწვოდნენ. **ალფიო ბასილესა** და მისი შეგირდებისთვის სამწუხაროდ, რევანში არ შედგა. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელები ბელო ორიზონტეში საუკეთესო შემადგენლობით ჩავიდნენ, **ჟულიო სეზარის** კარს მათ გასალები ვერ მოუნახეს. კაცმა რომ თქვას, თუნდაც პრობლემებით დამძიმებული ბრაზილიის შეკვეთით დამარცხება, ფაქტობრივად, გადაუჭრელი ამოცანაა. შესაძლოა, ბასილეს იმის იმედი ქონდა, რომ **კარლოს დუნგას** შეგირდები წინა ტურში პარაგვაისთან განცდილი მარცხის (0:2) შემდეგ ძალიან ცუდ განწყობაზე იყვნენ.

როგორც მოგახსენეთ, სამხრეთამერიკული გიგანტების ბოლო სამი პაექრობა ბრაზილიელთა ტრიუმფალური გამარჯვებებით აღინიშნა. 2005 წელს კონფედერაციათა თასზე "ალბისელესტემ" სამარცხვინო ანგარიშით 1:4 წააგო. ამას 2006 წელს გამართული ამხანაგური ორთაბრძოლა მოჰყვა. ბრაზილიელებმა მაშინაც სამბურთიანი უპირატესობით (3:0) მოიგეს. ბოლოს მსოფლიო ფეხბურთის გოლიათების გზები 2007 წელს კოპა ამერიკაზე გადაიკვეთა. შესაძლოა, ვინმეს დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ არგენტინამ მაშინაც სამარცხვინოდ წააგო.



ბრაზილიელმა გულშემატკივარმა დუნგას უსტვინა

დიდი გუნდების ბრძოლას გულშემატკივრები ლამაზი ფეხბურთის ნახვის იმედით ელოდნენ, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. ნულოვანი ფრე ნეიტრალური ქომაგისთვის ყველაზე მოსაწყენი და მიულებელი ანგარიშია. მით უმეტეს, მაშინ, როცა მოედანზე არგენტინელი და ბრაზილიელი სუპერვარკსვლავები დგანან. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, პლანეტის საუკეთესო პროფესიონალებმა განსაკუთრებული ვერაფერი გააკეთეს. პირველ ტაიმში არგენტინა საგრძნობ უპირატესობას ფლობდა. ბასილეს ბიჭები ბევრად უფრო აგრესიულად თამაშობდნენ. თავდაპირველად, მასპინძელ მცველებს სტუმართა იერიშების შეჩერება ძალიან უჭირდათ. მიუხედავად ამისა, საქმე რეალურ საგოლე მომენტებამდე მაინც არ მიდიოდა. ამის მიზეზი "ალბისელეტსეს" ბიჭების დაუდევრობა გახლდათ. დამაგვირგვინებელ ფაზაში ისინი შეცდომებს ხშირად უშვებდნენ. გასაგებია, რომ მომქანცველი საკლუბო სეზონის შემდეგ ვარკვლავთა დიდ ნაწილს ბურთი ყელში აქვს ამოსული, მაგრამ ასეთ პრინციპულ დაპირისპირებაში ადამიანმა ყველა პრობლემა უნდა გადალახოს. სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა. პირველი ნახევარი განსაკუთრებით უსახური გამოდგა. კიდევ კარგი, მეორე ტაიმში რამდენიმე საგოლე მომენტი მაინც შეიქმნა. 56-ე წუთზე **ხულიო კრუსმა** ძლიერი დარტყმით ძელი შეაზანზარა. ხუთი წუთის შემდეგ კი შეხვედრის საკვანძო ეპიზოდი გათამაშდა. **ჟულიო ბაპტიშტამ** ანგარიშის გახსნის 100-პროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენა. "რეალის" ფორვარდს **რობერტო აბონდანსიერიმ** აჯობა. კარგი შანსი ჰქონდა **ხავიერ მასკერანოსაც**, მაგრამ მასაც მეკარემ აჯობა. მეორე ნახევარში სტუმართაგან ყველაზე აქტიურად **ლეო მესი** თამაშობდა. "ბარსას" გენიალურმა ფორვარდმა რამდენიმე ეფექტური დრიბლინგი განახორციელა. გარდა ამისა, ლეომ გულშემატკივრებს სახიფათო დარტყმებითაც დაამახსოვრა თავი. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე მესიმ გოლის გატანის არაჩვეულებრივი შანსი გაუშვა ხელიდან.

არგენტინელების დიდი მცდელობისა და სურვილის მიუხედავად, ამოცანა გადაუჭრელი დარჩა. "ალბისელესტეს" ბრაზილია სტუმრად 1998 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია. ეს ის შემთხვევა გახლდათ, როცა ყაიმით არც ერთი მხარე არ დარჩებოდა კმაყოფილი. კარლოს დუნგას ჟურნალისტები კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ. პარაგვაისთან წაგების შემდეგ არგენტინის დამარცხება რეაბილიტაციისთვის საუკეთესო საშუალება იქნებოდა, მაგრამ პენტაკამპეონებს სამი ქულა აბსოლუტურად არაფრით დაუმსახურებიათ. დაუჯერებელია, მაგრამ ბრაზილია გათამაშების ცხრილის მეოთხე საფეხურზე იმყოფება. "ალბისელესტე" კი მეორე ადგილზეა. სასოწარკვეთილი გულშემატკივრები ხმის ჩახლეჩვამდე ყვიროდნენ და ნაკრების დამრიგებლის წასვლას ითხოვდნენ – ნადი, დუნგა! ასეთი იყო ტორსიდის სულისკვეთება.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბრაზილიის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გაღიზიანებული და განრისხებული ჟურნალისტების მწვავე კითხვებს უპასუხა. კორესპონდენტები მას მხდალი ფეხბურთის თამაშის გამო საყვედურობდნენ. კარლოს დუნგას განცხადების მოკლე შინაარსი ასე გამოიყურება: *"ძალიან ვწუხვარ, რომ საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ და გამარჯვება ვერ მოვიპოვეთ. ჩემი აზრით, მოგებას ვიმსახურებდით. მართალია, გოლის გატანის შანსი ჩვენს სტუმრებსაც ჰქონდათ, მაგრამ მთლიანობაში "სელესაო" უფრო დამაჯერებლად ასპარეზობდა. რა თქმა უნდა, გუნდს პრობლემებიც შეექმნა. დასამალი არ არის, რომ ფეხბურთელების დიდი ნაწილი შორსაა სასურველი კონდიციებისგან. სეზონის ამ მონაკვეთში ეს არც არის გასაკვირი. დაცვაში გარკვეული ხარვეზები გვქონდა, მაგრამ კატასტროფას ვერ ვხედავ. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები რამდენჯერმე სერიოზულად შეცდნენ, მათ ვერაფერს ვუსაყვედურებ. დღეს თავი არავის დაუზოგავს. დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრები ამას შეამჩნევდნენ და უსამართლოდ არ გაგვაკრიტიკებენ. ახლა მეოთხე ადგილზე ვართ, თუმცა ეს დროებითი მოვლენაა. ეჭვი არ მეპარება, რომ ტურნირის მსვლელობისას სატურნირო მდგომარეობას მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ."*

დუნგასგან განსხვავებით, არგენტინასთან მატჩით **რობინიო** უკიდურესად უკმაყოფილო დარჩა: *"ჩემი აზრით, "სელესაომ" დღეს ძალიან ცუდად ითამაშა. ფაქტობრივად, არაფერი გამოგვდიოდა. ნახევარდაცვაში შეცდომებს ხშირად ვუშვებდით. პრინციპში, შეტევაშიც ვერაფერი გავაწყვეთ. არ დავმალავ, რომ საშინაო შეხვედრაში მიღწეული ფრით ძალიან უკმაყოფილო ვარ."*

სამხრეთამერიკულ კლასიკაზე საუბარს ალფიო ბასილეს განცხადებით დავასრულებთ: *"შედეგით კმაყოფილი არ ვარ, ჩემს კოლეგას კი მიაჩნია, რომ გამარჯვებას ბრაზილია იმსახურებდა, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით მე რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება მაქვს, ჩემი აზრით, გამარჯვებას არა ბრაზილია, არამედ არგენტინა იმსახურებდა. არ ვიცი, შესაძლოა, ფრე ყველაზე ლოგიკური შედეგი იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, წასაგები ნამდვილად არაფერი გვქონდა. მე არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვარ და ზედიზედ ორი ყაიმით კმაყოფილი, რა თქმა უნდა, ვერ ვიქნები. აშკარაა, რაღაც პრობლემები გვაქვს გამოსასწორებელი. ანალიზისთვის საკმოდ ბევრი დრო მაქვს. ყველაფერს ავწონ-დავწონი და საჭირო დასკვნებს გამოვიტან. ბიჭებს თავდადებული თამაშისთვის მადლობას მოვახსენებ. მართალია, ბევრი რამ არ გამოგვივიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე მოთამაშემ თავი დაზოგა. უბრალოდ, გუნდი ახლა არ არის საუკეთესო ფორმაში."*

ტურის დანარჩენ შეხვედრებზე მოკლედ მოგახსენებთ. ბევრისთვის მოულოდნელად პარაგვაიმ ლა პასში კრახი განიცადა. არადა, რამდენიმე დღის წინათ ამ გუნდმა ასუნსიონში თვით ბრაზილიას სძლია. გამორიცხული არ არის, უსახური თამაშის მიზეზი ზღვის დონიდან 3 600 მეტრზე ასპარეზობაც იყოს. ყოველ შემთხვევაში, სტუმრები ძალიან დაღლილები და ინერტულები ჩანდნენ. ანგარიში 23-ე წუთზე გაიხსნა. **ბოტერომ** გრძელი პასი მიიღო, ბურთი კარგად დაამუშავა და ბოლივია დააწინაურა. მალე მოვლენათა ეპიცენტრში უკვე **გარსია** მოექცა. ბოლივიელმა დაახლოებით 30 მეტრიდან შესრულებული დარტყმით შეაგდო. მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა **როკე სანტა კრუსმა** ერთი ბურთი გქვითა. პარაგვაელებს შეხვედრის გადარჩენის იმედი გაუჩნდათ, თუმცა ეს იმედი ძალიან მალე მოკვდა. ბოტერომ **რონალდ გუტიერესის** მიერ წამოწყებული იერიში დააგვირგვინა და სტატუს კვო აღადგინა. 76-ე წუთზე **მარტინსმა** საჯარიმო დარტყმა გოლად აქცია. საფინალო სასტვენამდე არცთუ დიდი ხნით ადრე **ვალდესმა** მასპინძლებს მეორე გოლი გაუტანა, მაგრამ პარაგვაისთვის ამით არაფერი შეცვლილა.

კოლუმბია მიმდინარე საკვალიფიკაციო რაუნდის ერთადერთი გუნდია, რომელსაც ერთი შეხვედრაც არ წაუგია. მისი დამარცხება ეკვადორმაც ვერ მოახერხა, თუმცა რომელ დამარცხებაზეა საუბარი, როცა მასპიძნძლები თავად ძლივს გადაურჩნენ წაგებას. გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი **ხუან კარლოს ესკობარს** ჰქონდა, მაგრამ მან ახლო მანძილიდან ვერ შეაგდო.

სამხრეთამერიკული ფეხბურთი ევროპულისგან, პირველ რიგში, სანახაობით, ტექნიკითა და რომანტიზმით განსხვავდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მონტე ვიდოში გამართულმა დაპირისპირებამ ყველა ეს კომპონენტი გააერთიანა. ურუგვაელებმა პერუ მიწასთან გაასწორეს. მასპინძლები ლაღად თამაშობდნენ. ხშირი იყო მიპროვიზაცია და ეგრეთ წოდებული, რომანტიკული ფეხბურთისთვის დამახასიათებელი ფინტები. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "სელესტემ" აბსოლუტურად დამსახურებულად გაიმარჯვა. ურუგვაელთა შორის ყველაზე გამორჩეული, რა თქმა უნდა, **დიეგო ფორლანი** იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, "ატლეტიკოს" ფორვარდმა პერუს ეროვნულ გუნდს სამი გოლი გაუტანა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# თერიმი: 17 ფეხბურთელის ამარა

## ბილიჩისათვის მეოთხედფინალში გასვლა პროგრამა მინიმუმი იყო


სლავენ ბილიჩი

**მეოთხედფინალი**

**ხორვატია-თურქეთი**

ვენა. 20 ივნისი. 22:45

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ხორვატია:** პლეტიკოშა, ჩორლუკა, რობერტ კოვაჩი, შიმუნიჩი, პრანიჩი, ნიკო კოვაჩი, სრნა, მოდრიჩი, რაკიტიჩი, კრანჩარი, ოლიჩი.

**თურქეთი:** რუშთუ, ჰამით ალთინთოფი, ემრე ასიქი, გოჰან ზანი, ჰაქან ბალთა, მეჰმეთ თოფალი, კაზიმ-რიჩარდსი, თუნჯაი, არდა, ნიჰათი, სემიჰ სენთურქი.

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია)

ევროპელი მიმომხილველები ხორვატიას ჩემპიონატის ფავორიტებს შორის აყენებენ. ის ერთ-ერთია იმ სამ ნაკრებს შორის, რომელმაც ჯგუფში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა. ხორვატების გარდა, სამი მატჩი ჰოლანდიამ და ესპანეთმა მოიგეს. ეს გუნდები კი ტურნირის მოგებაზე აცხადებენ პრეტენზიას. **სლავენ ბილიჩის** შეგირდები მეოთხედფინალური წყვილის ფავორიტები არიან. გასაკვირი იქნება, თუ ისინი ტრავმებითა და დისკვალიფიკაციებით შესუსტებულ თურქეთს ვერ გაივლიანო, წერს ბი-ბი-სი.

ხორვატების წარმატება მოულოდნელი იყო ევრო 96-ზე. იმ დროისათვის, ხორვატთა ნაკრები არსებობის ოთხ წელს ითვლიდა. მათ კი პირველსავე დიდ ტურნირზე მეოთხედფინალში გააღწიეს. ორი წლის შემდეგ ხორვატიამ უფრო დიდი სენსაცია გამოაცხო - მეოთხედფინალში ევროპის ჩემპიონი გერმანია დაამარცხა (3:0) და მუნდიალის მესამე ადგილს დასჯერდა.

დღეს ხორვატების წარმატებები აღარავის უკვირს. გუნდი რეგულარულად მონაწილეობს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. შესარჩევ ტურნირში, ინგლისის ნაკრების ორჯერ დაბრიყვებაც ამ გუნდის სიძლიერის ნიშანია. ბილიჩი ამბობს, რომ ის, რაც 12 წლის წინ დიდი წარმატება იყო, დღეს პროგრამა-მინიმუმია: *„ჩვენი აზრით, მეოთხედფინალში გასვლა დიდი ვერაფერი შედეგია. ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია. ფლეი ოფში თამაში ტურნირის დაწყებამდე დავგეგმეთ."*

აი, როგორც აფასებს ხორვატიას ყოფილი მეტოქე, პოლონელთა თავკაცი **ლეო ბეენჰაკერი**: *"ამ ნაკრებს საუცხოო ფეხბურთელები ჰყავს. ეს არ არის ცალკეული ინდივიდების კრებული მათ გუნდურად თამაში შეუძლიათ. ბილიჩი შესანიშნავი მწვრთნელია. ხორვატიას ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია."*

პოლონეთთან ბოლო მატჩისას ხორვატიამ სარეზერვო შემადგენლობით ითამაშა. ბილიჩმა ცხრა წამყვანი მოთამაშე დაასვენა და მაინც მოიგო (1:0). გოლი **ივან კლასნიჩმა** გაიტანა. მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამიტომ თურქეთის წინააღმდეგ, შეიძლება, ძირითადში ვიხილოთ.

თურქთა ნაკრებს სერიოზული გამოცდა ელის. მათ ჩეხეთთან შთამბეჭდავ გამარჯვებას დიდი ფიზიკური და მენტალური ენერგია შეალიეს. ზემოთ ტრავმები და დისკვალიფიკაციები ვახსენეთ. **ფათიჰ თერიმს** შვიდი ფეხბურთელი აკლია. მათ შორის, წამყვანი ფეხბურთელები - ძირითადი მეკარე **ვოლქან დემირელი**, კაპიტანი **ემრე ბელოზოღლუ** და ნახევარდაცვის კიდევ ერთი ლიდერი **აურელიო**. თურქების სკამი მოკლეა. თვით თურქი მიმომხილველებიც აღიარებენ, რომ მათ გუნდს ხორვატებთან ძალიან გაუჭირდება.

ვოლქანის ადგილს ვეტერანი **რუშთუ რექბერი** დაიჭერს. გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ ხანგრძლივი შვებულება გამოიწერა წამყვანმა ცენტრალურმა მცველმა **სერვეთ ჩეთინმა**. ტურნირს უფრო ადრე გამოეთიშა **ემრე გონგური**. **თუმერ მეთინი** დაშავებულია და მხოლოდ ნახევარფინალში შეძლებს თამაშს (რა თქმა უნდა, თუ თურქეთი ნახევარფინალის საგზურს მოიპოვებს.)

თერიმი: *„15 მინდვრის მოთამაშე და ორი მეკარე დაგვრჩა და მხოლოდ სამი ფეხბურთელის შეცვლა შეგვიძლია. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. დღემდე ჩატარებულ მატჩში ფრთხილად ვიწყებდით და ტემპს მეორე ტაიმში ვუმატებდით. ხორვატიასთანაც ასე მოვიქცევით. სიმართლე გითხრათ, დამატებით დროსა და პენალტებზე არ მიფიქრია. იმედია, თამაში ჩვენს სასარგებლოდ 90 წუთში დასრულდება."*

თერიმმა ისიც თქვა, რომ ჩეხეთთან გამარჯვებამ თურქებს განუზომელი სტიმული მისცა. გუნდი მომდევნო ეტაპზე გასვლას სწორედ ამის ხარჯზე შეეცდება: *„ჩვენი უპირატესობა ისაა, რომ არასოდეს ვნებდებით და ყოველთვის ბოლო ამოსუნთქვამდე ვთამაშობთ."*

საკადრო პრობლემები აქვთ ხორვატებსაც. **ივან რაკიტიჩი** დაშავებულია და შეიძლება, ვერ ითამაშოს. ექიმები იმედს იძლევიან, ბილიჩი კი სამედიცინო ტესტის შედეგს ელოდება. თვითონ ფეხბურთელი ამბობს, რომ მწყობრშია და თუ ძირითადში დააყენებენ, მზადაა, შეუცვლელად ითამაშოს.

მძიმედ დაშავდნენ და ევროპის ჩემპიონატს დაემშვიდობნენ მცველი **დარიო კნეზევიჩი** და თავდამსხმელი **იგორ ბუდანი**. გამოჯანმრთელდა მარჯვენა გარემარბი **დარიო სრნა**. მას პირველივე წუთიდან ვიხილავთ.

თუ რაკიტიჩიც ითამაშებს, მასა და **ნიკო კრანჩარს** კვლავ ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელის, **ივიცა ოლიჩის** უკან ვიხილავთ. სრნა და **ლუკა მოდრიჩი** ნახევარდაცვის ცენტრში ითამაშებენ. მათ გვერდით ეყოლებათ 36 წლის კაპიტანი **ნიკო კოვაჩი**, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან წასვლას აპირებს. სრნამ თქვა, რომ მისი გუნდი თამაშს ფრთხილად დაიწყებს და მეტოქის შეცდომას დაელოდება.

მოდრიჩის სიტყვებით, თურქეთთან მატჩი ყველაზე მნიშვნელოვანია, რომელიც მისი თაობის მოთამაშეებს დღემდე უთამაშიათ. ნახევარფინალი, რა თქმა უნდა, უფრო მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ ნახევარფინალში სათამაშოდ, საკმაოდ უხერხული მეტოქის გავლაა საჭირო: *"ქაღალდზე ფავორიტები ჩვენ ვართ. მთავარია, ფავორიტის სტატუსი გავამართლოთ. ჩემი აზრით, ძალიან თანაბარი თამაში იქნება."*

ჩეხეთთან მატჩის გმირმა **ნიჰათმა** გუშინდელ პრესკონფერენციაზე საინტერესო კომენტარი გააკეთა: *"ექვსი წელია, ესპანეთში ვთამაშობ (ნიჰათის ამჟამინდელი კლუბი "ვილიარეალია"), ამიტომ ესპანეთის ნაკრებს ფინალში გასვლას ვუსურვებ. იქ კი, იმედია, ჩვენ შეგვხვდება."*

1996 წლის ევროპის პირველობაზე, რომელიც ხორვატებისათვის სადებიუტო იყო, მათი პირველი მეტოქე თურქეთი გახლდათ. თავის მხრივ, თურქეთიც ევროპის პირველობის დებიუტანტი იყო. ხორვატიამ მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა. ერთადერთი გოლი **გორან ვლაოვიჩმა** შეაგდო. **სლავენ ბილიჩი**, რა თქმა უნდა, მოედანზე იყო.

12 წლის წინ ვლაოვიჩმა თამაშის მიწურულს, 87-ე წუთზე გაიტანა. თურქეთის დღევანდელმა ნაკრებმა სამიდან ორი მატჩი ბოლო წუთებზე მოიგო — ჯერ შვეიცარიასთან (2:1) და შემდეგ ჩეხეთთან (3:2). თურქების ბოლო წარმატება იმითაცაა დასაფასებელი, რომ ორი ბურთის სხვაობით აგებდნენ. მათ არათუ ანგარიში გაათანაბრეს, გაიმარჯვეს კიდეც (ნიჰათის დუბლით).

ხორვატებს მეოთხედფინალში გასასვლელად დრამატული მომენტების გამოვლა არ დასჭირვებიათ. მათ სამივე მატჩში მშვიდად გაიმარჯვეს. ამ თამაშებიდან ყველაზე შთამბეჭდავი, რა თქმა უნდა, გერმანიასთან გამარჯვება იყო (2:1).

1996 წლის შემდეგ ეს გუნდები კიდევ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს - 1997 წლის ივნისში, კირინის თასზე იაპონიაში (1:1) და 2004 წლის მარტში, ამხანაგურად ზაგრებში (2:2). სხვათა შორის, თურქეთი ამ ბოლო შეხვედრასაც ორი ბურთის სხვაობით აგებდა და საბოლოოდ, ფრედ ითამაშა.

ამ წყვილის გამარჯვებული ნახევარფინალში გერმანიას შეხვდება. პირველი ნახევარფინალისტის ვინაობა წუხელ, ბაზელში გამოვლინდა.


დარიო შიმიჩი და მლადენ პეტრიჩი



თუნჯაი და ნიჰათი ხორვატებთან თამაშისთვის გამალებით ემზადებიან

EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გუუს ჰიდინკთან

# დღეს რუსეთი აუტსაიდერი აღარ არის

## ჰიდინკი თავისი გუნდით ამაყობს

რუსეთის ნაკრების ბოლო ორმა მატჩმა ფეხბურთის გულშემატკივრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სწორედ ამ გუნდის თამაშია იმის ნათელი დემონსტრირება, თუ რას ნიშნავს დიდი მწვრთნელის ხელი. ხოლო ჰიდინკი რომ უმაღლესი დონის სპეციალისტია, ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდა ის ხალხი, ვისაც ცოტათი მაინც ეჭვი ეპარებოდა. ვგონებთ, რუსეთის ნაკრების მაგალითი საქართველოსთვისაც გასათვალისწინებელი უნდა იყოს. მართალია, აქ მასშტაბები სხვაა, მაგრამ პრინციპი ერთია: კარგი მწვრთნელი ეროვნული გუნდისთვის და თუნდაც საშუალო დონის ადგილობრივი ჩემპიონატი. ნათელია, რომ ნებისმიერი ნაკრებისთვის მთავარი საბადო სწორედ შინაური პირველობაა, რადგან თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ნაციონალურ გუნდს წარმატებისთვის მხოლოდ ლეგიონერთა ხარჯზე მიუღწევია...

შვედეთთან მატჩის შემდეგ გუუს ჰიდინკმა პრესკონფერენცია გამართა. გუშინდელ ნომერში ამ პრესკონფერენციის მხოლოდ ფრაგმენტი შემოგთავაზეთ, ახლა კი სრულად გთავაზობთ. ვგონებთ, საინტერესო უნდა იყოს...


გუუს ჰიდინკი

- პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ამ გუნდით ვამაყობ. მეოთხედფინალში გასვლა ეს ჩემი პირადი წარმატება არ გეგონოთ, ეს მთლიანად ქვეყნის გამარჯვებაა, პატარა, მაგრამ მაინც გამარჯვება. ასევე მიღწევაა ისიც, რომ რამდენიმე დღეში, ვიტყოდი, საათშიც კი, ძირფესვიანად შევცვალეთ თამაში. იმ შეცდომების გამოსასწორებლად, რაც ესპანეთთან მატჩში დავუშვით, დრო შეზღუდული გვქონდა. საბერძნეთთან და შვედეთთან რუსეთის ნაკრები საკუთარ თავს გადაახტა. შვედებთანაც პირველ ტაიმში გავიტანეთ გოლი, მერე კიდევ შეგვეძლო გატანა და მთელი მატჩის განმავლობაში პრესინგსაც მივმართავდით. ვერც ვიხსენებ ჩვენს კართან ოდნავ მაინც სერიოზულ ხიფათს... დამეთანხმეთ, რომ დღეს რუსეთის ნაკრები აღარ არის აუტსაიდერი, ეს უკვე გამოცდილი, დაბრძენებული გუნდია. თუ ადრე, გულუბრყვილობის გამო, ბავშვურ შეცდომებს ვუშვებდით, დღეს მეტი ეშმაკობა გვაქვს და მეტოქეს იქით ვაშვებინებთ შეცდომებს... მოკლედ, ძალიან კმაყოფილი ვარ, ძალიან...

**- აქვთ თუ არა ჰოლანდიელებს იმის საფუძველი, რომ რუსეთის ნაკრების ეშინოდეთ?**

- ეს კითხვა მათ უნდა დაუსვათ. ვთვლი, რომ ჩვენი თამაში პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ არა მგონია, ეშინოდეთ. ჰოლანდიის ნაკრებს მოსამზადებლად ხუთი დღე აქვს. ეს უკვე დიდი უპირატესობაა. იმ შემართებისა და საბრძოლო სულისკვეთების გათვალისწინებით, რაც დღეს რუსეთის ნაკრებს აქვს, იმ სტიმულითა და საკუთარ ძალებში რწმენით, რაც ამ ორმა თამაშმა შეგვძინა, ვფიქრობ, შევძლებთ, რომ კარგად მოვემზადოთ. დანარჩენს კი მატჩი გამოაჩენს. ცხადია, ჰოლანდიურ ფეხბურთს კარგად ვიცნობ. ვიცნობ ასევე ნაკრების დღევანდელ მწვრთნელებსა და რამდენიმე მოთამაშეს, რომლებთანაც მიმუშავია. მაგრამ მე დღეს რუსეთის ნაკრებში ვარ და ეს გუნდი სულ სხვა სტილში თამაშობს. ამ მხრივ, ნამდვილად საინტერესო თამაში უნდა გამოვიდეს.

**- ესპანეთთან დიდი ანგარიშით მარცხის შემდეგ, რუსეთის ნაკრებმა ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა. რა შეიცვალა გუნდში?**

- განწყობა და რაც წელან ვთქვი. მხედველობაში მაქვს საკუთარ ძალებში რწმენა. ესპანეთთან თამაშის შემდეგ ბიჭებს ჩემი მოთხოვნები წავუყენე. ავუხსენი, სად, რომელ რგოლში რა და როგორ იყო გამოსასწორებელი. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, გამეგო, რას ფიქრობდა გუნდი, ანუ, რა გზას აირჩევდნენ ფეხბურთელები - ბრძოლას თუ კაპიტულაციას. მათ აირჩიეს ბრძოლა და ამ ორ მატჩში დიდი ენერგია, მთელი სული და გული ჩააქსოვეს. და ნახეთ, რაც გამოვიდა. საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დავძლიეთ და ფეხბურთელებმა დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ ამ დონეზე თამაში. სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა იმ პროცესის ყურება, თუ როგორ იზრდება გუნდი. მაგრამ ვერც იმის გარანტიას მოგცემთ ვინმეს რომ ყოველთვის ასე ვითამაშებთ. საერთაშორის დონეს კი ნამდვილად მივაღწიეთ. სწორედ ამ მომენტებს ვუსვამდით ხაზს ფეხბურთელებთან საუბრის დროს, როცა გადამწყვეტი მატჩებისთვის ვემზადებოდით.

**- შვედეთთან მატჩში ძალიან ბევრი არარეალიზებული მომენტი იყო, ისევე, როგორც საბერძნეთთან შეხვედრის დროს. ეს ხომ პრობლემაა?**

- ცხადია, პრობლემაა. შვედებისთვის კიდევ ოთხი გოლი უნდა გაგვეტანა, და ეს, როგორც მინიმუმ. ეს პრობლემა გადაიჭრება. დროა საჭირო.

**- რუსეთის ნაკრები ევროპის რვა უძლიერეს ნაკრებს შორის მოხვდა. შეგიძლიათ თქვათ, რომ ამოცანას თავი გაართვით?**

- უეჭველია, რომ წარმატება უკვე სახეზეა, მეტადრე იმის გათვალისწინებით, თუ რა გზით შევძელით ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა. აშკარა პროგრესი გვაქვს. თუ ჩვენ ამ დინამიკას შევინარჩუნებთ, სრულვყოფთ ქვეყანაში საფეხბურთო სტრუქტურას, რაც გულისხმობს უკეთეს მენეჯმენტს კლუბებსა და ფეხბურთის ფედერაციაში, მაშინ, უახლოეს პერიოდში ჩვენ შეგვიძლია საუკეთესო ხუთეულზეც ვიფიქროთ. აქ ხაზი მინდა გავუსვა ერთ გარემოებას: დღევანდელი წარმატება არ ნიშნავს იმას, რომ ხვალ ყველაფერი თავისით მოვა და ამაზე უნდა გავჩერდეთ. არ მინდა, ფეხბურთელებმა იფიქრონ, რომ მაქსიმუმს მიაღწიეს. ვეცდები, დავარწმუნო ისინი, რომ თუ კვლავაც ამ გზით ვივლით, წინ გაცილებით მეტი გამარჯვება გველის.

**- შვედებთან პირველი მატჩი ჩაატარა ნაკრების ექსკაპიტანმა ანდრეი არშავინმა. როგორ შეაფასებდით გუნდში მის როლს?**

- არშავინი არის ფეხბურთელი, რომელიც სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს. შესაძლოა, ფიზიკურად დღეს ის არ არის კარგად მომზადებული, რადგან ბევრი გაუცდა, მაგრამ ჭკვიანი მოთამაშეა. ის კარგად ხედავს მოედანს და ადვილად ხვდება, საიდან შეიძლება მეტოქისთვის საფრთხის შექმნა. ამავე დროს, მას შეუძლია როგორც გოლების გატანა, ასევე შეტევების ორგანიზება. ამიტომაც მივიწვიე ნაკრებში. დარწმუნებული ვიყავი, რომ გუნდს სარგებელს მოუტანდა. შვედეთთან შეხვედრაში მას პერსონალური დავალება ჰქონდა: რიცხობრივი უპირატესობა შეექმნა ნახევარდაცვაში, რომელიც მეტოქეს, ორი ფორვარდის პირობებში, შესუსტებული ჰყავდა. არშავინმა ამ ამოცანას თავი გაართვა.

**- უკანასკნელად, რუსეთის ნაკრები ჰოლანდიას 2007 წლის დასაწყისში შეხვდა და დიდი ანგარიშით წააგო. აქვს დღეს მნიშვნელობა იმ შეხვედრაში დაშვებული შეცდომების ანალიზს?**

- მოდით, იმ მატჩის მაგალითით ნუ ვიმსჯელებთ. მაშინ, მოედანზე ორი სხვადასხვა გუნდი იყო. გაიხსენეთ, თამაში გაიმართა თებერვალში, როცა რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი ჯერ დაწყებული არ იყო. ფიზიკურად მზად არ ვიყავით. დღეს გაცილებით მაღალ დონეზე ვართ, 50 პროცენტით მაინც. რუსეთის ნაკრებმა ისწავლა თანამედროვე ფეხბურთის თამაში და ეს ფაქტია. ჩვენ გვყავს მოთამაშეები, რომლებიც მოედანზე სწრაფად აზროვნებენ.

# არშავინმა ბარსელონას უარი უთხრა

## რუსი ფორვარდი პეტერბურგში მეფესავით ცხოვრობს და ახალი თავგადასავალი არ სჭირდება

რუსეთის საფეხბურთო წრეებში ხმა დაირხა, **ანდრეი არშავინს** "ბარსელონა" ეპატიჟება, მაგრამ "ზენიტის" ფორვარდმა კატალონიურ გრანდს უარი შეუთვალაო. თურმე მას მშობლიურ პეტერბურგულ კლუბში თამაში ყველაფერს ურჩევნია. მით უმეტეს, "ზენიტის" ხელმძღვანელობა მას ძალიან დიდ ფულს უხდის.

ერთი შეხედვით, არშავინით "ბარსელონის" დაინტერესება უცნაური მოვლენაა, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსმა ფეხბურთელმა ბოლო წლებში გასაოცარ პროგრესს მიაღწია და რუსეთის ეროვნული გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა. "ზენიტში" მისი ავტორიტეტისა და მდგომარეობის შესახებ აღარაფერს ვამბობთ. ის სანკტპეტერბურგული გუნდის მეფეა!

არადა, არშავინთან თანამშრომლობის სურვილს ინგლისური, ესპანური და იტალიური გრანდები გამოთქვამენ. ისინი აცნობიერებენ, რომ წარსულში დარჩა დრო, როცა აღმოსავლეთევროპელ ფეხბურთელებს საერთაშორისო სტანდარტებისთვის სასაცილო თანხას გადაუგდებდნენ, ახალ მანქანას უყიდდნენ და მრავალწლიან კონტრაქტს გაუფორმებდნენ. არა, ახლა ნიჭიერ ფეხბურთელებს ასე იოლად და იაფად ვეღარავინ ჩაიგდებს ხელში. მით უმეტეს, ისეთ ფორვარდს, როგორიც არშავინია.

ამ ბიჭის ფასი დღითი-დღე იზრდება. მოგეხსენებათ, არშავინმა შვედეთის ნაკრების დამარცხებაში ლომის წილი შეიტანა. შედეგად რუსეთის ეროვნული გუნდი მეოთხედფინალში გავიდა. არშავინის მიერ გატანილმა გოლმა სპეციალისტებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ანდრეი მართლაც ევროპული დონის თავდამსხმელია. კლუბსა და ნაკრებში ჩატარებულმა არაერთმა ბრწყინვალე მატჩმა არშავინს მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი. თუნდაც უეფას თასის წლევანდელი გათამაშება რად ღირს. მისი მეცადინეობით, "ზენიტმა" სამუდამოდ შეაბიჯა ისტორიაში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, "ბარსელონის" დაინტერესება გასაკვირი სულაც არ არის. "კამპ ნოუზე" თამაში ზოგადად პრესტიჟთან, დიდ პატივსა და გამდიდრებასთანაა დაკავშირებული. როგორც ჩანს, არშავინს პრესტიჟი და პატივი დიდად არ ანაღვლებს. აი, ფულზე კი მას ნამდვილად არ აქვს სანერვიულო. რუსული კლუბები იმდენად გამდიდრდნენ, რომ მათი ხელმძღვანელები შემადგენლობების გასაძლიერებლად ათეულობით მილიონ დოლარს ხარჯავენ. ბუნებრივია, არშავინს კარგ ხელფასს არავინ დააყვედრის. თავად განსაჯეთ, "ზენიტში" ანდრეის კვირეული გასამრჯელო არც-მეტი არც ნაკლები 100 ათასი დოლარია. მოჭრილი ხელფასის გარდა ფორვარდს სოლიდურ პრემიალურებსაც უხდიან. მაგალითად მანჩესტერში "რეინჯერსის"დამარცხებისა და უეფას თასის მოპოვებისთვის ანდრეის საბანკო ანგარიშზე რამდენიმე ასეული ათასი დოლარი დაჯდა

როგორც ხედავთ, რუსებს ფული არ აკლიათ. ნუ იფიქრებთ, რომ ეს თანხები უშუალოდ საფეხბურთო ბიზნესიდან მოვიდა. არავითარ შემთხვევაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსული ფეხბურთი თავიდან ბოლომდე ნავთობზე დგას. დიახ, იქაური კლუბების აბსოლუტური უმრავლესობის მფლობელები ნავთობმაგნატები არიან. მათი ფეხბურთის ირგვლივ გაერთიანება შემთხვევითი არ გახლავთ. საქმე ის არის, რომ ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა **ვლადიმირ ვლადიმირის ძემ** უმდიდრეს ნავთობ მაგნატებს სპორტის, განსაკუთრებით კი ფეხბურთის მიხედვა დაავალა. ვინც დიდ ფულს დახარჯავდა, სახელმწიფოსგან ხელშეუხებლობის გარანტიას მიიღებდა. გარიგება იმდენად მყარია, რომ ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი **გუუს ჰიდინკი** ხელფასს არა საფეხბურთო ფედერაციიდან, არამედ **რომან აბრამოვიჩის** კერძო ფონდიდან იღებს.

და მაინც, "ზენიტი" რამდენად დიდ ფულსაც არ უნდა გიხდიდეს, თუ თავმოყვარე და ამბიციური ფეხბურთელი ხარ, "ბარსელონის" წინადადებაზე უარი არ უნდა თქვა, მაგრამ 27 წლის არშავინი ხომ წყეულ საბჭოთა კავშირშია დაბადებული. ეტყობა, მენტალიტეტი მასაც მოეწამლა და წარმოდგენა არ აქვს რა არის ლაღი ცხოვრება.

**ილია ნიკოლაიშვილი**


ანდრეი არშავინი

EURO 2008

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი

# დავიდიდან გოლიათამდე

## ევროს შემდეგ ვალენსიელ ბომბარდირს დიდი რიგი დაუდგება

**დავიდ ვილიას სახელი და გვარი უკვე რამდენიმე წელიწადია ევროგრანდების მენეჯერთა ბაგეებს არ სცილდება. რომელი უმდიდრესი კლუბი დავასახელოთ, "ჩელსი", "ლივერპული", "რეალი", "ბარსელონა" თუ კიდევ არაერთი სხვა? ამ ფეხბურთელით განსაკუთრებით ინგლისური გრანდები იყვნენ (და არიან) დაინტერესებულნი. "არისტოკრატები" "ვალენსიას" კონკრეტულ, საკმაოდ მსუყე თანხას სთავაზობდნენ ფეხბურთელის კონტრაქტის გამოსყიდვის სანაცვლოდ, მაგრამ ესპანელები მტკიცედ იდგნენ საკუთარ პოზიციაზე და ფეხბურთელის გასხვისებაზე სასტიკ უარს იყვნენ. არავინ იცის, რას იტყვიან ევროპის მიმდინარე ჩემპიონატის დასრულების შემდეგ. არადა, იმთავითვე ცხადია, რომ ვილიას მთხოვნელთა უფრო დიდი რიგი დაუდგება.**

*"დავიდზე ისე ალაპარაკდნენ ჟურნალისტები და მენეჯერები, თითქოს ახლა აღმოაჩინეს, რომ ბრწყინვალე ფორვარდია, თითქოს მანამდე, ჯერ "სარაგოსასა" და მერე "ვალენსიაში", რეგულარულად არ გაჰქონდა გოლები. ცხადია, რომ ის ფანტასტიკური ფეხბურთელია,"* – განაცხადა მეგობარზე ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **ფრანსესკ ფაბრეგასმა** და ეს სიტყვები ზუსტად ასახავს რეალობას. ასახავს იმიტომ, რომ დავიდი აქამდეც უმაღლესი კლასის ფეხბურთელი იყო და ის მიმდინარე ბატალიებშიც მისთვის დაკისრებულ როლს თამაშობს, სიახლე მხოლოდ მისადმი დამოკიდებულებაშია. ჯერ კიდევ გერმანიაში გამართულ მუნდიალზე დავიდი **ფერნანდო ტორესის** ჩრდილში რჩებოდა. ასე ვთქვათ, მისი საჭურველმტვირთველის როლს ასრულებდა და, ამის მიუხედავად, ორივემ 3-3 გოლის გატანა მოახერხა. **რაულისა** და ტორესის ქვეყანაში ის მაინც მესამე ფორვარდად რჩებოდა... მაგრამ **ლუის არაგონესმა** ყველასთვის გაუგებარი მიზეზების გამო მთელი ნაციის უმთავრესი კუმირი რაული ნაკრებიდან მოკვეთა და ასპარეზი ვალენსიელს დაუთმო. დიახ, ნამდვილად იყო გრანდების ინტერესი, იყო კონკრეტული წინადადებებიც მის შესაძენად, მაგრამ პოპულარობის ზენიტში ის სწორედ ავსტრია-შვეიცარიის ჩემპიონატმა აიყვანა. დავიდ ვილიამ ჯერ **აკინფეევს** გაუტანა 3 ბურთი და მერე ამ ჰეთთრიკზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გოლი მატჩის 90-ე წუთზე შვედთა გოლკიპერ **ისაკსონს**, რისი წყალობითაც პირენეელებმა პლეიოფის საგზური (ამასთან, ჯგუფში პირველი ადგილი) გაინაღდეს.

არადა, "ვალენსიის" ქართველ ქომაგებს აშკარად ახსოვთ, რომ დავიდის პრეზენტაციამ კლუბში უჩუმრად ჩაიარა. ყოველ შემთხვევაში ისე არა, როგორც ასტურიელი ფორვარდი ისურვებდა. დიახ, მას "სარაგოსაში" საშუალოდ ყოველ მეორე თამაშში გაჰქონდა გოლი. დიახ, მას უკვე მოხვეჭილი ჰქონდა გარკვეული სახელი, მაგრამ როცა ფეხბურთელი "სარაგოსიდან" (პროვინციული კლუბიდან) "ვალენსიაში" (კლუბში სადაც ამბიციები დუღს და გადმოდუღს) მიდის, ყოველთვის რჩება შანსი, რომ ტრანსფერმა არ გაამართლოს და ფული წყალში გადაყრილი აღმოჩნდეს. რაღა დაგიმალოთ და ამის შანსი ელიტური კლუბიდან არანაკლებ ელიტურში მიმავალ ფეხბურთელსაც აქვს და ამის შესანიშნავი მაგალითი **ანდრეი შევჩენკოა**. დავუბრუნდეთ დავიდს... ჩვენმა გმირმა **კიკე სანჩეს ფლორესის** სქემებში ძალიან ადვილად დაიკავა კუთვნილი ადგილი და პირველივე სეზონის ბოლოს მის ანგარიშზე 25 გატანილი გოლი აღმოჩნდა, რამაც **სამუელ ეტოოს** შემდეგ პრიმერას მეორე საუკეთესო ბომბარდირის ტიტული გაუნაღდა.

დავიდის საუკეთესო თვისება არაა სისწრაფე, არც ტექნიკა. არადა, დაგვეთანხმებით, ესპანელი ძალიან სწრაფი და ძალიან ტექნიკურია. მისი უმთავრესი კოზირი საგოლე ალღოა. ერთმა ენამოსწრებულმა ესპანელმა ჟურნალისტმა ისიც კი დაწერა, კიდევ კარგი დავიდ ვილია და **რუუდ ვან ნისტელროი** ერთად არ თამაშობენ, თორემ მეტოქის კართან საგოლე სიტუაციისას ყოველ თამაშში ერთმანეთს რამდენჯერმე დაეჯახებოდნენ შუბლით ბურთის დარტყმის მომენტშიო. სწორედ რომ განსაკუთრებულმა ნიჭმა აქცია ფეხბურთელი მომავალი სატრანსფერო ბატალიების ერთ-ერთ ყველაზე გემრიელ ლუკმად. თავად ფეხბურთელმაც არაერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება "ღამურების" სავალალო საკლუბო პოლიტის გამო და მინიშნებებით ისიც კი თქვა, თუ სად ისურვებდა კარიერის გაგრძელებას. *"მე ყურადღებით ვუყურებ ინგლისის პრემიერლიგის თამაშებს და ყველაზე მეტად "არსენალის" სტილი მხიბლავს. ესაა თამაში ერთი შეხებით, განსაკუთრებული აქცენტით შეტევაზე, ანუ ყველაფერი ის, რაც ჩემს გემოვნებაში ჯდება".* ასეთი გამონათქვამებით მან არაერთი ღამე გაათენებინა თეთრად "ვალენსიის" უფროსობას და ასევე მრავალჯერ მისცა ნერვიულობის საბაბი გუნდის გულშემატკივრებს. სწორედ იმ დროს, როცა მისი გუნდი ნელ-ნელა ეფლობოდა სატურნირო ჭაობში, მას **რონალდ კუმანის** შესახებ ორიოდე სიტყვის თქმა სთხოვეს, რაზეც ვილიამ მიუგო: *"კუმანის მომავალი ჩემი საქმე და ჩემი სანერვიულო არაა. მე მხოლოდ ვარჯიშებზე ვარ კონცენტრირებული და მსურს, რომ მაქსიმალურად კარგ ფორმაში ვიყო."* მსგავსი მკვახე ფრაზებით ფეხბურთელმა შვედეთის ნაკრების მცველებიც ლამის წყობიდან გამოიყვანა. მათი საერთო დასკვნა ასეთი იყო: *"დავიდი ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ, ამასთან, აბსოლუტური იდიოტია. მასთან ურთიერთობა შეუძლებელია".* საინტერესოა, რას იტყოდა მასზე რუსი **რომან შიროკოვი**, ვისაც ვილიას მეურვეობა პერსონალურად ევალებოდა ესპანეთისა და რუსეთის მატჩისას.

ფეხბურთელს რთული ხასიათი ბავშვობიდან მოჰყვება. მას მუდამ არაადამიანური შრომა უწევდა თავის გასატანად. იყო ძალიან გამხდარი, სუსტი, დაბალი და რაღა გასაკვირია, რომ "ოვიედოს" სკოლაში არ ისურვეს მისი მიღება. მით უფრო, რომ ძალიან ხშირად ავადაც ხდებოდა ხოლმე. მისი მასწავლებლები მოგვიანებით იხსენებდნენ, რომ დავიდი სხვებისგან ყოველთვის გამოირჩეოდა ნიჭით და სიზარმაცით. პატარა ვილია გაკვეთილების მიმდინარეობისასაც კი ძალიან ბევრს ფიქრობდა, ოცნებობდა, მაგრამ არასდროს ეს ფიქრები და ოცნებები სკოლასა და სწავლას არ შეხებია. თანმდევი ღიმილი მის ბაგეებზე ნიშნავდა, რომ ოცნებებში სავსე, აპლოდისმენტებით აფეთქებულ სტადიონს ხედავდა... *"მე შემიძლია მას წავართვა ველოსიპედი, ვიდეოთამაშების დისკები, მაგრამ ბურთი? არასდროს,"* – ამბობდა ხოლმე დავიდის მამა **ხოსე მანუელ ვილია**.

19 წლის ასაკში ის უკვე იყო ესპანეთის იუნიორთა ნაკრების წევრი და ხიხონის "სპორტინგის" დუბლების ლიდერი. 1999-2000-ის სეზონი ფეხბურთელმა სწორედ ხსენებულ კლუბში გაატარა. დავიდი ახალ საუკუნეს უკვე "სპორტინგის" ძირითად გუნდში შეეგება, სადაც დაიწყო კიდეც მასზე გაცემული ავანსის გამართლება. ინდუსტრიულ ხიხონში გატარებული წლებისა და 115 თამაშში გატანილი 51 გოლის შემდეგ, 2003-2004 წლების სეზონს ის უკვე არაგონულ "სარაგოსაში" შეეგება, სადაც პირველ ტიტულებს დაეუფლა - 2004 წელს ამ გუნდმა ესპანეთის სამეფო თასი და სუპერთასი მოიპოვა. 2005 წლიდან ის უკვე "ღამურების" რიგებში ირიცხება, თუმცა კუმანის მიერ რამდენიმე კვირის წინათ სასწაულის წყალობით მოგებულ სამეფო თასს თუ არ ჩავთვლით, აქამდე დავიდი უშედეგოდ ირჯებოდა.

უკვე დღეს, ის და ფერნანდო ტორესი ერთი გუნდის ლიდერები არიან. თითქოს სასწაულები არ ხდება, მაგრამ არა... თქვენ სასწაულის მომსწრენი ხართ. ერთი მხრივ დავიდ ვილია - ესაა ულაპარაკოდ დიდი ტალანტი, რომლის ოფლი, სისხლი და შეუდრეკელი ხასიათი რომ არა, ამ დონეზე ვერასოდეს ითამაშებდა, მეორე მხრივ კი ფერნანდო ტორესი – ფეხბურთელი, ვისაც დედაქალაქი ლამის აკვნიდან თავთან უჯდა და ვისი ფრჩხილის წამოტკიებაც კი სალაპარაკო ხდებოდა ხოლმე. ახლა კი "პრინცი" და "პროვინციელი" ერთ გუნდში თამაშობენ და ჯერჯერობით "ოქროს ბიჭუნა" აშკარად ჩრდილშია. სად გადავა სათამაშოდ გოლიათად ქცეული დავიდი, ამ კითხვაზე პასუხს მალე მივიღებთ.

ახლა კი გავიხსენოთ ის ფეხბურთელები, რომლებიც ესპანეთის ნაკრების ბომბარდირები ხდებოდნენ უმაღლესი დონის ტურნირებზე.

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი

**ხოსე ლუის კამინერო** 3 გოლი. ამერიკის ჩემპიონატზე პირენეელები პრაქტიკულად ერთი თავდამსხმელით ჩავიდნენ, ეს იყო **ხულიო სალინასი**, ვინც პირველივე მატჩში გამოიჩინა თავი სამხრეთ კორეის წინააღმდეგ, შემდეგ კი ბომბარდირობის ტვირთი შემტევ ნახევარმცველებს გადააბარა, თავის გამოჩენა სწორედ კამინერომ შეძლო. ესპანელები მეოთხედფინალურ სტადიაზე იტალიას ემსხვერპლნენ.

1996 წლის ევროპის ჩემპიონატი

კამინერო, **ალფონსო პერესი, ხავიერ მანხარინი, გილერმო ამორი** 1-1 გოლი. ამ ჩემპიონატზე ესპანეთს ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო, საოცრად დაბალანსებული გუნდი ჰყავდა ისტორიაში, მაგრამ მათდა ბედად, მეოთხედფინალში მათი მეტოქე მასპინძელი ინგლისი აღმოჩნდა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არა უნამუსოზე უარესი მსაჯობა, **ხავიერ კლემენტეს** ბიჭები ნახევარფინალში ითამაშებდნენ. ინგლისელთა კარში ორი ასპროცენტიანი გოლი არ ჩაითვალა. გუნდი საბოლოოდ პენალტების სერიაში გამოვარდა.

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი

**ფერნანდო იერო, კიკო ნარვაესი, ფერნანდო მორიენტესი** 2-2 გოლი. ეს მუნდიალი კლემენტეს ბოლო დიდი ტურნირი აღმოჩნდა. არცაა გასაკვირი, რადგან მისი გუნდი ჯგუფში ჩარჩა. საუკეთესო ბომბარდირობა კი ხსენებულმა ტრიომ გაინაწილა. ამ ჩემპიონატიდან გულშემატკივარს ბომბარდირებზე მეტად **ანდონი სუბისარეტას** ეპრეცედენტოდ სულელური შეცდომები დაახსომდებოდა.

2000 წლის ევროპის ჩემპიონატი

ალფონსო პერესი, **გაისკა მენდიეტა** 2-2 გოლი. ესპანეთის ნაკრებმა მოახერხა ჯგუფური რაუნდის გადალახვა იუგოსლავიასთან 4:3-ზე მოგებული თრილერის წყალობით, შემდეგ კი საფრანგეთთან, უფრო სწორად გენიალურ **ზინედინ ზიდანთან**, დამარცხდა. ამ ტურნირზე ნაკრების ბომბარდირებმა არცთუ საუკეთესო კარიერა გაიკეთეს. არადა, ორივე ფეხბურთელი უკვე ჩამოყალიბებულ ვარსკვლავად ითვლებოდა. სწორედ 2000 წლის ზაფხულში, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, "რეალის" აღზრდილმა ალფონსომ "ბეტისიდან" "ბარსელონას" მიაშურა და ამით, პრაქტიკულად, კარიერა დაისამარა. 2 წლის უთამაშებლობის შემდეგ, ის უკან, სევილიაში დაბრუნდა, სადაც უხმაუროდ დაასრულა კიდეც მოთამაშის კარიერა. ახლა ის მადრიდში ცხოვრობს და "რეალის" ვეტერანების რიგებში ასპარეზობს ხოლმე. ხოლო ბასკმა მენდიეტამ 2001 წელს "ლაციოს" 45 მილიონ დოლარად მიაშურა, სადაც ოციოდე თამაში ამაზრზენად ჩაატარა და შემდეგ თითქმის უფასოდ "მიდლსბროში" განაგრძო კარიერა. არც რივერსაიდი აღმოჩნდა მისი იდეალური თავშესაფარი. ახლა ის უკლუბოდაა და, სავარაუდოდ, მალე კარიერას დაასრულებს.

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი

**რაულ გონსალესი**, ფერნანდო მორიენტესი 3-3 გოლი. კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ პირენეელთათვის დაწყევლილი მსოფლიო პირველობა, სადაც უსინდისო მსაჯმა **ალ-ჰანდურმა** ყველაფერი გააკეთა ესპანელთა დასაჩაგრად. მან კორეელთა კარში გატანილი ორი ასპროცენტიანი გოლი არ ჩათვალა და ესპანეთი ჯოჯოხეთის გზას გაუყენა. რაც შეეხება ბომბარდირებს, როგორც ყოველთვის, თავის გამოჩენა რამდენიმე ფეხბურთელმა მოახერხა. საუკეთესონი კი რაული და მორიენტესი აღმოჩნდნენ.

2004 წლის ევროპის ჩემპიონატი

ფერნანდო მორიენტესი, **ხუან კარლოს ვალერონი** 1-1 გოლი. ესპანელებმა ეს დიდი ტურნირი პირწმინდად ჩააგდეს და ჯგუფში ჩარჩნენ. თუ ამას თავის გამოჩენა ჰქვია, ასე დავარქვათ - მორომ გოლი საბერძნეთის კარში გაიტანა, ხოლო ვალერონმა თავი რუსეთთან გამოიჩინა.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი

**დავიდ ვილია, ფერნანდო ტორესი 3-3.** ლუის არაგონესს საქმე ასარჩევად ჰქონდა, ნდობოდა გამოცდილ რაულსა და მორიენტესს, თუ ახალგაზრდა ვილიასა და ტორესს. მან საბოლოოდ არჩევანი მეორეთა სასარგებლოდ გააკეთა. მათაც მწვრთნელს არ უმუხთლეს და თავი შესანიშნავად წარმოაჩინეს. ჯგუფის იოლად დაძლევის შემდეგ, პლეიოფის პირველივე ეტაპზე მათი მეტოქე საფრანგეთის ნაკრები იყო, ისევ და ისევ ზიდანისა და ახალგაზრდა **რიბერის** მეთაურობით. 1:3 და ჩემპიონობისთვის ბრძოლა "მამლებმა" განაგრძეს. გუნდის ბომბარდირებმა კი თავი ვერაფრით გამოიჩინეს.



დავიდ ვილია ესპანელთა საუკეთესო ბომბარდირია

# EURO 2008

# შვაინი, პორტუგალიელთა რისხვა!

## გერმანიამ მოუმატა და კიდევ მოუმატებს. სკოლარი: მაპატიეთ!

**1/4 ფინალი**

**პორტუგალია-გერმანია 2:3**

ბაზელი. 19 ივნისი

**პორტუგალია:** რიკარდო, ბოსინგვა, რ. კარვალიო, პეპე, პაულო ფერეირა, პეტიტი (74. ელდერ პოშტიგა), ჟოაო მოუტინიო (31. რაულ მეირელეში), დეკუ, სიმაო, კრისტიანო რონალდო, ნუნუ გომეში (67. ნანი).

**გერმანია:** ლემანი, ა. ფრიდრიხი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, ლამი, როლფესი, ბალაკი, ჰიტცლშპერგერი (73. ბოროვსკი), შვაინშტაიგერი (83. ფრიტცი), კლოზე (89. იანსენი), პოდოლსკი.

**გოლები:** 0:1 შვაინშტაიგერი (22), 0:2 კლოზე (27), 1:2 ნუნუ გომეში (40), 1:3 ბალაკი (62), 2:3 ელდერ პოშტიგა (87)

**მაყურებელი:** 39 730

**მსაჯი:** პეტერ ფრიოდფელდტი (შვედეთი)

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| 3 | გაფრთხილება | 2 |
| 21 (10) | დარტყმა | 10 (5) |
| 11 | ჯარიმა | 14 |
| 8 | კუთხური | 3 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

მატჩისწინა მიმოხილვაში დავწერეთ, რომ დასკვნების გაკეთება მხოლოდ მატჩის შემდეგ იქნებოდა მიზანშეწონილი. ეს იმიტომ, რომ ბევრი ბუნდესგუნდს პორტუგალიასთან აუტსაიდერად მიიჩნევდა. გერმანია კი არასდროს არ არის აუტსაიდერი და ამ სიტყვებს ახლაც სიამოვნებით ვიმეორებთ. **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** შეიძლება უკვე ინანა ის, რომ ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში, შვეიცარიასთან ძირითადი შემადგენლობა დაასვენა. ამით მან სასტარტო ფეხბურთელები ფორმიდან ამოაგდო, რაც პორტუგალიელებს, გუშინ, აშკარად დაეტყოთ. სკოლარის შეცდომა იყო ისიც, რომ გუნდს თამაში ნელ ტემპში დააწყებინა. გერმანელები ასეთ დროს ყოველთვის სოლიდური ფეხბურთის დემონსტრირებას ახერხებენ ხოლმე და "ჩელსისკენ" გეზაღებულ მწვრთნელს ესეც უნდა გაეთვალა. მით უმეტეს, რომ მას ძალიან სწრაფი და ტექნიკური გარემარბები ჰყავს. გერმანიის ნაკრებმაც, შესაბამისად, პირველიდან ბოლო წუთამდე თავისი ფეხბურთი ითამაშა, პორტუგალიელები კი მხოლოდ დროდადრო, ისიც ძალიან იშვიათად, ფეთქდებოდნენ და ის გოლებიც, რომლებიც სკოლარის შეგირდებმა გაიტანეს, მეტწილად გერმანელების ცენტრალური მცველების სინდისზეა - ბუნდესგუნდს დაცვის ცენტრში რომ უჭირს, ეს გერმანელების მიერ დღემდე ჩატარებულ ოთხივე შეხვედრაში თვალსაჩინო იყო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველმა მეოთხედფინალურმა მატჩმა იმედები 100 პროცენტით გაამართლა. ბევრი ელოდა, რომ გუშინ ბაზელში დომინანტის როლში პორტუგალია იქნებოდა, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა - თუ ვინმეზე ითქმის, დომინირებდაო, მხოლოდ გერმანიაზე, რომელიც მთავარი მწვრთნელის გარეშე თამაშობდა. დისკვალიფიცირებულმა **იოახიმ ლიოვმა** ტრიბუნაზე აინაცვლა, ბუნდესნაკრებს კი მისი ასისტენტი **ჰანსი ფლიკი** უძღვებოდა.

პორტუგალიელთა მთავარმა იმედმა, **კრისტიანო რონალდომ** თავის გამოჩენა თითქმის ვერ მოახერხა და მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდში გამოირჩა. ეს კი გერმანიის ნაკრების ფლანგის მცველების (და არა მარტო მათი) დამსახურებაა. რონალდომ თამაში მარცხენა ფლანგზე დაიწყო, სადაც მეოცე წუთისვის კი მარჯვნივ გადაინაცვლა და ასე, 15-20 წუთიან ინტერვალებში სიმაოსთან ფლანგებს ცვლიდა, მაგრამ მარცხნივ **არნე ფრიდრიხისგან**, მარჯვნივ კი **ფილიპ ლამისგან** სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ველარ ვიხილეთ **მარიო გომესი**, რომელმაც ბოლო ორ თამაშში ერთობ ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. მის ნაცვლად, თავდასხმაში **მირო კლოზეს ლუკას პოდოლსკი** შეუწყვილდა, რომლის თამაშიც მატჩის წინ საეჭვო იყო, მაგრამ "პრინცმა პოლდიმ" გამოჯანმრთელება მოასწრო. წინ წაწეული პოდოლსკის ნაცვლად, ნახევარდაცვაში **თომას ჰიტცლშპერგერი** ვიხილეთ. ტრავმირებული **ტორსტენ ფრინგსი** კი საყრდენის პოზიციაზე ლევერკუზენელმა **სიმონ როლფესმა** შეცვალა და სხვათა შორის, საკმაოდ კარგად. მარჯვნივ ლიოვმა **კლემენს ფრიტცის** ნაცვლად ამჯერად უკვე **ბასტიან შვაინშტაიგერი** გაამწესა და როგორც თამაშმაც აჩვენა, ეს გახლდათ 100 პროცენტით სწორი გადაწყვეტილება, რადგან შეხვედრა, ფაქტობრივად, შვაინიმ მოიგო, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ პორტუგალიელთა რისხვაა (გაიხსენეთ 2006 წლის მუნდიალის მესამე ადგილისთვის გამართული მატჩი). სკოლარიმ კი, შვეიცარიასთან მატჩისგან განსხვავებით, ისევ ძირითადი ფეხბურთელები ათამაშა. პორტუგალიელთა სასტარტო შემადგენლობა ჯგუფური ეტაპის პირველი ორი მატჩის აბსოლუტურად იდენტური იყო.

გუნდებმა თამაში ნელ ტემპში, ფრთხილად, ერთმანეთის დაზვერვით დაიწყეს. გულშემატკივრები პირველი ოცი წუთის განმავლობაში ამაოდ ელოდნენ სახიფათო მომენტებს - გუნდები რისკზე არ მიდიოდნენ და მოვლენები მეტწილად მოედნის ცენტრში ვითარდებოდა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, უაღრესად ტექნიკური პორტუგალიელები თამაშის გამწვავებას არ ცდილობდენ და პირველ აკორდს მეტოქისგან ელოდებოდნენ. პირველი ოცი წუთის განმავლობაში ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი დაგვამახსოვრდა - **სიმაოს** დარტყმა და **ბალაკის** თავური. მე-20 წუთიდან კი მატჩს სიცოცხლე შეემატა. საწყისი მომენტი პორტუგალიელებმა შექმნეს, როდესაც **ბოსინგვას** გარღვევისა და ჩაწოდების შემდეგ, **ჟოაო მოუტინიოს იენს ლემანის** კარის დალაშქვრა ახლო მანძილიდან შეეძლო, მაგრამ ბურთი გერმანიის ნაკრების კარს ზემოდან გადააცილა. მომდევნო შეტევა კი, ოღონდ გერმანელებისა, **რიკარდოს** კარში გატანილი გოლით დასრულდა: პოდოლსკიმ ბალაკთან კედელი გაითამაშა, ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გააკეთა, ბურთს პირველმა შვაინშტაიგერმა მიასწრო, პორტუგალიელ მცველებს დაასწრო და ვარდნაში განხორციელებული დარტყმით ანგარიში გახსნა.

გატანილი გოლის შემდეგ პორტუგალიელები მაინცდამაინც არ დაბნეულან, მაგრამ არც გერმანელები ჩაცხრნენ და ზუსტად 5 წუთში მეორედ დაამწუხრეს რიკარდო: შვაინშტაიგერმა საჯარიმო დარტყმა ჩინებულად შეასრულა, ბურთი პორტუგალიელთა საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც კლოზემ იმარჯვა, ბოსინგვას დაასწრო და 2:0 - ეს იყო მიროს პირველი გოლი ევროპის მიმდინარე ჩემპიონატზე. აი, ახლა კი შოკში ჩავარდნენ პორტუგალიელები, თუმცა მალევე მოვიდნენ აზრზე და შეტევებზე უფრო აქტიურად დაიწყეს ფიქრი, მაგრამ გერმანელები დაცვაში კომპაქტურად იდგნენ. პირიქით, ალემანები კონტრშეტევაზე უფრო სახიფათონი იყვნენ, განსაკუთრებით შვაინშტაიგერი აქტიურობდა - შვაინი ორჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში. თუმცა მე-40 წუთზე პორტუგალიამ ერთი ბურთი გაქვითა: რონალდომ ბუნდესნაკრების საჯარიმოში შეაღწია და ლემანთან ფაქტობრივად პირისპირ დარჩა, მისი დარტყმული იენსმა მოიგერია, თუმცა დამატებაზე ყველას **ნუნუ გომეშმა** დაასწრო და სხვაობა შეამცირა. 45-ე წუთზე რონალდომ კიდევ ერთხელ მოახერხა გერმანელების ანერვიულება და სკოლარის ბიჭები შესვენებაზე დაიმედებული გავიდნენ.

მეორე ტაიმი პორტუგალიელებმა ზეწოლით დაიწყეს. პირველ ნახევარში ტრავმირებული მოუტინიოს ნაცვლად მოედანზე შესულმა **რაულ მეირელეშმა** 47-ე წუთზე ლემანის კარის დალაშქვრა შორი მანძილიდან სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მალევე **დეკუმ** გოლი გაიტანა... თამაშგარე მდგომარეობიდან, 57-ე წუთზე კი **პეპეს** მართებდა გატანა, მაგრამ მანაც ააცილა.

ამის შემდეგ გერმანელებმა ისევ დაიბრუნეს ინიციატივა, რასაც მალევე მოჰყვა რიკარდოს კარში გატანილი გოლი, რომლის ავტორად ბუნდესკაპიტანი **მიხაელ ბალაკი** მოგვევლინა. ისევ შვაინშტაიგერის პასით! ბასტიანმა ჯარიმა კვლავ შესანიშნავად ჩააწოდა, ბალაკმა კი საჰაერო დუელში **პაულო ფერეირა** დაჯაბნა. პორტუგალიელები ისევ შოკში ჩავარდნენ, მაგრამ მცირე ხნით, მერე კი ძალები კიდევ ერთხელ მოიკრიბეს და უკანმოუხედავ იერიშებზე გადავიდნენ. შეცვლაზე შესულ **ნანისა** და მეირელეშს მოკრძალებული მომენტები შეექმნათ, მაგრამ ლემანი მოწოდების სიმაღლეზე იდგა. საფინალო სასტვენი ახლოვდებოდა, პორტუგალიელები უფრო და უფრო დაბნეულად, ქაოტურად და გაუაზრებლად უტევდნენ. სიმაოს, რონალდოსა და დეკუს მცდელობები, გერმანიის უკანა ხაზი გაერლვიათ, კრახით მთავრდებოდა, გერმანელები კი კვლავ კონტრიერიშებზე იგბინებოდნენ.

87-ე წუთზე ვითარება ისევ დაიძაბა, რადგან პორტუგალიელებმა გაიტანეს. ნანიმ მარცხენა ფლანგზე გაინავარდა, საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც შეცვლაზე შესულმა **ელდერ პოშტიგამ პერ მერტეზაკერს** აჯობა და ზუსტი დარტყმით სკოლარის გუნდს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა. პოშტიგას გოლს გერმანელთათვის შედარებით მძიმე წუთები მოჰყვა. პორტუგალიელებმა მთელი ძალებით შეუტიეს, მაგრამ გერმანიამ სკოლარის გუნდს მეტი აღარაფერი გააბედინა.

ბუნდესგუნდი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში აბსოლუტურად დამსახურებულად გავიდა და გერმანელები დღეს მეტოქის ვინაობის გარკვევას ელოდებიან. პორტუგალიაში კი ევროპის ჩემპიონატის გარდა, სკოლარის ერაც დასრულდა - როგორც იცით, "დიდი ფილი" მომავალი სეზონიდან ლონდონის "ჩელსის" უხელმძღვანელებს.

### მატჩის შემდეგ

**ლუიშ ფელიპე სკოლარი** (პორტუგალია): *"იმედგაცრუებული და ძალიან გაბრაზებული ვარ, რადგან პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციას და პორტუგალიელ ხალხს მინიმუმ ნახევარფინალში გასვლას შევპირდი და დანაპირები ვერ შევასრულე. გადამწყვეტ მომენტებში გერმანიის ნაკრებმა ნამდვილად გვაჯობა და ამიტომაც გავიდა ნახევარფინალში."*

**იოახიმ ლიოვი** (გერმანია): *"ჩემი გუნდის თამაშისთვის ტრიბუნიდან თვალის დევნება ნამდვილი ჯოჯოხეთი ყოფილა. ძალიან შორს დამსვეს, ვფიქრობ, თუნდაც დისკვალიფიცირებული მწვრთნელისთვის გუნდისგან ასეთ დიდ დისტანციაზე მოშორება უსამართლო სასჯელია. ავსტრიასთან მატჩის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ცვლილებებისთვის უნდა მიგვემართა და შედეგიც რეალურია. ავსტრიასთან და ხორვატიასთან ცუდად გამოვიყურებოდით. ვფიქრობ, დღეს გაცილებით უკეთ ვიასპარეზეთ, მაგრამ არც ესაა გერმანიის ნაკრების მაქსიმუმი."*

**გოტფრიდ ლენცი**





ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ნაკრების კანდიდატი

# მათიაშვილი ზაფხულს ფრანკფურტის კემპით იწყებს



რიჩარდ მათიაშვილი (ბურთით)

**რიჩარდ მათიაშვილი**

დაიბადა: 01.01.1989
სიმაღლე: 208 სმ
პოზიცია: ცენტრი
გუნდი: ავიამშენი

**კარიერა**

2004-06 წწ. - სტუ
2006-07 წწ. - თსუ
2008-დან - ავიამშენი

**მიღწევები**

2005 წ - საქართველოს თასის მფლობელი
2005 წ - საქართველოს ჩემპიონი
2003 წ - საქართველოს ვიცეჩემპიონი
2008 წ - ქორქია-საკანდელიძის თასის მფლობელი

საქართველოს ჩემპიონატში ნიჭიერი ახალგაზრდა მეფარეები მომრავლდნენ, ამას როცა ამბობენ, პირველ რიგში **გიორგი შერმადინსა** და **რიჩარდ მათიაშვილს** გულისხმობენ. ეს დუეტი ერთმანეთს შარშან, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც ენაცვლებოდა, NBA-ს კემპზეც (ლიტვაში) ერთდროულად წარმოადგენდა საქართველოს და რაც მთავარია - ეროვნულ ჩემპიონატში პირისპირ "ჭიდაობისას" საინტერესო სანახაობას გვთავაზობდა.

გიორგი შერმადინი "მაკაბიში" თამაშობდა, რიჩარდ მათიაშვილი - თსუ-სა და "ავიამშენში". ასე რომ, რიჩოს გუნდი გიორგისაზე ყოველთვის ძლიერი იყო და ეს საბოლოო შედეგებზეც ისახებოდა. ეს ორი კალათბურთელი ერთმანეთის წინააღმდეგ სხვადასხვა ტაქტიკით თამაშობდა: შერმადინი მათიაშვილს პერსონალურად თითქმის არასოდეს იყვანდა, რადგან "მაკაბი" უმთავრესად ზონურ დაცვას თამაშობდა. ხოლო რიჩარდი გიორგის ძირითადად პირადად მეურვეობდა და დიდი ოფლისღვრა უხდებოდა, რადგან "მაკაბის" იერიშების უმეტესობას სწორედ შერმადინი აგვირგვინებდა. მათიაშვილი კი შეტევისას არა მხოლოდ ბურთის ჩაგდებაზე, არამედ თანაგუნდელებისთვის ხელის შეწყობაზე იყო ორიენტირებული. მოედანზე ეს ორი კალათბურთელი ერთმანეთს არაფერს უთმობდა, მოედნის მიღმა, ან თამაშის გაჩერებისას კი ხელს მხარზე მეგობრულად ურტყამდა.

შერმადინი და მათიაშვილი გასულ სეზონში რეკორდებშიც გაეჯიბრნენ: თუ გიორგი 39 ქულას 47-ით აუმჯობესებდა, რიჩო პირველობის რეკორდსმენი გახდა ერთ შეხვედრაში მოგროვილი მოხსნების რაოდენობით - იგი ფარიდან ასხლეტილ ბურთს 30-ჯერ დაეუფლა.

ამ ორ ტანმაღალ კალათბურთელზე ერთობლივად იმიტომ გესაუბრეთ, რომ მიგვენიშნებინა: საქართველოს ნაკრებს ღირსეული რეზერვი ეზრდება. როგორც ერთი, ასევე მეორე ეროვნულის მეორე მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** გაფართოვებულ შემადგენლობაში შეიყვანა. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ცენტრის პოზიციაზე ნაკრებში ყველაზე მძაფრი კონკურენციაა - იქით **ზაზა ფაჩულიაა**, აქეთ **დავით უგრეხელიძე**. **სერგო ათუაშვილი**... მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი** ყველა მეფარის პლუს-მინუსს აწონ-დაწონის და გუნდს ისე დააკომპლექტებს. ჰოდა, საინტერესოა რიჩარდ მათიაშვილის დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბარი.

ჯერ მინუსებზე. 208 სმ სიმაღლის კალათბურთელები ცენტრადაც თამაშობენ, მაგრამ გაცილებით მეტი ფასი აქვთ, როცა მოქნილობით გამოირჩევიან და მძიმე ფორვარდის ფუნქციებს ასრულებენ. რიჩარდი მონაცემებით უფრო ცენტრია, ვიდრე ფორვარდი - მეხუთე ნომრის კვალობაზე საკმარისი სისწრაფე აქვს, ხოლო მეოთხე ნომრისთვის ცოტა მძიმეა.

გვინახავს მათიაშვილის მიერ ჩაგდებული სამქულიანები და საშუალო დისტანციიდან შესრულებული ზუსტი ტყორცნები, მაგრამ საქმე ისა, რომ ეს ყველაფერი იშვიათად გვინახავს. იგი ფარქვეშ თუ არ შევა, სროლაზე იშვიათად ფიქრობს.

რიჩოს დრიბლინგზეც ბევრი სამუშაო აქვს.

ახლა პლუსებზე. სასიამოვნოა, რომ მათიაშვილის პლუსებზე გაცილებთი ბევრია სალაპარაკო, ვიდრე მინუსებზე. იგი მოაზროვნე ცენტრთა კატეგორიას მიეკუთვნება, თამაშის წაკითხვაც შეუძლია, სწრაფად გადაწყვეტილების შეცვლაც და პასებიც ეხერხება. თუმცა, როცა ჭკუაზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა დავამატოთ, რომ აუცილებელია დაფიქრებამ ახალგაზრდული ემოციები გადაფაროს - რიჩარდმა ხომ ფინალებში ორჯერ იჩხუბა და ერთი მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

მათიაშვილი რამდენადაც "უსაფრთხოა" შორი და საშუალო დისტანციებიდან, იმდენად სახიფათოა ფარქვეშიდან. იგი მაღალი ნახტომით არ გამოირჩევა, თუმცა სამწამიანი ზონიდან სროლისას იშვიათად ცდება.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაისად საქართველოს ჩემპიონატში მათიაშვილი-შერმადინის დუელს ველარ ვიხილავთ. ამის მიზეზი მხოლოდ შერმადინის წასვლა იქნება, თუ ევროპაში რიჩარდიც წავა, ეს მომავლის გასარკვევია. დუელი არა, მაგრამ მათი დუეტის ხილვა ამ ზაფხულსაც შეიძლება - 1 აგვისტოს ისინი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში ითამაშებენ.

ახლა თავად რიჩოს მოვუსმინოთ, რომელიც ეროვნულ ნაკრებზეც ლაპარაკობს, ახალგაზრდულზეც და სამომავლო გეგმებზეც.

**- დავით უსტიაშვილი. ახალგაზრდულის მთავარი, ხოლო ეროვნულის მეორე მწვრთნელია. გასული სეზონის შემდეგ მასთან თუ ისაუბრე?**

- მასთან ვილაპარაკე, 20-წლამდელთა ნაკრების სამომავლო გეგმებსაც შევეხეთ, მაგრამ ეროვნულ გუნდზე არ მისაუბრია. ვფიქრობ, ნაკრებში ის ითამაშებს, ვინც დაიმსახურებს.

**- ეროვნულში ყველაზე მეტი კონკურენცია სწორედ წინა ხაზშია...**

- ეს მეც ვიცი და დიდი შრომა იქნება საჭირო მწვრთნელისთვის თავის მოსაწონებლად. ვეცდები, საკუთარი შესაძლებლობები სრულად გამოვამჟღავნო. შეკრებაზე ხომ გამოძახებულნი არიან გიორგი შერმადინი, დავით უგრეხელიძე... ზაზა ფაჩულია სულ სხვა დონეა, ის ხომ NBA-ს კალათბურთელია.

**- გიორგი შერმადინთან ერთად ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდი. ძირითადად, ერთმანეთს ცვლიდით. როგორ ფიქრობ, წელსაც ასე იქნება?**

- ეს მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს. ისე, შარშან ერთდროულად მოედანზე გვერდითაც საინტერესოდ ვითამაშებთ. თუმცა ისიც მესმის, რომ შემადგენლობის დაყენება უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული, რაც მწვრთნელის საქმეა.

**- ელიტაში ადგილს წელსაც შეინარჩნუნებთ?**

- ამის იმედი მაქვს, თუმცა შარშანდელთან შედარებით ჯგუფში ძლიერი მეტოქეები გვყავს - იტალია, ისრაელი და თურქეთი. იტალიელებთან შარშან დიდი სხვაობით დავმარცხდით, ხოლო ისრაელის ნაკრებთან თანაბრად ვითამაშეთ და შეხვედრა ბოლო წუთებზე 7 ქულის სხვაობით დავთმეთ, მგონია, მოგების ყველაზე დიდი შანსი ისრაელთან გვაქვს.

**- თურქეთს არ იცნობთ?**

- შარშან მათი მატჩი ვნახეთ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თურქეთს იტალიაზე ნაკლები გუნდი არ ჰყავთ. დანარჩენს ოფიციალური მატჩები გვიჩვენებს. იქაური ახალგაზრდები ევროლიგის კლუბებში თამაშობენ.

**- დავბრუნდეთ საკლუბო კალათბურთში და გასული სეზონი მოკლედ შევაფასოთ.**

- ჩემს ხანმოკლე კარიერაში 2007-08 წლების სეზონი ერთ-ერთი წარმატებულთაგანი იყო. ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავე, მოვიგე საქართველოსა და ქორქია-საკანდელიძის თასები. რაღაც-რაღაცეებმა ხელი შეგვიშალა, თორემ ჩემპიონატში კიდევ უფრო კარგად გამოსვლა შეგვეძლო. თუმცა წინასწარ არავის ეგონა, "ავია" "ენერჯის" ასე კარგად თუ ეთამაშებოდა.

**- გასული სეზონის ფინალური სერია, ალბათ, დიდხანს გემახსოვრება...**

- ორი მატჩი ვერ გამომივიდა. პირველში მხოლოდ ორი ქულა მოვაგროვე. მეორე უკეთ ჩავატარე, მაგრამ ის შეხვედრა გუნდმა წააგო. მირჩევნია, რომ ცუდად ვითამაშო და კლუბმა მოიგოს, მაგრამ უკეთესია, მეც კარგად გამოვიდე და გუნდმაც გაიმარჯვოს.

**- ფინალებში ბესიკ ლეჟავასთან ორჯერ იჩხუბე...**

- ეს უბრალო გაცხარების მიზეზით მოხდა. მოედნის გარეთ პრობლემები არ წარმოშობილა. ბესიკ ლეჟავასთან ფინალების შემდეგაც ისევე კარგად ვარ, როგორც მანამდე.

**- "ავიამშენში" დარჩენას აპირებ?**

- თსუ-დან "ავიაში" შუა სეზონში გადმოვედი. შეთანხმების მიხედვით ახალ გუნდში 2007-08 წლების სეზონის ბოლომდე უნდა მეთამაშა. ახლა თავისუფალი აგენტი ვარ და კარიერას სად გავაგრძელებ, ჯერ არ ვიცი.

**- საქართველოში აპირებ დარჩენას?**

- ამერიკის კოლეჯების ლიგაში წასვლას შარშანაც ვაპირებდი, მოწვევაც მქონდა და ყველა საბუთი წესრიგში იყო, მაგრამ აშშ-ს საელჩოში ვიზა არ ჩამირტყეს. დღესაც არ ვიცი, რატომ... კოლეჯების კლუბი ახლაც გამომიგზავნის მოწვევას, მაგრამ რად მინდა, თუ ვიზა არ ჩამირტყეს?! ივნისის ბოლოს გერმანიაში "ქორთსაიდის" კემპზე მივემგზავრები, რომელსაც უამრავი სკაუტი დაესწრება და ვეცდები თავი ისე გამოვიჩინო, რომ კარგი შეთავაზება მივიღო.

**- კემპი რომელ ქალაქში და რა ვადებში გაიმართება?**

- იგი სამდღიანია, 26 ივნისს დაიწყება და ფრანკფურტი უმასპინძლებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# სიმღერა ფაჩულიას: USA, USA!



როგორც იქნა, დარსულდა NBA-ს 2007-08 წლების სეზონი. ფინალურ სერიაში "ბოსტონ სელტიქსმა" "ლოს ანჯელეს ლეიკერსი" 4:2 დაამარცხა. ბოსტონელი ჟურნალისტები უკევ თავისუფლად იხსენებენ განვლილი ჩემპიონატის პერიპეტიებს. გაზეთ "კონკორდ მონიტორში" ტიმ ოსალოვანმა სახალისო სტატია გამოაქვეყნა, სადაც საუბარია ბოსტონის ქომაგთა სიმღერებზე. ავტორს ერთგვარი ჰიტ-ალლუმი შეუდგენია, რომელშიც მეექვსე ადგილზეა სიმღერა-შეძახილი ქართველ ცენტრ ზაზა ფაჩულიაზე.

მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრობით. პირველ ადგილზეა ფინალური სერიის ყველაზე ხმაურიანი შეძახილი "დაამატეთ ლეიკერსი". მეორე-მესამე პოზიციებზეა კობი ბრაიანტის გასაბრაზებელი სიმღერები: "არა ნიშნავს არას" და "შენ ჯორდანი არ ხარ! მეოთხეა ზაზას თანაგუნდელის მაიკ ბიბისადმი მიძღვნილი შეძახილი: "რონდო გჯობია!" მეხუთე ადგილი უჭირავს შეხსენება-მოწოდებას - "მეჩვიდმეტედ!" საქმე ისაა, რომ "ბოსტონი" აქამდე NBA-ს 16-გზის ჩემპიონი იყო და გულშემატკივარი მეჩვიდმეტედ გაჩემპიონებას ითხოვდა. ჰიტალლუმში მეექვსეა შეძახილი, რომელიც "ბოსტონის" დარბაზში მაშინ გაისმოდა, როცა ზაზა ფაჩულია ბურთს მიიღებდა - USA, USA!

შეგახსენებთ, რომ მერვედფინალური სერიის მესამე შეხვედრაში ზაზა ფაჩულიამ კევინ გარნეტს იდაყვის ჩარტყმა არ შეარჩინა, რითაც ატლანტელი ქომაგის სიყვარული, ხოლო ბოსტონელთა სიძულვილი დაიმსახურა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ობრადოვიჩი: მარკოიშვილი კიევში რჩება



საშა ობრადოვიჩი

"კიევის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სერბმა **საშა ობრადოვიჩმა** სლოვენიელი **ტომო მაჰორიჩი** რომ შეცვალა, ამის შესახებ უკვე გესაუბრეთ. ობრადოვიჩი უკრაინის დედაქალაქში ორიოდე დღის წინ ჩავიდა და პრესკონფერენციაზე საკადრო ცვლილებებსა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა. რას ფიქრობს იგი უკრაინულ კალათბურთზე, ამ და სხვა ქართველი გულშემატკივრისთვის უმნიშვნელო საკითხებზე ვრცლად არ შევჩერდებით. სამაგიეროდ, მეტად საინტერესოა ობრადოვიჩის საუბარი საკადრო ცვლილებებზე. მისი საუბრიდან ირკვევა, რომ **მანუჩარ მარკოიშვილი** გაისადაც "კიევის" ღირსებას დაიცავს:

*"გასულ კვირას ორი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით - კონტრაქტი გავუფორმეთ კენან ბაირამოვიჩს და ხელშეკრულება ორი წლით გავუხანგრძლივეთ კაპიტანს, არტურ დროზდოვს. ასევე დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ გუნდში დარჩება ოთხი კალათბურთელი - რაიან სტიეკი, მანუჩარ მარკოიშვილი, სლავა კრავცოვი და ოლეგ სალტოვეცი. ამ ექვს საკვანძო მოთამაშეს აუცილებლად დავამატებთ კვალიფიციურ გამთამაშებელსა და ცენტრს. თუმცა მათ გვარებს ჯერ ვერ დაგისახელებთ."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუდენტური ლიგა კალათბურთშიც იწყება

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია სპორტის დეპარტამენტთან ერთად, აგრძელებს სტუდენტური ლიგების პროექტს. რამდენიმე სახეობის შემდეგ, დღეს სტუდენტური ლიგა კალათბურთშიც დაიწყება. სწორედ ამ ამბავს მიეძღვნა გუშინ პრესკონფერენცია.

ნიკა ამაშუკელი, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი: - 20-30 ივნისს, ვერის ბაღის კალათბურთის დარბაზში საკალათბურთო უნივერსიადა დაიწყება. შეჯიბრებაში მონაწილეობს 7 უმაღლესი სასწავლებლის გუნდი - თსუ, სტუ, სამედიცინო უნივერსიტეტი, ქუთაისი, AIB, 'აგრარული უნივერსიტეტი და შავი ზღვის უნივერსიტეტი. პირველი წრე 30 ივნისს დასრულდება და საუკეთესო ოთხეული 1-15 ოქტომბერს, ფინალურ ეტაპზე იბრძოლებს ჩემპიონობისათვის. ფინალის ჩატარებას კი სპორტის სასახლეში ვაპირებთ.

დიდ მადლობას ვუხდი სპორტის დეპარტამენტს, კალათბურთის ფედერაციას და ყველა იმ ადამიანს, რომლებიც მხარში ამოგვიდგნენ. სტუდენტურ ლიგას დამოუკიდებელი ქართული კალათბურთის არსებობის ისტორიაში პირველად ვატარებთ და იგი ამიერიდან ტრადიციული გახდება. კარგად იცით, რაოდენ პოპულარულია ასეთი ლიგები დასავლეთში და გვინდა, ჩვენც დაახლოებით ისეთ დონემდე მივიდეთ. მომავალში შეჯიბრებას კიდევ უფრო დავხვეწთ და გუნდების რაოდენობასაც გავზრდით. ამას გარდა, დაგეგმილი გვაქვს სტუდენტური ნაკრების ჩამოყალიბება და მსოფლიო უნივერსიადაზე თამაშიც.

**დავით ნამგალაური**, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარე: - სტუდენტური ლიგების ჩამოყალიბება ჩინებული პროექტია. ამჯერად საკალათბურთო ლიგას ვუყრით საფუძველს კალათბურთის ფედერაციასთან ერთად. საერთოდ, ხელისუფლება კალათბურთის ფედერაციას სეზონურად მილიონი ლარით აფინანსებს, რასაც სპონსორებიდან შემოსული თანხაც ემატება. შესაბამისად, ფედერაცია ძალას იკრებს იმისთვის, რომ შიდა ჩემპიონატების დონე აამაღლოს და ვიმედოვნებ, ამაში სტუდენტური ლიგაც დიდ დახმარებას გაუწევს.

სამწუხაროა, რომ ქუთაისში და ბათუმში კალათბურთი ძველებურად სასურველ დონეზე ველარ დგას. მართალია, ქუთაისში ბოლო ხანს ცოტა გამოცოცხლება იგრძნობა და აგერ, სტუდენტურ ლიგაზეც გამოჰყავთ გუნდი ქუთაისელებს, მაგრამ იგივე ვერ მოახერხა ბათუმმა. არადა, ბათუმელებს ფედერაციამ შესთავაზა, რომ თუკი სტუდენტურ ლიგაზე ითამაშებდნენ, მგზარობის ხარჯებს აუნაზღაურებდნენ...

იმედი მაქვს, ლიგა საინტერესოდ და ექსცესების გარეშე ჩაივლის. ჩვენ ყველანაირი საორგანიზაციო და ტექნიკური საკითხი მოვაგვარეთ. ამდენად, ახლა თავად გუნდებზეა დამოკიდებული, როგორ ითამაშებენ. აქვე იმსაც გეტყვით, რომ გვექნება არაერთი ისეთი საინტერესო სიურპრიზი და ჯილდო, რომლებიც კალათბურთელებს მოტივაციას უფრო აუმაღლებს.

თუკი ყველაფერი კარგად წარიმართა და სხვა უმაღლესის სასწავლებლებიც დაინტერესდნენ, შესაძლოა, 2009 წლის გაზაფხულიდან უფრო მასშტაბური ლიგა დავიწყოთ. ყველა აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელს ვთხოვ, რომ დაინტერესდნენ ამ პროექტში ჩართვით. მითუმეტეს, რომ არაერთ რეგიონში ავაშენეთ ახალი, თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი დარბაზი...

**თემურ დუნდუა**, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: - შეჯიბრებაში მონაწილე უმაღლეს სასწავლებლებს მოვუწოდებ, რომ გულშემატკივრები მოიყვანონ, რაც ტურნირს უფრო საინტერესოს გახდის. სტუდენტური საკალათბურთო ლიგა ხვალ 11 საათზე გაიხსნება ქუთაისისა და შავი ზღვის უნივერსიტეტის მატჩით და ყველას ვეპატიჟებით ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში.

**კობა ხატისაშვილი**

მძლეოსნობა

# ალვანელი ზამბარა

ქართულ სპორტს ნიჭიერი თაობა არასოდეს ელეოდა და არც ამ ძნელბედობის ჟამს მოჰკლებია. არც ისაა დიდი საიდუმლო, რომ ტალანტების ერთ-ერთი სამჭედლო სოფლის სპორტია. ძალზე ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება, როცა რეგიონებიდან ჩამოსულ სპორტსმენებს დედაქალაქში, საგანგებო სექციებში მოვარჯიშე თანატოლებისთვის ძალზე სწრაფად უჯობნიათ და მერე საერთაშორისო არენაზეც ძალიან დიდი წარმატებებისთვის მიუღწევიათ. ამ წერილის გმირი, 14 წლის მძლეოსანი **ლაშა ლულელაურიც** პროვინციიდანაა - ახმეტიდან, სოფელ ქვემო ალვანიდან, თუმცა საერთაშორისო არენაზე ჯერ თავი არ გამოუჩენია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უცხოეთში არც უასპარეზია. მაგრამ ეჭვიც არავის ეპარება, რომ სათანადო ვარჯიშის და ხელშეწყობის პირობებში ძალიან ბევრს მიაღწევს. სპეციალისტებმა უკვე შეაფასეს ტალანტად და ქართული მძლეოსნობის ხვალინდელ დღედ.

სიტყვებზე უკეთ მისი დახასიათება შედეგებით შეიძლება და ჩვენც პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ. ამ ასაკში მსოფლიო რეკორდები ოფიციალურად არ აღირიცხება, მაგრამ არაოფიციალურად ხომ არსებობს. სამხტომში ლულელაურის საუკეთესო შედეგი 14,40-ია, 15-წლიანებში მსოფლიოში ყველაზე კარგი მაჩვენებელი კი იტალიელ მოზარდს ეკუთვნის - 14,38. სიგრძეზე ხტომაში მისი პირადი რეკორდი 6,70-ია, 15-წლიანებში მსოფლიოში საუკეთესოდ კი ბრიტანელი მხტომელის 6,77-ია მიჩნეული. აქ ისიც ვთქვათ, რომ ლაშა 14 წლის სულ რაღაც ერთი თვის წინ გახდა.



ლაშა ლულელაური

ჯერჯერობით, ლულელაურს მიღწევები მხოლოდ შინაურ ასპარეზზე მოეძევება, მაგრამ მარტო ბოლო ორი ტურნირისაც კი ღირს დათვლად. ორი კვირის წინათ მან უფროსებში იხტუნავა საქართველოს ჩემპიონატზე და ორივე სახეობაში ვერცხლის მედლები მოიპოვა. კიდევ ვიმეორებ - ის უფროსთა ტურნირი იყო, სადაც მასზე 8-10 წლით უფროსებიც გამოდიოდნენ.

წინა კვირას ლულელაური ქვეყნის ჩემპიონატში უკვე ახალგაზრდებში გამოვიდა და კვლავაც წარმატებით. სამხტომში ისევ რამდენიმე წლით უფროს კონკურენტს მხოლოდ 2 სანტიმეტრით ჩამორჩა და ვერცხლი მოიპოვა, სიგრძეზე კი ყველაზე უკეთ იხტუნავა და საგრძნობი უპირატესობით გაიმარჯვა - თვითონ 6,63-ზე გადახტა, მეორე ადგილოსანის მიღწევა კი 6,18 იყო.

იქნებ ცოტა უხერხული შედარებაა, მაგრამ ამ ასაკში ასეთი მიღწევები მძლეოსნობის ისეთ ლეგენდებს არ ჰქონიათ, როგორიც მე-20 საუკუნის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად დასახელებული სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **ვიქტორ სანეევი** და ცხრაგზის ამერიკელი ოლიმპიური ჩემპიონი **კარლ ლუისი** იყვნენ. მართალია, მაშინ ბევრად დაბალი შედეგები იყო და, შესაბამისად, ახალგაზრდებსაც სხვანაირ მიღწევებზე უწევდათ სწორება, მაგრამ მაინც მრავლისმეტყველი ფაქტია. ისიც საინტერესოა, რომ ლულელაურს მეტოქეებმა მეტსახელიც შეარქვეს - ზამბარა. ესეც თავისებური პატივია, რომელიც ყველას არ ერგება ხოლმე, ეს კი იმის ნიშანია, რომ მას აკვირდებიან და აღიარებენ.

ლაშა ამჟამად მერვე კლასში სწავლობს და იქვე ვარჯიშობს მამის - **უსუფ ლულელაურის** ხელმძღვანელობით. ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა სპორტი და სწავლა ერთმანეთს ხელს არ უშლის - ლაშა ორივეს მშვენივრად უთავსებს ერთმანეთს და სწავლაში მისი წარმატებები სპორტული მიღწევების ანალოგიურია. ცხადია, ამის მიღწევა არაა იოლი, მაგრამ შინაგანი პასუხისმგებლობის ხარჯზე ოქროს შუალედის პოვნას ახერხებს. ახალგაზრდულ ჩემპიონატზე შუა კვირაში წამოვიდა და თურმე ნერვიულობდა, გაკვეთილები გამიცდებაო.

მისი ჩვეულებრივი დღე მნიშვნელოვნად განსხვავებულია მისივე თანატოლებისაგან - ჯერ სკოლა, მერე სადილი სახლში და ლამის მაშინვე მეცადინეობა. სალამოს ისევ ვარჯიშზეა წასვლელი და მეორე დღისთვის გაკვეთილები მაშინვე უნდა მოამზადოს, ამას კი ისევ ძველი გრაფიკი მოსდევს - ათეულობით და ასეულობით ნახტომი სკოლის ეზოში მოწყობილ სახტომ სექტორში, კვლავ უამრავი გარბენი და უამრავი ნაბიჯი თეთრ ზოლამდე, საიდანაც უნდა აიწიოს და რაც შეიძლება შორს გადახტეს. წინ ხომ ის მიზანია, რაც გამუდმებით უტრიალებს თავში და რისთვისაც ეგუება ამ ყოველდღიურ ჯოჯოხეთს, იქამდე კი ისე ვერ მიაღწევს, ყოველი მომდევნო ნახტომი წინაზე გრძელი არ გამოუვა. ცხადია, იოლი არაა ის ათეულობით ნახტომი, რასაც ყოველ დღე იტანს მისი ბავშვური ფეხები, მაგრამ მიზნამდე გადახტომის სურვილი იმდენად დიდია, დაღლას ვერც გრძნობს. უფრო სწორად, შეეჩვია ამ ჯოჯოხეთს და ახლა ყურადღებას აღარ აქცევს. სამაგიეროდ, კარგად ხედავს მწვრთნელი მამა, რომელიც ძალიან ხშირად აჩერებს და ლამის ძალით გაჰყავს სახტომი სექტორიდან, რათა გადაღლისგან დაიცვას (სხვათა შორის, მის ასაკში სანეევსაც ასე ექცეოდნენ). ცხადია, მამას სიამოვნებს ვარჯიშებისადმი მისი ასეთი პროფესიონალური დამოკიდებულება. სიამოვნებს ისიც, ვარჯიშები რომ არ ეზარება, მაგრამ ზომიერებაც საჭიროა. მძლეოსნობა ხომ ისედაც ბევრ ნიუანსზეა დამოკიდებული - შეიძლება, გარბენისას ქარის სიჩქარემ იმატოს, ან - ნაბიჯი ვერ გათვალოს, და ახალი პრობლემები საჭირო არაა.

ამ მძიმე გრაფიკის მიუხედავად, იგი სკოლაშიც წარმატებული მოსწავლეა. იმდენად წარმატებული, რომ მასწავლებლები მამამისს ეუბნებიან, იქნებ ტრავმა მიიღოს და სპორტში ვერაფერს მიაღწევს, სწავლას დაუთმოს მთელი დროო, მაგრამ უკან არც ეს იხევს და არის ასე ჭიდაობა მშობელსა და პედაგოგებს შორის. ლაშა ჯერ მხოლოდ ხტომებში გამოდის, თუმცა მამა ფიქრობს, რომ 100 მეტრზეც წარმატებით ირბენდა, მაგრამ სპრინტზე გადასვლას ჯერ არ ჩქარობს -დატვირთვები არ აკლია.

ძალიან გვინდოდა, ეს წერილი იმედიანად დაგვესრულებინა და პრობლემებზე არ გველაპარაკა, მაგრამ... სოფელში მოვარჯიშე სპორტსმენებს დალხენილი ცხოვრება რომ არ ექნებოდათ, კი ვიცოდი, მაგრამ რაც მოვისმინე, მაინც მოულოდნელი იყო.

მოგეხსენებათ, ზემო და ქვემო ალვანი თუშებით დასახლებული სოფელია, რომლებიც ზაფხულობით აიყრებიან და მთაში, მამა-პაპათა ისტორიულ ნაფუძარებს უბრუნდებიან. ქვემოალვანელ მძლეოსნებსაც პირველად იქ შევხვდი, ჯერ კიდევ 2001 წელს. ომალოში, სასტუმროს ეზოში მყოფმა ყურადღება დაბლა, სასტუმროს ეზოში შეკრებილ ახალგაზრდებს მივაქციე, რომლებიც პერიოდულად გარბი-გამორბოდნენ. რომ ვიკითხე, მიპასუხეს, ეგენი მძლეოსნები არიან, მანდ შეკრებას გადიანო. მას შემდეგ ომალოში ყოველი ასვლისას ვხედავდი ამათ და სულ მაინტერესებდა ასეთ "ველურ" პირობებში მომზადებულთა შედეგები. ვინც ბოლო წლებში მძლეოსანთა რესპუბლიკურ ტურნირებს ადევნებს თვალს, დამეთანხმება, ისინი მუდამ ლიდერებში არიან და ახმეტაში მუდამ მედლების კოლექციით ხელდამშვენებულნი ბრუნდებიან. ერთხელ ერთმა იქაურმა - **ნანა გუთანაიძემ** მსოფლიო პირველობაზეც კი იასპარეზა და ოლიმპიურ ნორმატივებსაც მიუახლოვდა... სიმართლე გითხრათ, მეგონა, იმ შეკრებებს ვინმე უფინანსებდათ, მაგრამ გაირკვა, რომ თურმე, საკუთარი ხარჯებით დადიან, ჯიბე კი ხშირად ყველაფერს ვერ წვდება. წარმოიდგინეთ ის შეკრება, სადაც სპორტსმენებს ხორცი ენატრებათ და ხშირად რძის პროდუქტებიც ფუფუნებაა, ეს ყველაფერი კი მთაში ხდება, სადაც მეცხოველეობა დღემდე წამყვანი დარგია. საბოლოოდ ისე გამოდის, იქ ძირითადად სუფთა ჰაერის გამო დადიან, მაგრამ უსუფ ლულელაური შიშობს, რომ წლეულს ამასაც ვერ მოახერხებს. მოგეხსენებათ, შარშანს მერე ქვეყანაში ფასებმა ყველაფერზე რამდენით იმატა, უპირველესად კი - საწვავზე, რამაც მგზავრობის გაძვირება გამოიწვია. არადა, ალვანიდან ომალოში ასვლა არც ადრე იყო იაფი გასეირნება, წლეულს კი მით უფრო გაძვირდება. შესაბამისად, იზრდება სასტუმროების ფასიც. არადა, შარშან ისეთ შემჭიდროებულ პირობებშიც კი კაცი 250 ლარი დაჯდა.

სხვა საქმეა სავარჯიშო პირობები თავად ქვემო ალვანის სკოლაში, სადაც სახტომი სექტორი, ასე თუ ისე, მაინც აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მორბენლები კი ალაგ-ალაგ ამოტეხილ ასფალტზე დარბიან. ამას ინვენტარისა და ეკიპირების არქონაც ემატება, რაც ლაშასთვისაც დიდი პრობლემაა. სხვა თუშთა მსგავსად, ლულელაურებიც გამრჯე ხალხია და და ეკონომიკურად იმდენად არ უჭირთ, სხვათა ხელის შემყურენი იყვნენ, მაგრამ დიდ სპორტს თანხებიც დიდი სჭირდება - მოგეხსენებათ, სპორტული სამოსი ჩვეულებრივზე ძვირი ღირს. მამას ნამდვილად ეუხერხულებოდა ამ თემაზე ლაპარაკი და დიდად არც ჩვენ გვსიამოვნებს ამის დაწერა, მაგრამ უცხოეთში ასეთი ნიჭიერი სპორტსმენები ამგვარ პირობებში არ ვარჯიშობენ. მათ სათადარიგო ინვენტარიც კი არ აკლიათ, არათუ პირველადი, ლულელაური კი... სახლში შერემონტებული ფეხსაცმლით ხტება. სხვათა შორის, საუკეთესო ხარისხის არც ესაა და დიდი შანსია, ფეხიც გაუფუჭოს, მაგრამ უკეთესი საქართველოში არ იშოვება. საუკეთესო ხარისხისას მხოლოდ უცხოეთში თუ შეიძენ... ასეთ დეტალებზე წერა სულაც არ გვიხარია, მაგრამ იმ იმედით ვბედავთ, რომ იქნებ ვინმემ მიაქციოს ყურადღება ნიჭიერ სპორტსმენს; იქნებ ვინმემ მცირედი მაინც გაიღოს მის დასახმარებლად. ვიმედოვნებთ, ასეთები მართლაც გამოჩნდებიან და ნიჭიერ ახალგაზრდას ხელს შეაშველებენ. ადრე ჩვენებრ ღარიბ ფედერაციებს საერთაშორისო ფედერაცია ინვენტარით და სპორტული სამოსით. ვიმედოვნებთ, ჩვენი ფედერაცია ამ მხრივ მაინც დაეხმარება ლულელაურს. იმედია, მას საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიც მიაქცევს ყურადღებას, როგორც მომავალ ოლიმპიელს.

იქნებ წერილისთვის წერტილი აქვე დაგვესვა, მაგრამ ახმეტის რაიონის სათანადო სამსახურის დამოკიდებულებაზე საგანგებოდ უნდა ვთქვათ. გვესმის, თანხები თავზე არც მათ გადასდით, მაგრამ როცა რაიონში სპორტის ასეთი წარმატებული კერა გაქვს, ცოტა სათუთად უნდა მოეპყრა. მძლეოსნებს კი აფინანსებენ, მაგრამ ძალიან მწირად. მაგალითად, უფროსებში საქართველოს ჩემპიონატზე რაიონული ბიუჯეტის დაფინანსებით ჩამოვიდნენ, მაგრამ ახალგაზრდულზე - საკუთარი ფულით. ასეთი კერა თავიდან რომ იქმნებოდეს, კიდევ ჰო, მაგრამ როცა ამხელა სამუშაო გაწეული, როცა ასეთ დონეს მიაღწიეს, მეტ ყურადღებას იმსახურებენ. სხვა თუ არაფერი, იგივე შეკრებების მოწყობაში ხომ შეუძლიათ დახმარება? იმედია, შეკრების მოწყობაში თავის წვლილს ახმეტის მაჟორიტარი, თავადაც თუში **პეტრე ცისკარიშვილიც** შეიტანს. ქართულ მძლეოსნობას ისედაც ძალიან უჭირს და სადაც ხელს შევაშველებთ, საქვეყნო საქმე იქნება.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ჯერჯერობით კარგი ფრენაა...




"ავსტრიის ავიახაზებზე" ქართველ ჩოგბურთელთა გარჯა ჯერჯერობით, კარგია და იმედია, ბოლოშიც წარმატებით გავლენ. ცხადია, გვაქვს დანაკარგები, მაგრამ სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგანაც საკმაოდ ბევრი ქართველი თამაშობდა.

სამწუხაროდ, **ანი გოგვაძე**, რომელიც 14-წლამდელებში პირველი ნომერი იყო, მეთხუთმეტედ განთესილმა სომეხმა ანაჰიტ განჯალიანმა დაამარცხა სამ სეტში - 6:1, 3:6, 4:6.

ამ ასაკში მერვედფინალში **მარიამ დგებუაძემ სოფო გეგეშიძეს** მოუგო - 6:2, 3:6, 7:6 (4); **ბარბარე ერისთავმა** რუსი ელენა მალცევა დაამარცხა - 6:3, 6:3. უკრაინის სახელით მოასპარეზე ალექსანდრა ქორაშვილმა ებრაელი ლი ლივის ჩამოშორება შეძლო გზიდან - 6:4, 6:0.

ვაჟთა შორის მეოთხედფინალში მხოლოდ ერთი ქართველი - **ნიკა დოლიძეა** გასული. ნიკა განთესვით მეშვიდეა. მან მერვედფინალში რუსი ანდრეი პეჩკინი დაამარცხა - 7;5 (4), 6:0.

16-წლამდელებში წარმატების მეტი იმედი გვაქვს. გოგონებში მეოთხედფინალში ხუთი ქართველია: **ნინო მებუკემ**, რომელიც პირველ ნომრად არის განთესილი, **ბაბილინა მაჩაიძე** დაამარცხა - 6:1, 6:4; **თამარ კომახიძემ** (7) ბელარუსი კრისტინა რუსაკი გაანადგურა - 6:1, 6:4; **დიანა დავითაიამ** ქართველ **ეკატერინა პოტაპოვას** აჯობა - 6:2, 6:0. **ნინო სუჯაშვილმა** თანამემამულე **დიანა ტუმანოვა** გამოთიშა ასპარეზობას - 6:1, 3:6, 6:0; **ნინო თეიმურაზის ასულ სუჯაშვილს** კი **ეკატერინა უშმაევასთან** მოუწია დაპირისპირება. ეკატერინაც ქართული ჩოგბურთის აღზრდილია. ფავორიტი ამ დუელში სუჯაშვილი იყო და იოლადაც მოიგო - 6:0, 6:2.

ვაჟებში მეხუთედ განთესილმა **დავით ხუციშვილმა** გიორგი გეგეშიძეს ერთი გეიმიც არ დაუთმო - 6:0, 6:0. **ალექსანდრე მეტრეველმა** სომეხი იური გრიგორიანი არ გაუშვა თავისზე წინ - 6:4, 6:4. **გიორგი ცივაძემ** კი ყაზახის თბილისში ვიზიტი გახადა ცუდად დასამახსოვრებელი - 6:1, 6:0. მეორე ნომრად **ბიძინა ამაშუკელია** განთესილი და საბედნიეროდ, მეოთხედფინალში ისიც გავიდა - რუსი **ალექსანდერ პოლინსკი** ორ სეტში გააკრა ბეჭებზე - 6:2, 6:4.

დღეს მეოთხედფინალში შემდეგი წყვილები გავლენ კორტებზე: 16-წლამდელი ვაჟები: ბიძინა ამაშუკელი - ვალერი პრეობრაჟენსკი, გიორგი ცივაძე - ალექსანდრე მეტრეველი, დავით ხუციშვილი - დიმიტრი ზიხმანტოვიჩი (ბელ), მაქსიმ მალიშევი (უკრ) - არმან გაბრიელიანი (რუს)

გოგონები: ნინო მებუკე - თამარ კომახიძე, ანი ამირაგიანი (სომ) - დიანა დავითაია, ნინო სუჯაშვილი - რონა ლავიანი (ისრ), ნინო თ. სუჯაშვილი - ნოი მორი (ისრ)

14-წლამდელები: ვაჟები: ჯანლუიჯი კვინძი (იტა) - ანტონ კოზლოვი (რუს), ამირ გალი (ისრ) - გაბრიელ თავორი (ისრ), ეიალ კოენი (ისრ) - დავიდ მუშევი (ისრ), ნიკა დოლიძე - სტეფანო ნეპოლიტანო (იტა)

გოგონები: ანაჰიტ განჯალიანი (სომ) - მარიამ დგებუაძე, შანი ბლეჩერი (ისრ) - ბარბარე ერისთავი, დარია საპოგოვა (ბელრ) - ალექსანდრა ქორაშვილი (უკრ), ვიქტორი ალუშკოვა (უკრ) - ვალერია პატიუკი (ისრ)

ზვიად შათირიშვილი

რაგბი. IRB-ის ერთა თასი

# დღეს, იტალიასთან

IRB NATIONS CUP
Bucharest 2008

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები დღეს ბუქარესტში IRB-ის ერთა თასზე ბოლო შეხვედრას გამართავს იტალიის A ნაკრების წინააღმდეგ. ძირითად თხუთმეტეულში ერთი ცვლილებაა შუამარბი **რეზო გიგაურის** ნაცვლად იტალიელების წინააღმდეგ ლელოელი **ლაშა ხმალაძე** ითამაშებს. გიგაური არც სათადარიგოთა შორისაა. თამაში საქართველოს დროით 19 საათზე დაიწყება, რეპორტაჟს საზოგადოებრივი არხი გადმოსცემს.

**საქართველო:**

**15.ოთარ ბარკალაია, 14.გიორგი შკინინი, 13.ალექსანდრე თოდუა, 12.ლაშა ხმალაძე, 11.ირაკლი ჩხიკვაძე, 10.ლაშა მალაღურაძე, 9.ბიძინა სამხარაძე,**

**1.დავით გასვიანი, 2.ირაკლი ნატრიაშვილი, 3.გიორგი ხოსიტაშვილი, 4.გიორგი ნემსაძე, 5.კახაბერ უჩავა, 6.სიმონ მაისურაძე, 7.ირაკლი გუნდიშვილი, 8.ბესარიონ უდესიანი.**

**16.ჯაბა ბრეგვაძე, 17.შოთა მელიქიძე, 18.კარლენ ასეიშვილი, 19.ვიქტორ კოლელიშვილი, 20.გიორგი როხვაძე, 21.ბექა ნიკლაური, 22.ირაკლი ყიასაშვილი.**

ბესიკ ჯანგავაძე

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# მერვედფინალში

პარიზში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე, რომელიც "დიდი სლემის" ეგიდით იმართება, ქართულმა წყვილმა საქა-რთველომ ჯგუფურ ეტაპზე სამი შეხვედრიდან ორი მოიგო და მეორე ადგილი დაიკავა.

ბოლო მესამე შეხვედრა ჩვენმა ფრენბურთელებმა გერმანული დუეტის კოპლერისა და ზემლერის წინააღმდეგ გამართეს და ორ სეტში გაიმარჯვეს 22:20, 21:16. პირველი ადგილი კი ჯგუფში ამერიკელებს როსისა და ბოსის დარჩათ, რომლებმაც ბოლო შეხვედრაში ფრანგული დუეტი დაამარცხეს 21:17, 21:17 და პირდაპირ მერვედფინალში გავიდნენ.

საქა-რთველო მერვედფინალში გამსვლელ მატჩში კენჭისყრით ავსტრიელებს **მონტანოლისა** და **სვობოდას** დაუპირისპირდება, რომლებმაც E ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს. Gგამარჯვების შემთხვევაში ჩვენი ფრენბურთელების მეტოქე მერვედფინალში ამერიკელები ბრანაგი და იუნგსი იქნებიან, რომლებიც შეჯიბრში მე-4 ნომრებად არიან განთესილი.

ბესიკ ჯანგავაძე

მშვილდოსნობა

# ორი ბრინჯაო თეირანში

ამ დღეებში ჩვენი მშვილდოსნები - ქალებიც და კაცებიც თეირანში, აზიის დიდი პრიზის მეორე ეტაპზე გამოვიდნენ, რომელშიც 10 ნაკრები მონაწილეობდა. ცხადია, ჩვენგან უფრო წარმატებით ქალები გამოვიდნენ: რომლებიც გუნდურში მესამეზე გავიდნენ, ხოლო პირადში **ხათუნა ნარიმანიძემ** ასევე ბრინჯაო მოიპოვა.

საკვალიფიკაციო ეტაპი ყველაზე უკეთ **ქრისტინე ესებუამ** ჩაატარა და 642 ქულით მოიგო კიდეც. ნარიმანიძე 614-ით მეოთხეზე გავიდა, **ოლგა ლადიგინა** კი 610-ით მეათე იყო. პლეი ოფებში, როგორც გითხარით, უფრო უკეთ ნარიმანიძემ იასპარეზა და მესამეზე გავიდა. ესებუა მეხუთე იყო, ლადიგინა კი მეათეზე დარჩა.

ჩვენი ვაჟებიდან ყველაზე უკეთ **ტარიელ ქადიძემ** ისროლა, რომელმაც 327 ქულა დააგროვა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. მასთან ერთად ჩვენს გუნდში **ვლადიმერ ბოლქვაძე** და **შალვა ნიბლიაშვილიც** შედიოდნენ და ეს სამეული გუნდურში მეექვსე იყო.

ირაკლი თავაძე

# შაფათავას რუსი გამოცდის

თურქულ ქემერში გრძელდება ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. ქართველი **სოფიო შაფათავა** (313) კვლავ წარმატებულია, მერვედფინალში 18 წლის ჩოგბურთელმა შვეიცარიელი **სტეფანია ბოფა** დაამარცხა – 5:7, 6:1, 6:3. სოფიომ უკვე გაინაღდა 7 სარეიტინგო ქულა და საუკეთესო 300-ეულში ადგილი. მეოთხედფინალში ქართველის მეტოქე რუსი **არინა როდიონოვა** (273) იქნება, რომელიც ქემერში მე-8 ნომრად არის განთესილი.

წყვილთა ბადე ჩვენებისთვის უკვე დასრულდა. მეოთხედფინალში **მანანა შაფაქიძისა** და სოფიო შაფათავას წყვილი მე-4 ნომრად განთესილ **ბოფა-ფრანკოვას** დუეტთან დამარცხდა – 5:7, 0:6. ნახევარფინალში ვერც **სოფიო ქვაცაბაია** და მისი მეწყვილე **ავგუსტა ციბიშევა** გავიდნენ, მათ მე-2 ნომრად განთესილ **კლაფნერთან** (ავსტრია) და **კონდრატიევასთან** (რუსეთი) წააგეს – 2:6, 5:7.

ნიკოლოზ ნეფარიძე

წყალბურთი. ეროვნული ნაკრები

# მეოთხეზე დავამთავრეთ

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა უკრაინის ლია პირველობა დაამთავრა. მართალია, შეჯიბრება კვლავ გრძელდება, მაგრამ რაკილა ჩვენი გუნდი უკონკურსოდ თამაშობდა, პლეი ოფებში არ გამოვა.

რეგულარული სეზონის დასკვნითი, მეექვსე ეტაპი დნეპროძერჟინსკში ჩატარდა. სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის თავკაცმა სოსო მაისურაძემ ორი წამყვანი ლეგიონერი მოისაკლისა. კონკრეტულად, გერმანულმა კლუბებმა არ გამოუშვეს პავლე ჯაფარიძე და ილია ბუტიკაშვილი. მართალია, იტალიიდან ნიკა ასათიანი და რუსეთიდან მიხეილ ბალათურია დაგვემატნენ, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, დანაკლისი უფრო დიდი იყო.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა სევასტოპოლის გუნდთან 8:10 წააგო, ხარკოველებთან კი ფრეს (12:12) დასჯერდა და შეჯიბრება მეოთხე ადგილზე დაამთავრა.

# ჯომარდობა ბორჯომში

21-22 ივნისს ბორჯომის ხეობაში, მდინარე მტკვარზე ჯომარდობაში საქართველოს მეორე ეროვნული ჩემპიონატი გაიმართება ვაჟთა და ქალთა გუნდების მონაწილეობით. გუშინ, წინასატურნირო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ჩემპიონატის ორგანიზატორები- ჯომარდობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **დავით ქაცარავა,** გენერალური მდივანი **ოთარ ედიშერაშვილი,** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური,** ჩემპიონატის ოფიციალური მზღვეველის "არქიმედეს გლობალ ჯორჯიას" გენერალური დირექტორი **ნიკა რამიშვილი** შეხვდნენ.

"საქართველოში ჯომარდობის პოპულარობა დღითიდღე იზრდება - განაცხადა დავით ქაცარავამ - შარშანდელთან შედარებით, წლეულს, ისეთი ინტერესი იგრძნობა, მართლა რომ არ ველოდით. ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველთა სრულად დაკმაყოფილებასაც კი ვერ ვახერხებთ, მაგრამ ყველას ვპირდებით, სამომავლოდ გულს არავის დავწყვეტთ.

ჩემპიონატში 32 გუნდი გამოვა, თითოეული 6-კაციანი შემადგენლობით. აუცილებელი პირობაა გუნდს ჰყავდეს კაპიტანი.პროგრამაშია 900-მეტრიანი დისტანცია- სპრინტი".

**დავით ნამგალაური:** "სულ რაღაც ორი წლის წინათ მხოლოდ ფურცელზე




დაწერილი იდეა არსებობდა, დღეს კი ჯომარდობის პოპულარობა საოცარი სისწრაფით იზრდება. ფედერაციამ მოკლე დროში შეძლო ხალხისთვის ეს სახეობა შეეყვარებინა. მარტო ის რად ღირს, რომ ჩემპიონატში ქალთა 10 გუნდი მონაწილეობს.

ჩვენი ნაკრები კი ფაქტობრივად ეხლა იწყებს დიდ ასპარეზზე გასვლას და გპირდებით, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ქართული გუნდი აუცილებლად გამოვა. სპორტის დეპარტამენტი ყოველთვის მზად იქნება ხელი შეუწყოს ამ სახეობას".

21 ივნისს ჩემპიონატის გახსნის ოფიციალური ცერემონიალი და საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართება. იმავე დღეს ბორჯომის პარკში ფედერაცია "ჯომარდ ფართის" გამართავს.

22 ივნისს კი ფინალური რაუნდი შედგება. დაწესებულია პრიზები. სპონსორობას ტურნირს "სახალხო ბანკი", "პრაიმ ფიტნესი" და "ჯი დი გრუპი" გაუწევენ.

სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური

# პირველად 1992 წლის შემდეგ: საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დაბრუნდა

პარადოქსული ამბავია, მაგრამ ფაქტია, რომ წყალბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ბოლოს 1992 წელს ჩატარდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ამხელა პაუზის შემდეგ, ეროვნული ჩემპიონატი მხოლოდ გუშინ დაგვიბრუნდა "ლაგუნა ვერეზე".

რასაკვირველია, თითქმის 17-წლიანმა პაუზამ საკმაოდ აზარალა ქართული წყალბურთი. დაიკარგა უამრავი კადრი, მაგრამ ექვსი გუნდის მოგროვება მაინც მოხერხდა. კერძოდ, ჩემპიონატზე იასპარეზებენ "რუსთავი", "ქუთაისი", "ქარიშხალა", ასკ, "თბილისი" და "დელფინი". აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ საკადრო პრობლემების გამო, კლუბებმა დაიმატეს ლეგიონერები და ვეტერანი წყალბურთელებიც.

ჩემპიონატი წრიული სისტემით ჩატარდება და ხუთ დღეს გასტანს. საწყლოსნო სახეობათა ფედერაციასთან ერთად, შეჯიბრების ორგანიზებაში ლომის წილი დაიდო ვეტერანმა წყალბურთელმა **მურთაზ გულედანმა**, რომელიც ეროვნული ჩემპიონატის აღდგენის ერთ-ერთი ძირითადი ინიციატორი იყო.

ამას გარდა, ჩემპიონატის ორგანიზებაში, საწყლოსნო სახეობათა ფედერაციას ეხმარებიან სპორტის დეპარტამენტი და თბილისის მერიის სპორტის სამსახური. გამოჩნდნენ სპონსორებიც - "აგროკომი", "ახალი ერა", ვეტერანი წყალბურთელი **ზალიკო ნიკოლაიშვილი** და სხვები...

დაწესებულია პრიზები საუკეთესო მეკარის, მცველის, თავდამსხმელისა და ბომბარდირისათვის. ასევე დაჯილდოვდება საუკეთესო ახალგაზრდა წყალბურთელი.

საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ხელმძღვანელობის თქმით, ახლა ყველაზე მთავარი ეროვნული ჩემპიონატის აღდგენა იყო, რომელიც ამიერიდან ტრადიციული გახდება. შეჯიბრების საორგანიზაციო მხარის გაუმჯობესებაზე, კლუბების მომატებაზე და სხვა პრობლემატურ საკითხებზე კი ჩემპიონატის შემდეგ დაიწყება მუშაობა.

კობა ხატისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. ფორმულა 1. ინტერვიუ კიმი რაიკონენთან

# ბრძოლა ახლა იწყება

ჯერ კიდევ თურქეთში, კიმი რაიკონენი ჩემპიონატს ლიდერობდა და ექსპერტები ფინელ პილოტს ტიტულის მთავარ პრეტენდენტად მიიჩნევდნენ. მაგრამ გაიმართა მომდევნო ორი ეტაპი, რომლებშიც კიმიმ ვერცერთი ქულა ვერ აიღო და პირად ჩათვლაში მეოთხე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

ამ უიქენდზე გასამართი საფრანგეთის გრანპრის წინ, მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი ჟურნალისტებს ესაუბრა, სადაც გასული ეტაპის პერიპეტიებზე საუბრის გარდა, ისიც განაცხადა, რომ ძალიან მოენატრა გამარჯვებები და სწორედ მანი-კურში აპირებს ჩემპიონატის მსვლელობაში გარდატეხის შეტანას...

- აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის მქონდა გამარჯვებისადმი ასეთი ლტოლვა. გუნდმა მომიმზადა მანქანა, რომელიც სხვადასხვა ტრასებზე ერთნაირად კონკურენტუნარიანია, მაგრამ ვერ შევძელი ბოლო ორ რბოლაში ამ პოტენციალის რეალიზება. წარსულში ყურება და წარუმატებლობებზე ფიქრი არ მიყვარს - ეს დროის ფუჭი ხარჯვაა. სჯობს შემდეგ გრანპრიზე ვიფიქრო და მაქსიმალური შედეგი ვაჩვენო.

დარწმუნებული ვარ, მანიკურში ყველაფერი სხვანაირად იქნება. ერთი წლის წინათ, საფრანგეთში ჩემთვის სეზონი ფაქტობრივად, თავიდან დაიწყო, იმედია, 2008-შიც ასე იქნება - ორი უქულო რბოლის შემდეგ, მომავალი წარმატება მართლაც მნიშვნელოვანი გახლავთ. საფრანგეთის ავტოდრომი ძალიან მომწონს, ის იდეალურია ჩემი მანქანისთვის.

**- რა მოხდა კანადის გრანპრის დროს ბოქსებში თქვენსა და ლუის ჰემილტონს შორის?**

- ჩემმა მექანიკოსებმა სწრაფად იმუშავეს და ტრასაზე კუბიცას მივყევი. პიტ-ლეინიდან გასასვლელში რობერტის გვერდით დავდექი და შუქნიშნის მწვანე შუქს ველოდე. სწორედ ამ დროს, უკნიდან ვიღაც დამეჯახა. შუქნიშანს გავხედე, სადაც ისევ წითელი შუქი ენთო და გავიფიქრე, რომ ვიღაცამ გადაწყვიტა, პიტ-სტოპზე არ შესულიყო. ეს ლუისის საშინელი შეცდომა იყო, მაგრამ ახლა, ველარაფერს გამოვასწორებთ.

**- რას ფიქრობთ ჰემილტონის შეცდომაზე?**

- გამიჭირდება სხვისი მოქმედების შეფასება, რადგან წინა რბოლაში, მონაკოს გრან პრის დროს თავად დავუშვი შეცდომა. მაგრამ თუ ამ ყველაფერს გვერდიდან შევხედავთ, ეს სიტუაციები კარდინალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. 300 კილომეტრი საათის სიჩქარით მოძრაობისას ბოლიდზე კონტროლის დაკარგვა და პიტ-ლეინზე მოწინააღმდეგესთან შეჯახება სრულიად განსხვავებული სიტუაციებია. ჩემი აზრით, მან სულელური შეცდომა დაუშვა.

**- ამ ინციდენტმა რბოლის მოგების საშუალება არ მოგცათ?**

- იმ რბოლაში სწრაფი მანქანა მყავდა და მესამე ადგილზე ვიყავი. მართალია, დროებით შეიქმნა პრობლემა მარცხენა წინა საბურავთან დაკავშირებით, მაგრამ როცა ყველაფერი მოგვარდა, სისწრაფეში ვერავინ შემედრებოდა და სულ მალე დავეწიე კონკურენტებს.




**- ჰემილტონმა განაცხადა, რომ მას არ დაუნახავს შუქნიშნის წითელი შუქი. ლუისმა ბოდიში მოგიხადათ?**

- მასზე გაბრაზებული არ ვყოფილვარ. ლუისმა კარგად იცის, რომ პიტ-ლეინის გამოსასვლელთან შუქნიშანი დგას და მასზე ხანდახან წითელი შუქი ინთება ხოლმე. ის ამის შესახებ გუნდს უნდა გაეფრთხილებინა. სამწუხაროა, რომ გასასვლელთან მდგარი ორი მანქანიდან, ბრძოლას, მაინც და მაინც, მე გამოვეთიშე.

**- რას ფიქრობთ ჩემპიონატის ახალ ლიდერზე - რობერტ კუბიცაზე?**

- განვლილი ეტაპების დროს, "BMW-ზაუბერის" პილოტები მეტ-ნაკლებად სწრაფები იყვნენ. ახლა კი, ჩვენი და "მაკლარენის" პრობლემების გამო, დუბლი გაახერხეს და თავად იგდეს ხელთ ლიდერობა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მანქანა რამდენიმე რბოლის მოგების საშუალებას მომცემს და ჩამორჩენას გავაბათილებ. ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყება.

**- და მაინც, "მაკლარენის" გარდა, "BMW-ზაუბერის" სახით ახლა უკვე მეორე კონკურენტი გამოგიჩნდათ...**

- დიახ, ისინი ყოველ რბოლაში ქულებს აგროვებენ. სტაბილურობით მათ ვერავინ შეედრება. კუბიცა ჰემილტონსა და მასას ხუთი ქულით ასწრებს, მე - შვიდით. ვნახოთ, შევძლებთ თუ არა საფრანგეთში პოლონელის დაწევას..

გია თვალაბეიშვილი

ფორმულა 1. ვიცე-ჩემპიონის პრობლემები

# ჰემილტონი ბრიტანელებსაც მობეზრდათ




დიდ ბრიტანეთში უკვე კარგა ხანია ელიან ისეთი პილოტის გამოჩენას, რომელიც **გრემ ჰილის, ჯიმ კლარკის, ჯეკი სტიუარტისა** და **ნაიჯელ მენსელის** ტრადიციებს გააგრძელებს. ბრიტანელი ექსპერტები ყოველ ახალგაზრდა თანამემამულეში ხედავენ იმედს, მაგრამ ჯერჯერობით, ავტოსპორტის ბრიტანულ სკოლას ახალი ჩემპიონი არ ეღირსა.

როცა **ჯენსონ ბატონს** "უილიამსში" დებიუტი ჰქონდა, ბრიტანელმა ჟურნალისტებმა ის ცაში აიყვანეს, მაგრამ სულ მალე მათ იმედგაცრუება ელოდათ: 2000 წელს დაკავებული მერვე ადგილის შემდეგ, მომდევნო ჩემპიონატში ბატონი მე-17 პოზიციამდე ჩამოქვეითდა.

გასულ წელს, **ლუის ჰემილტონმა** მართლაც ყველა გააოცა და ინგლისელები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ "მაკლარენის" პილოტის ოსტატობის გამო. შავკანიანი პილოტი უზომოდ პოპულარული გახდა, მაგრამ ახლა, ჰემილტონისადმი დამოკიდებულება ნელ-ნელა უარესობისკენ იცვლება.

მაგალითად, ფორმულა 1-ის ცნობილმა ექსპერტმა, ბრიტანული ტელეარხის, ITV-ის კომენტატორმა **ჯეიმს ალენმა** მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის ბოლოდროინდელი რეპლიკებისა და გამონათქვამების ანალიზი ჩაატარა და ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ჰემილტონი ინტერვიუებში სულ უფრო ხშირად ავლებს პარალელებს საკუთარ თავსა და წარსულის ლეგენდარულ პილოტებს შორის.

კერძოდ, მონრეალში ლუისმა განაცხადა: *"1988 წელს, მონაკოში სენას ავარიისგან სასარგებლო დასკვნა გავაკეთე: არასოდეს არ უნდა დაკარგო კონცენტრაცია"*. და ცოტა ხანში, ლუისი პიტ-ლეინზე **კიმი რაიკონენის** "ფერარის" შეეჯახა.

ალენს ეთანხმება მისი კოლეგა, გაზეთ The Times-ის მიმომხილველი **ედ გორმანი**. ის წერს, რომ ფორმულას მოყვარულებს, პირველ რიგში, არ მოსწონთ ის, რომ ჰემილტონი ყოველგვარი მოკრძალების გარეშე მიანიშნებს თავისი პიროვნების განსაკუთრებულობაზე. ის ხშირად ამბობს, რომ ჩემპიონობისთვის არის დაბადებული, რომ აუცილებლად საუკეთესო გუნდში უნდა ირიცხებოდეს და ფორმულა 1-ის საუკეთესო მანქანის საჭესთან უნდა იჯდეს.

დღეს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველანი დაიღალნენ იმ აჟიოტაჟის გამო, რომელიც ლუისის სახელის გარშემო არის შექმნილი. ამბობენ, რომ მონრეალში, როცა კვალიფიკაციის ბოლოს **რობერტ კუბიცამ** საუკეთესო დრო აჩვენა, პრესცენტრში ჟურნალისტებმა აპლოდისმენტები არ დაიშურეს, ხოლო, როცა პოლონელის დრო ჰემილტონმა გააუმჯობესა, პრესის წარმომადგენლებმა ტაში შეწყვიტეს და სრულიად გულგრილად შეხვდნენ ბრიტანელის პოულს.

გია თვალაბეიშვილი

ჩოგბურთი. ახალი ამბები

# მასტერსი ლონდონში გადადის

2009 წლიდან პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ATP) შემაჯამებელი ტურნირი სპონსორს, ადგილმდებარეობასა და სახელწოდებას შეიცვლის. ბოლო წლებში, ეს შეჯიბრში ჩინეთის ქალაქ შანხაიში იმართებოდა და მას Tennis Masters Cup ერქვა, უახლოესი ხუთი სეზონის განმავლობაში კი, წლის რვა საუკეთესო ჩოგბურთელი ლონდონში შეიკრიბება და ATP World Tour Finals-ის მთავარი პრიზისთვის იბრძოლებს.

ეს ცვლილებები ახალ სატიტულო სპონსორთან, ბრიტანულ ბანკ Barclays-თან კონტრაქტით არის გათვალისწინებული, რომელიც ყოველწლიურად ტურნირის ჩატარებისთვის 3.5 მილიონ ფუნტს გამოყოფს. როგორც ATP-ის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, მომავალში კონტრაქტი შეიძლება 8 წლამდე გაგრძელდეს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ბანკი Barclays ინგლისის პრემიერლიგის მთავარი სპონსორიც გახლავთ.

# მარეი უსამართლობის წინააღმდეგ




გუშინ, უიმბლდონის ორგანიზატორებმა განთესილი ჩოგბურთელების სია გამოაქვეყნეს და დიდად გაანაწყენეს ბრიტანული ჩოგბურთის მთავარი იმედი, **ენდი მარეი**. შოტლანდიელი ჩოგბურთელი ATP-ის რეიტინგში მე-11 ადგილს იკავებს, "დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირზე კი, მე-12 ნომრად არის განთესილი. მარეის გულისწყრომა იმან გამოიწვია, რომ რეიტინგში მის ქვემოთ მყოფმა ორმა ჩოგბურთელმა - **მარკოს ბაღდატისმა** (25-ე) და **ტომაშ ბერხიდმა** (19-ე) უფრო მაღალი განთესვის ადგილები მიიღეს.

*"ბალახის კორტების ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ვარ. შარშან, უიმბლდონზე ტრავმის გამო არ მითამაშია და ამიტომაც, განთესვის უფრო დაბალი ნომერი მერგო. შეგახსენებთ, რომ სეზონის დასაწყისში, ავსტრალიის ღია პირველობაზე, პირველივე წრეში ჟო-ვილფრიდ ცონგას შევხვდი, რომელიც შემდეგ ფინალში გავიდა. ვფიქრობ, "დიდი სლემის" ტურნირებზე წილისყრის სისტემა დახვეწას მოითხოვს"*, - განუცხადა "გარდიანს" მარეიმ.

გიორგი თვალია

# უიმბლდონი შტეპანეკისა და მორესმოს გარეშე?

მომავალ უიმბლდონს შეიძლება ATP-ის ტურის კიდევ ერთი წამყვანი ჩოგბურთელი გამოაკლდეს. მსოფლიოს მე-15 ჩოგანმა **რადეკ შტეპანეკმა** მკერდის კუნთის ტრავმა მიიღო და ამ კვირას, ნოტინგემში მიმდინარე ტურნირს უბრძოლველად გამოეთიშა. ჩეხმა თავისი ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით აუწყა ყველას, რომ სავარაუდოდ, უიმბლდონის გამოტოვება მოუწევს.

*"ტრავმისთვის ძალიან არასასურველი მომენტი იყო. ბოლო თვის განმავლობაში კარგ ჩოგბურთს ვაჩვენებდი და უიმბლდონის შედეგების მიხედვით, ATP-ის საუკეთესო ათეულში დაბრუნება მქონდა განზრახული. ბალახზე თამაში ძალიან მომწონს, ამიტომაც ამ დაზიანებამ ერთი-ორად გამიფუჭა განწყობა. ვეცდები, რაც შეიძლება სწრაფად გამოვჯანმრთელდე და უიმბლდონზე ვითამაშო, მაგრამ ეს ძალიან რთული იქნება"*, - განაცხადა ჩეხმა ჩოგბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე ცნობილია კიდევ სამი ჩოგბურთელის ვინაობა, რომლებსაც ტრავმების გამო ლონდონის კორტებზე თამაში არ მოუწევთ: ესპანელი **კარლოს მოია** და არგენტინელები - **ხუან-იგნასიო ჩელა** და **ხუან მონაკო**.

■ ■ ■

ქალთა ბადეში შეიძლება ვერ ვიხილოთ 2006 წლის უიმბლდონის ჩემპიონი, ფრანგი **ამელი მორესმო**. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ისტბურნის ტურნირის მეორე წრეში მიიღო ტრავმა და ნაადრევად გამოეთიშა მთავარი პრიზისთვის ბრძოლას. ექიმები უახლოესი ორი დღის განმავლობაში გაარკვევენ, ითამაშებს თუ არა მორესმო "დიდი სლემის" მესამე ჩემპიონატში.

*"ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ უიმბლდონის სტარტისთვის სრულ მზადყოფნაში ვიყო. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მეტყვიან, რომ ბევრი მატჩის ჩატარებას ვერ შევძლებ, კორტზე მაინც გავალ. იმედია, ორი-სამი დღე დასვენება კარგად წაადგება ჩემს მდგომარეობას. ჯერჯერობით, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი"*, - ამბობს ფრანგი ჩოგბურთელი, რომელიც წლეულს ყველაზე უარეს სეზონს ატარებს კარიერაში.

გიორგი თვალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ახალი ამბები

# ნავარო ბარსელონაში დაბრუნდა




"ტორონტო რეპტორზის" ან უკვე ყოფილი კალათბურთელის, **ხორხე გარბახოსას** შემდეგ, NBA კიდევ ერთმა ესპანელმა ლეგიონერმა დატოვა. როგორც "მარკა" წერს, "მემფისის" მცველი, **ხუან კარლოს ნავარო** "ბარსელონაში" გააგრძელებს კარიერას.

კატალონურმა კლუბმა ნავაროს მეტად სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის მიხედვითაც მცველი "ბარსას" ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი გახდა. ახალი ხელშეკრულება ხუთწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს. ფინანსური დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

NBA-ში გადასვლამდე, ნავარო სწორედ "ბარსელონაში" თამაშობდა და მასთან ერთად, 2003 წელს ევროლიგა მოიგო. შარშანდელ რეგულარულში მცველმა 82 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 10.9 ქულას, 2.5 მოხსნასა და 2.2 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. გარდა ამისა, ესპანელმა "ყველა ვარსკვლავის უიქენდზე" ახალბედათა მატჩში ითამაშა.

რაც შეეხება "მემფისს", ის მეორე ესპანელით, **მარკ გასოლით** აპირებს შემადგენლობის გაძლიერებას, თუმცა ესპანეთის ნაკრების მოთამაშეს "რეალი" და "ბარსელონაც" ეპატიჟებიან, რომლებიც უმცროს გასოლს გაცილებით მომგებიან კონტრაქტს სთავაზობენ.

გია **თვალაბეიშვილი**

# ტონი ნაკრებს დაეხმარება

სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს საფრანგეთის საკალათბურთო ნაკრების ხელმძღვანელებმა. "სან ანტონიო სპურსის" ერთ-ერთმა ლიდერმა, **ტონი პარკერმა** განაცხადა, რომ შემოდგომაზე ეროვნულ გუნდს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში დაეხმარება.

როგორც ცნობილია, პარკერმა კონტინენტის შარშანდელი პირველობის შემდეგ გამოაცხადა, რომ ორი წელინადი არ ითამაშებდა ნაკრებში. სხვათა შორის, ტონის გარდა, NBA-ის თითქმის ყველა ფრანგმა ლეგიონერმა იუარა სანაკრებო დონეზე გამოსვლა.

პარკერმა თავისი გადაწყვეტილება მას შემდეგ შეცვალა, როცა გაიგო, რომ ნაკრებში ტრავმის გამო **ჟოზეფ გომისი** ვერ ითამაშებდა.

"სპურსის" გამთამაშებელს მიბაძავს და შესარჩევ ტურნირში საფრანგეთის ნაკრების ღირსებას NBA-ის კიდევ ერთი ლეგიონერი, "ფინიქს სანზის" ფორვარდი **ბორის დიაო** დაიცავს. სავარაუდოდ, მათ გვერდით იქნება "ჩიკაგოს" ახალგაზრდა თავდამსხმელი **იოახიმ ნოა**, რომელმაც ცოტა ხნის წინათ, საფრანგეთის პასპორტი მიიღო.

ცურვა. პეკინი 2008

# ფელპსის ცხრა მიზანი




ამერიკელი სუპერმოცურავე **მაიკლ ფელპსი** პეკინის ოლიმპიადაზე ოქროს შვიდი მედლის მოპოვებას და ამით თავისი სახელოვანი თანამემამულის, **მარკ სპიცის** მიღწევის გამეორებას აპირებს, მანამდე კი, აშშ-ის მოცურავეთა ოლიმპიური ნაკრების შესარჩევ ტურნირზე, ცხრა სახეობაში იასპარეზებს.

მოცურავე, რომელმაც ათენის ოლიმპიადაზე ოქროს ექვსი და ბრინჯაოს ორი მედალი მოიპოვა, ვალდებულია, პეკინის საგზურისთვის რიგითი მოცურავეების გვერდიგვერდ იასპარეზოს. ტურნირი შტატ ნებრასკას ქალაქ ომაჰაში ჩატარდება და სწორედ მისი შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება ამერიკელთა ოლიმპიური ნაკრები.

ომაჰაში ფელპსი შემდეგ დისციპლინებში იასპარეზებს: 100, 200 და 400 მეტრი თავისუფალი სტილით, 200 და 400 მეტრი ინდივიდუალური, შერეული სტილით, 100 და 200 მეტრი გულაღმა და 100 და 200 მეტრი ბატერფლაის სტილით.

იმის მიუხედავად, ყველა ამ დისციპლინაში შეძლებს თუ არა ოლიმპიადაზე კვალიფიცირებას, ფელპსისთვის პეკინში ყველა მათგანზე გამოსვლა პრობლემური იქნება, რადგან მას ასევე ესტაფეტებში მოუწევს გამოსვლა, ეს კი ნებისმიერი დონის მოცურავისთვის არნახული დატვირთვაა.

ფელპსის გარდა, ომაჰაში მეტად დატვირთული გრაფიკი ექნება კიდევ ერთ ამერიკელ მოცურავეს – **კეიტი ჰოფს**, ვინც ოთხი წლის წინათ, ათენში 15 წლისამ იასპარეზა და ამერიკელთა გუნდის ყველაზე მცირეწლოვანი მოცურავე იყო. შესარჩევ ტურნირზე ის შვიდ სახეობაში იასპარეზებს და იმედოვნებს, რომ საპეკინოდ ყველა სახეობის საგზურს დაეუფლება.

ომაჰას "ქვესტ სენტერი" ამერიკელ მოცურავეთა შესარჩევ ტურნირს 29 ივნისიდან, 6 ივლისის ჩათვლით უმასპინძლებს. რაც შეეხება სპიცის მიღწევას, მან ოქროს შვიდი მედალი მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადაზე მოიპოვა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ჩოგბურთი. უიმბლდონის წინ

# ბორგის აზრით

ჩოგბურთის შვედი ლეგენდა **ბიორნ ბორგი** დარწმუნებულია, რომ ამ სეზონში, უიმბლდონის მოგების შანსი **როჯერ ფედერერზე** მეტად **რაფაელ ნადალსა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩს** ექნებათ. უფრო მეტიც, მას არც გაუკვირდება, თუ მსოფლიოს პირველი ჩოგანი მერმის სპორტიდან წასვლასაც კი გადაწყვეტს.

ბორგს 1976-1980 წლებში უიმბლდონი ზედიზედ ხუთჯერ აქვს მოგებული. მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი ფედერერი წლეულს ამ ტურნირის ზედიზედ მეექვსედ მოგებას ეცდება. თუმცა ბორგის თქმით, ამჯერად მას ყველაზე სერიოზული კონკურენცია ელის.

*"მთავარ ფავორიტად რაფაელ ნადალი მიმაჩნია. მერე კი, ალბათ ჯოკოვიჩი მოდის. ჩემი აზრით, როჯერი მესამეა. ფედერერმა ამ ბიჭებს რომ მოუგოს, შარშანდელზე გაცილებით უკეთ უნდა ითამაშოს. ეს მანაც კარგად იცის. ის გრძნობს, რომ თუ მაქსიმალურად არ გაირჯება, გამარჯვებაზე არც უნდა იოცნებოს. ჩემი აზრით, ბოლო წლებში ყველაზე საინტერესო უიმბლდონი გველის"*, - ამბობს ბორგი, ვინც ჩოგბურთს 28 წლისამ დაანება თავი.

სახელოვანი ჩოგბურთელი დარწმუნებულია, რომ თუ ფედერერი ჩოგბურთში დარჩება, ის აუცილებლად გააუმჯობესებს ამერიკელი **პიტ სამპრასის** მიღწევას. შეგახსენებთ, რომ სამპრასს დიდი სლემის 14 ტიტული აქვს მოპოვებული, ფედერერის ანგარიშზე კი ჯერჯერობით, 12 ტიტულია.



*"არ გამიკვირდება, თუ მერმის როჯერი იტყვის, ჩოგბურთს აღარასდროს ვითამაშებო. ეს ალბათ, არ მოხდება, მაგრამ იმის თქმას ვაპირებ, რომ ეს ჩემთვის მოულოდნელობა არ იქნება. მისგან ყველა ყოველთვის გამარჯვებას ელის, ეს კი არამხოლოდ მორალურად, ფიზიკურადაც ფიტავს ადამიანს. ადრე ის შეხვედრებს დასაწყისშივე იგებდა – ყველას მორალურად ანადგურებდა. ახლა კი ყოველი ქულისთვის ბრძოლა უწევს. მოკლედ, ახლა მისთვის ყოველი გამარჯვება ორმაგად დამღლელია"*, - ამბობს ბორგი.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში შვეიცარიელ მაესტროს ჯერ არც დიდი სლემის და არც მასტერსის სერიის ტურნირები არ მოუგია. მის ანგარიშზე ჯერჯერობით, ორი რიგითი ტურნირის ტიტულია. ბორგი კი ამბობს, რომ ფედერერს სამპრასის მიღწევის გაუმჯობესება სურს და თუ მოინდომა, ამ სურვილსაც აისრულებსო.

მერაბ ლორთქიფანიძე

## TV სპორტი

**20 ივნისი. პარასკევი**

**რუსთავი 2**

22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ხორვატია-თურქეთი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 საფეხბურთო კლუბი.
12:50 ევრო 2008. 1/4 ფინალი. გერმანია-პორტუგალია.
15:05 საფეხბურთო კლუბი.
16:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:45 საფეხბურთო კლუბი.
17:35 ევრო 2008. 1/4 ფინალი. გერმანია-პორტუგალია.
19:50 საფეხბურთო კლუბი.
20:45 FUTBOL MUNDIAL. საფეხბურთო ჟურნალი.
21:45 საფეხბურთო კლუბი.
22:30 ევრო 2008. 1/4 ფინალი. ხორვატია-თურქეთი (LIVE).
00:40 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
08:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
08:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჯენოა-პალერმო.
10:35 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბარსელონა-ვილიარეალი.
12:30 ცურვა. Mare Nostrum. ბარსელონა. ესპანეთი.
14:25 მძლეოსნობა.
15:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ნოტინგემი. ბრიტანეთი (LIVE).
18:10 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. გერმანია-პორტუგალია.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008.
21:45 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. ხორვატია-თურქეთი (LIVE).
23:40 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ჯენოა-პალერმო.
03:30 სპორტდოსიე. სკეიტინგი.
04:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბარსელონა-ვილიარეალი.
05:55 ცურვა. Mare Nostrum. ბარსელონა. ესპანეთი.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
11:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-ტაილანდი. იაპონია (LIVE).
13:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. პოლონეთი-ხორვატია.
15:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
19:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. I დღე. ჩინეთი-გერმანია. ჩინეთი.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
20:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-გერმანია.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ახალი ამბები.
22:15 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ.
23:15 პოკერი.
00:15 მულტისპორტი.
00:30 ექსტრემალური სპორტი.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. 1/4 ფინალი. გერმანია-პორტუგალია.

**EUROSPORT-2**

09:00 ახალი ამბები.
09:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-ხორვატია.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-გერმანია.
12:45 ახალი ამბები.
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ჩინეთი (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
17:30 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალები. იტალია (LIVE).
22:00 ახალი ამბები.
22:15 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ჯგუფური ეტაპი. ჩინეთი.
00:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალები. იტალია (LIVE).
01:00 ახალი ამბები.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია (LIVE).
01:45 ახალი ამბები.
02:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
02:45 ახალი ამბები.
03:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
03:45 ახალი ამბები.
04:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
04:45 ახალი ამბები.
05:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრესკონფერენცია.
05:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| შვედეთი | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ვასბი-ბრომაპოიკარნა | 1:2 |
| **შვედეთი** | |
| ვიიკინგიტი-სიტი სტარსი | 3:1 |
| გნისტანი-ლიეტო | 6:0 |
| ჰიფკ-ტპ47 | 1:2 |
| ჰიკ-ინტერი | 1:0 |
| ჰონკა-კპვ | 3:0 |
| ილვესი-ვაასა | 1:6 |
| იიპო-რაკუუნატი | 1:1, პენ. 5:6 |
| იარო-ლაჰტი | 2:0 |
| კუოპიო-კოტეპე | 2:1 |
| ლოპა-ჰაკა | 0:3 |
| პკ35-ჰონკა II | 2:3 |
| კემი-სინიმუსტატი | 3:1 |
| როვანიემი-ვარკაუსი | 0:1 |
| ტუს-მიუპა | 0:7 |
| ტამპერე-ესპოო | 14:0 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ნოტინგემი | |
|---|---|
| კარლოვიჩი-სეპი | 6:3, 3:6, 6:4 |
| მონფილსი-სპეიდი | 7:6, 6:2 |
| ვერდასკო-სიმონი | 6:3, 2:6, 6:3 |
| ჩილიჩი-ტ. იოჰანსონი | 6:1, 6:2 |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| მელცერი-ჟიკელი | 3:6, 4:6 |
| დელ პოტრო-კლემანი | 2:6, 6:3, 6:1 |
| ანჩიჩი-ფერერი | 4:6, 6:7 |
| კანიასი-ტროიცკი | 6:2, 6:2 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| ა. რადვანსკა-რაზანო | 3:6, 6:3, 6:4 |
| ვოზნიაჩკი-სტოსური | 6:7, 4:6 |
| პეტროვა-მაკაროვა | 6:4, 6:3 |
| ბარტოლი-კლეიბანოვა | 6:3, 6:3 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| დემენტიევა-კირსტეა | 6:2, 6:4 |
| კრაიჩეკი-ტანასუგარნი | 6:3, 3:6, 4:6 |
| ჩაკვეტაძე-ა. ბონდარენკო | 2:6, 6:3, 2:6 |

გოლფი

# ვუდსმა სეზონი დაასრულა



პროფესიული გოლფის ოთხი ყველაზე პრესტიჟული ტურნირიდან ერთ-ერთის (აშშ-ის ღია პირველობა) მოგების შემდეგ, მსოფლიოს პირველმა ნომერმა, **ტაიგერ ვუდსმა** გამოაცხადა, რომ ამ სეზონში არცერთ ტურნირში აღარ მიიღებს მონაწილეობას. ლეგენდარულ ამერიკელს ტრავმირებულ მუხლზე ოპერაცია ელის, აღდგენით პროცესს კი, სეზონის დარჩენილი ნაწილი დასჭირდება.

*"დღეს საუკეთესო გამოსავალი ის იქნება, თუ ექიმებს დავუჯერებ და ოპერაციას გავიკეთებ"*, - განაცხადა ყველა დროის საუკეთესო მეგოლფემ.

გია **თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა


ეს საინტერესოა

# დაღუპული ვარსკვლავები


ეს დენის როდმანია

**სპორტის ნებისმიერ სახეობაში იყვნენ, არიან და ყოველთვის იქნებიან ისეთი პიროვნებები, რომლებსაც ნიჭითა და პოპულარობით ბევრი ვერ შეედრება. მაგრამ ამ დიდ ხალხს, მწვერვალისკენ სავალ რთულ გზაზე, ყველაზე დიდ სირთულეებს ისევ და ისევ... საკუთარი ვარსკვლავობა და გიჟმაჟი ხასიათი უქმნიდათ.**

**საკუთარი თავისთვის პრობლემების შექმნა, ამ სპორტსმენებს ჩვევად ჰქონდათ გადაქცეული. დღეს, რამდენიმე დიდ სკანდალისტს გაგახსენებთ.**

## მაიკ ტაისონი (კრივი)

კარიერის მწვერვალზე ყოფნისას, "რკინის მაიკი" ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე და მომაკვდინებელი დარტყმის მქონე მხეცი იყო. ეს იქამდე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს, თავადაც არ გაიშხლართა რინგზე... მერე კი დაიწყო და არ გაჩერდა - ციხე, გაუპატიურება, გაუთავებელი სკანდალები, ცოლთან განშორება, პოლიციელისა და ტელეოპერატორის ცემა, სკანდალი ახლა უკვე ყოფილ ცოლთან... ამ ყველაფრის დამაგვირგვინებელი აკორდი იყო **ევანდერ ჰოლიფილდისთვის** ყურის მოჭმა.

ტაისონი ბანკროტი გახდა, რის შემდეგაც, საჩვენებელი ტურებით თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა. მანამდე კი, რამდენიმეჯერ ძალები კეტჩში მოსინჯა, სადაც ერთხელ **კარლ მელოუნთან** ერთადაც იასპარეზა. ციხეში სამი წლის გატარების შემდეგ, ტაისონი, მისსივე თქმით, უწინდელზე რბილი და დამთმობი პიროვნება გახდა. პროფესიულ ასპარეზზე დაბრუნების ყველა მცდელობა წარუმატებელი გამოდგა.

პროფესიული კრივითა და სარეკლამო კონტრაქტებით, მაიკ ტაისონს დაახლოებით 71 მილიონი დოლარი აქვს გამომუშავებული.

## დენის როდმანი (კალათბურთი)

პროფესიული კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მცველი, ძალიან ძლიერი მომხსნელი, ხუთგზის ჩემპიონი "დეტროიტსა" და "ჩიკაგოში", ტრანსვესტიტი, მწერალი, ერთი ღამით **კარმენ ელექტრას** ქმარი და უბრალოდ, მოუთვინიერებელი არსება - ყველაფერი ეს **დენის როდმანია.**

პაპარაცებმა დენისი **პერიზ ჰილტონთან** ერთად, ერთ-ერთ ღამის კლუბში პოკერის თამაშისას სრულიად შიშველი დააფიქსირეს. თავისი ავტობიოგრაფიული წიგნის ("მიკვირს, როგორ გადავრჩი") პრეზენტაციაზე, დენისი პატარძლის კაბაში გამოეწყო, ხოლო წიგნის ყდისთვის თითქმის ბოლომდე გაშიშვლებული გადაიღეს.

როდმანს ერთი სეზონი ფინეთის "ტორპანში" აქვს გატარებული, შუალედებში კი, **მიკი რურკთან** და **ჟან-კლოდ ვან დამთან** ერთად, მალალბიუჯეტიან ფილმში ("ორმაგი გუნდი") გადაიღეს. სურათი ჩავარდა და მას მერე, როდმანი ჰოლივუდს აღარ გააკარეს.

კალათბურთში როდმანმა ყველაფერს მიაღწია და ლიგის ისტორიაში პირველი მოთამაშე გახდა, რომელიც "ყველა ვარსკვლავის" შეხვედრაში ისე აიყვანეს, რომ სეზონში საშუალოდ 10 ქულაც არ დაუგროვებია.

კალათბურთის თამაშით, რეკლამებში მონაწილეობითა და კიდევ სხვა წყაროებით, როდმანს კარიერაში 114 მილიონი დოლარი აქვს ნაშოვნი.

## ხოსე კანსეკო (ბეისბოლი)

მომხიბვლელი, პოპულარული, მდიდარი, და ადრეულ ასაკში უკვე რამდენიმე რეკორდის მფლობელი **ხოსე კანსეკო,** კარიერის ზენიტში ყოფნისას აქვეყნებს ავტობიოგრაფიულ ნაშრომს - "დოპინგით გაჟღენთილი", რის მერეც, ის ამერიკაში ყველაზე პოპულარული პიროვნება ხდება.

მისი ნამუშევარი ბესტსელერად იქცა, თავად ხოსემ კი აღიარა, რომ პროფესიულ ლიგაში თავისი მეორე სეზონიდან მოყოლებული, აკრძალულ პრეპარატებს ხმარობდა და ამის ხარჯზე მიაღწია ყველაფერს. მან ჭაობში კიდევ რამდენიმე მეგავარსკვლავი ჩაითრია. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სკანდალში თვით **ჯორჯ ბუში** და **ჰილარი კლინტონიც** კი ჩაერივნენ.

ერთ სეზონში კანსეკოს 16 მილიონი დოლარიც კი აუღია, სულ მისი შემოსავალი 100 მილიონს აღწევს.


ტომი მორისონი სილვესტერ სტალონესთან ერთად

## ო ჯეი სიმპსონი (ამერიკული ფეხბურთი)

ორმაგი მკვლელობა, რომლის შედეგად, ყველა დროის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი ნახევარმა ამერიკამ შეიძულა. თითქმის ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ო ჯეიმ 1994 წელს, ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა მეუღლე, **ნიკოლ ბრაუნ სიმპსონი** და მისი საყვარელი **რონალდ გოლდმანი.** ცხრათვიანი სასამართლო პროცესის შემდეგ, ფეხბურთელი უდანაშაულოდ ცნეს, თუმცა მორალურადაც და ფინანსურადაც, სიმპსონი სრულიად განადგურებული იყო.

მკვლელობამდე, ჰოლივუდის პროდუსერები ო ჯეის ხშირად იწვევდნენ მეორეხარისხოვანი როლების შესასრულებლად (მაგალითად, კომედია "შიშველი პისტოლეტი"), სკანდალის შემდეგ კი, იგი ყველამ დაივიწყა. სასამართლომ, სიმპსონის ავტობიოგრაფიული წიგნის რეალიზაციიდან აღებული მთელი თანხა, "მორალური ზარალის" ასანაზღაურებლად გოლდმანის ოჯახს გადასცა.

## ჯონ დეილი (გოლფი)

გოლფში მას ყველაფრის მიღწევა შეეძლო, თუმცა ალკოჰოლმა და ნარკოტიკებმა **ჯონ დეილის** კარიერა გააუფერულა და მანაც დღემდე ვერ დაიბრუნა ის კონდიციები და პრესტიჟი, რის ხარჯზეც, რამდენიმე დიდი კომპანია მეგოლფეს თავის სარეკლამო ვიდეორგოლებში იყენებდა.

1994 წელს, ეჭვიანობის ნიადაგზე, დეილის მისმა მეუღლემ **შერიმ** დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, რასაც ხანგრძლივი სასამართლო პროცესი მოჰყვა, რომლის დროსაც ჯონმა დაახლოებით 6 მილიონი დოლარი დაკარგა.

სხვა დიდი სპორტსმენების დარად, დეილიმაც გამოუშვა ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელიც მხოლოდ 11 ათას ეგზემპლარად გაიყიდა.

პროფესიულ სპორტში გამომუშავებული აქვს 34 მილიონი დოლარი.

## სონია ჰარდინგი (ფიგურული სრიალი)

დეილის დარად, **სონია ჰარდინგიც** თავის სახეობაში ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ სპორტსმენად ითვლებოდა, თუმცა 1994 წელს, მას ამერიკის ოლიმპიურ ნაკრებში გზა **ნენსი კერიგანმა** გადაუღობა. სონიას ყოფილმა ქმარმა, **ჯეფ კონოლიმ შონ ექჰარდთან** და **შეინ სტანტან** ერთად, კერიგანის მწყობრიდან გამოყვანა გადაწყვიტეს და ამ უკანასკნელს მძიმე ტრავმაც მიაყენეს, თუმცა მიუხედავად ამისა, კერიგანმა მაინც მოახერხა კარიერის გაგრძელება.

მოგვიანებით, კონოლი ჰარდინგს მათი თაფლობის თვისას გადაღებული ეროტიკული კადრებით აშანტაჟებდა და მისგან სერიოზულ თანხასაც ითხოვდა, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა.

პოლიციასთან მუდმივმა სკანდალებმა, ჰარდინგის კარიერა დაამსხვრია, მოგვიანებით კი იგი ნარკოტიკების მოხმარებაშიც ამხილეს.

## ტომი მორისონი (კრივი)

მოკრივე, რომელსაც დიდი წარმატებისთვის არა ჰოლივუდსა და გასართობ რესტლინგში, არამედ პროფესიულ კრივში უნდა მიეღწია. **სილვესტერ სტალონესთან** ერთად "როკიში" მონაწილეობამ, მას 6 მილიონი დოლარი მოუტანა, თუმცა დღეს, მორისონი არც რინგზე ახსოვთ და არც ჰოლივუდში. თავის დროზე, როდესაც შიდსის ვირუსის მატარებლად გამოაცხადეს, მორისონს მოკრივის ლიცენზია ჩამოართვეს და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დიაგნოზით, ტომს შიდსი არ აღმოაჩნდა, მას დიდ რინგზე ორთაბრძოლა აღარ ჩაუტარებია.

მორისონი ერთი წლის განმავლობაში ალკოჰოლისადმი მიდრეკილებისგან იკურნებოდა, ერთხელ კი, ლიონში იმ დროს დააკავეს, როცა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

ტომი მორისონს 16 მილიონი დოლარი მხოლოდ რინგზე აქვს გამომუშავებული, პარალელურად კი, პოპკორნისა და "მაკდონალდსის" სარეკლამო რგოლებშიც მონაწილეობდა.

ზურაბ თალაკვაძე

## ფოტო-ინფო


ოდესღაც **ანტონიო კასანო** "ბარიში" თამაშობდა, თავის პარტნიორებთან ერთად იმით ერთობოდა, რომ ღამით მოპედებს იპარავდა, ნაქურდალით სეირნობდა და შემდეგ სხვადასხვა ადგილას მიაგდებდა ხოლმე. ერთხელ ისინი დაიჭირეს და კარგადაც დაამუშავეს. ფეხბურთელი საავადმყოფოში მკურნალობდა და პალატაში გაუთავებლად მღეროდა. გვერდით საწოლზე **ეროს რამაძოტის** მომავალი პროდიუსერი იწვა, რომელმაც კასანო მომღერლის კარიერაზე ვერ დაითანხმა. ახლა კი, იტალიის ნაკრების ფორვარდი თავის შემოქმედებით შესაძლებლობებს მინდვრის მიღმა ავლენს.


ბრიტანულმა ჟურნალმა OK-მ 5 მილიონი დოლარი გადაიხადა "მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდ **უეინ რუნისა** და **კოლინ მაკლაფლინის** ქორწილის სურათებში. საქორწინო ცერემონია 12 ივნისს, იტალიაში გაიმართა. ჟურნალმა ამ მოვლენას 75 გვერდი მიუძღვნა. როგორც Daily Mail იტყობინება, გამოცემის ისტორიაში ეს ყველაზე სქელტანიანი ნომერი იყო.